ტომას სტერნზ ელიოტი

კოკტეილის წვეულება

ინგლისურიდან თარგმნა
მედეა ზაალიშვილმა

გამომცემლობა ინტელექტი

მოქმედება პირველი

მოქმედი პირები

ედუარდ ჩემბერლენი
ჯულია (მის შათლვაითი)
სილია კოპლსტონი
ალექსანდრე მაკკოულ გიბსი
პიტერ კვილპი
უცნობი სტუმარი, მოგვიანებით ცნობილი, როგორც სერ ჰენ-
რი ჰარკურტ-რაილი
ლავინია ჩემბერლენი
მდივანი ქალი
ორი მომსახურე

სცენა პირველი

ლონდონი, ჩემბერლენების სასტუმრო ოთახი, შემოღამების ხანი; ედუარდ ჩემბერლენი, ჯულია შათელვაითი, სილია კოპლსტონი, პიტერ კვილპი, ალექსანდრე მაკკიულ გიბსი და უცნობი სტუმარი.

ალექსი

ვერ გაგიგია ვერაფერი ჩემო ჯულია
საქმე ის არი, იქ ვეფხვები არა ყოფილან.

ჯულია

მაშ, შენ და შენი მაჰარაჯა რას მიძვრებოდით
მაღლა ხეზე?

ალექსი

ჩემო ჯულია!
აბა რასა ჰგავს, რომ არ მისმენდით?

პიტერი

უნდა გვიამბო ყველაფერი თავიდან, ალექს.

ალექსი

არა მჩვევია ერთი ამბის ორჯერ მოყოლა.

ჯულია

მე მაინც მინდა რომ შევიტყო თუ იქ რა მოხდა
ვიცი ამ ამბის დასაწყისი მაინც ვეფხვია.

ალექსი

მაგრამ ვეფხვები იქ არ ყოფილან

სილია

ოჰ, ნუ კინკლაობთ.
ჯულია, ახლა შენი ჯერია.
აბა, გვიამბე, ის ამბავი, ამას წინათ რომ მოგვიყევი.
ლედი კლუცისა და საქორწინო ნამცხვრის შესახებ.

პიტერი

იმაზე, თუ როგორ შეუსწრო მსახურთუფროსმა
საკუჭნაოში ლედი კლუცს, პირში შამპანურს როცა ივლებ-
და.
ეს ამბავი ძალიან მომწონს.

სილია

ეგ ამბავი მეც ძაან მომწონს.

ალექსი

მაგის მოსმენით მეც არ ვიღლები.

ჯულია

ჰო, როგორც ჩანს, ყველამ იცით.

სილია

ყველამ?
როცა შენ ყვები არ ვიღლებით შენი მოსმენით.
არა მგონია, ეს ამბავი ყველამ იცოდეს.

[ამოუცნობ სტუმარს]
თქვენ ეს ამბავი არ იცით, არა?

ამოუცნობი სტუმარი

არა, არასდროს მომისმენია.

სილია

აი, ჯულია კიდევ ერთი შენი მსმენელი
არც ის მგონია, რომ ედუარდმა იცოდეს რამე.

ედუარდი

შესაძლოა, მოსმენილიც მაქვს, მაგრამ, არ მახსოვს.

სილია

და ჯულია ერთადერთია, ვინც ამას ყვება
თანაც მიბაძვის რა უნარი აქვს!

ჯულია

კარგი მიბაძვის უნარი მაქვს?

პიტერი

კარგი მიბაძვის უნარი გაქვს, არაფერი არ გამოგრჩება.

ალექსი

არაფერსაც არ გამოტოვებს, თუ კი არ უნდა.

სილია

ლიტოვურ აქცენტს, განსაკუთრებით.

ჯულია

ლიტოვურს? ლედი კლუცისას?

პიტერი

მე კი მეგონა ბელგიელი.

ალექსი

წარმოშობით ხომ მამამისი ბალტიელია.
უძველესი ოჯახის შვილი.
ერთი შტო შვედეთიდან მოდიოდა, ერთიც – დანიიდან.
ამ ოჯახს ჰყავდა მშვენიერი ქალიშვილები.
ნეტავი ახლა სილამაზე თუ შერჩენიათ?

ჯულია

ლედი კლუციც ხომ მშვენიერი იყო ოდესღაც.
ეჰ, რა ცხოვრება გაატარა! ვეტყოდი ხოლმე, გრეტა!
ცოტა დადინჯდი, თუმც თავის თავი ძლიერ მოსწონდა.
[უცნობ სტუმარს]
ხომ იცნობდოთ ლედი კლუცს?

ამოუცნობი სტუმარი

არა, არასდროს შევხვედრივარ.

სილია

აბა, განაგრძე საქორწილო ნამცხვრის ამბავი.

ჯულია

კეთილი, მაგრამ ეს ამბავი ჩემი არ არის,
და პირველად მე მიამბო ამ ამბის შემსწრე
დელია ვერინდემ.
[ამოუცნობ სტუმარს]
არც დელია ვერინდეს იცნობთ?

ამოუცნობი სტუმარი

არა, არ ვიცნობ.

ჯულია

ადამიანი ვერ იქნება საკმაოდ ფრთხილი,
ვიდრემდე ამბავს მოყვებოდეს.

ალექსი

დელია ვერინდერი?
ის ხომ არ არის, სამი ძმა რომ ჰყავდა?

ჯულია

რამდენი? მგონი, მხოლოდ ორი ჰყავდა.

ალექსი

არა, ისინი სამნი იყვნენ, თუმცა მესამის არ იცი რა.
მის არსებობას არ ამხელდნენ.

ჯულია

აჰ, ვიცი, ვიცი ვისაც გულისხმობ.

ალექსი

მას შეზღუდული ჰქონდა გონება.

ჯულია

ოჰ, სულაც არა,
უწყინარი იყო უბრალოდ.

ალექსი

ჰო, იყოს თუნდაც უწყინარი.

ჯულია

თუმც საათების შეკეთება ეხერხებოდა
და სმენაც ჰქონდა შესანიშნავი –
ჩემს ნაცნობთაგან მხოლოდ ის იყო, ღამურების ხმა რომ
ესმოდა.

პიტერი

ღამურების ხმა?

ჯულია

მართლაც შეეძლო მათი გაგება.

სილია

და შენ რა იცი, რომ შეეძლო მათი გაგება?

ჯულია

თვითონ ამბობდა და მე მჯეროდა.

სილია

მაგრამ, ასეთი უწყინარის როგორ გჯეროდა?
ხომ შეიძლება მოსჩვენებოდა.

ჯულია

ძვირფასო სილია,
არ უნდა იყო ასე ურწმუნო.
ერთხელ გავჩერდი მე მათ კოშკში და ვნახე როგორ იტან-
ჯებოდა.
მისთვის მონახეს ჩრდილოეთში სადღაც კუნძული,
სად ღამურები არ იქნებოდნენ.

ალექსი

ახლაც იქ არის?
რამდენი რამე იცის მართლაც ჩვენმა ჯულიამ.

სილია

ან არის რამე ისეთი რომ მან არ იცოდეს.

პიტერი

მიდი, განაგრძე საქორწინო ნამცხვრის ამბავი.
[ედუარდი გადის]

ჯულია

არა, ჯერ ედუარდს დავუცადოთ.
მინდა რომ ცოტა დავისვენო. დარჩა კოქტეილი?

პიტერი

თხრობა განაგრძე. ედუარდი ხომ არც გისმენდა.

ჯულია

ჰო არ მისმენდა, და ისეთი დაძაბულია –
ედუარდი ულავინიოდ! წარმოდგენაც კი არ შემიძლია!
ყველაფერი მე მომაყარა.
მასპინძლადაც რომ არ ივარგა! არც საჭმელი აქვს!
ჩემი მიზანი კოქტეილის წვეულებაზე
მხოლოდ ის არის, გემრიელი ლუკმა რომ შემხვდეს,
დალევა შინაც შემიძლია.
[ედუარდი ბრუნდება ლანგრით ხელში]
ეგ გემრიელი ზეთისხილი კიდევ მომეცი;
ეს ხრაშუნა კარტოფილი! მაგას ვერ ვიტან.
ჰო, მე დავიწყე ლედი კლუცის ამბის მოყოლა.
ეს ვინსეველის ქორწილში მოხდა. ოჰ! ეს იმდენი წლის წინ
იყო!
[ამოუცნობ სტუმარს]
ვინსეველებს თუ იცნობდით?

ამოუცნობი სტუმარი

არა, არ ვიცნობდი.

ჯულია

ოჰ, ახლა ისინი აღარ არიან, თუმც კი მინდოდა რომ მცოდ-
ნოდა,

თქვენი მეგობრები იყვნენ თუ არა. უამისოდ კი არ შემეძ-
ლო ამბის მოყოლა.

პიტერი

ისინი ტონი ვინსეველის მშობლები იყვნენ?

ჯულია

დიახაც, ტონი ნაშიერი იყო იმათი და არა – მხსნელი.
ის უფრო მეტად უმძიმებდა იმათ ცხოვრებას.
ტონი ვინსეველს ოქსფორდიდან ხომ არ იცნობდი?

პიტერი

არა, ოქსფორდში არ შემხვედრია:
კალიფორნიაში შევხვდი გასულ წელს.

ჯულია

მუდამ მსურდა რომ ვწვეოდი კალიფორნიას.
გთხოვ გვიამბე რას აკეთებდი.

სილია

იქ ფილმს იღებდა.

პიტერი

ვცდილობდი ფილმი გადამეღო.

ჯულია

რა ფილმი იყო? ნეტავ მინახავს?

პიტერი

შენ ვერ ნახავდი: სინამდვილეში,
არც არასდროს გადამიღია. თუმცა ფილმი კი გადაიღეს,
მაგრამ სცენარი სულმთლად შეცვლეს.

ჯულია

ის სცენარი აღარ არის, შენ რომ დაწერე?

პიტერი

არა არ არის.

სილია

მიდი გვიამბე საქორწინო ნამცხვრის შესახებ.

ჯულია

ედუარდ, დაჯექი ერთი წუთით.
ვიცი რომ კარგი მასპინძელი იყავი მუდამ,
მაგრამ ჩათვალე, რომ ერთ-ერთი სტუმარი შენც ხარ
ლავინიას წვეულებაზე. მსურს შეგეკითხო
კიდევ ბევრი რამ. ახლა ხომ მართლაც მეტად ხელსაყრელი
ვითარებაა.
ლავინია ხომ წასულია. მე მუდამ მსურდა,
რომ მარტოკა ჩამეგდე ხელში.
და შენთან დინჯად მელაპარაკა.
ლავინიასაც გავუმხილე ამის შესახებ. ისიც დამთანხმდა.
მან მითხრა: „ნეტავი გეცადაო“ და მეც მომეცა შესა-
ძლებლობა,
ლავინიასგან ცალკე მენახე,
გარდა იმისა, ტუალეტში რომ ჩაიკეტა
და არ შეეძლო გარეთ გამოსვლა. ვიცი, შენ ფიქრობ!
რომ სულელი ბებრუხანა ვარ.
სინამდვილეში კი ვარ მეტად სერიოზული.
ლავინიაც ხომ ასეთად მთვლის.
ვფიქრობ, წავიდა სწორედ ამისთვის,
მარტო დაგვტოვა რათა შენთან მელაპარაკა.
საკუჭნაოში ხომ არ არის და ჩვენს საუბარს ისმენს
იქიდან?!

ედუარდი

არა, არ არის საკუჭნაოში.

სილია

როგორ გგონია, კიდევ დიდხანს არ დაბრუნდება?

ედუარდი

როგორ გავიგებ, სანამ თვითონ ხმას არ მომაწვდის.
თუ მძიმედაა დეიდამისი ეგებ კიდევაც კარგა ხანს დარჩეს.

სილია

როგორ გაართმევ თავს ყველაფერს მის არყოფნაში.

ედუარდი

არც კი ვიცი, მართალი გითხრა, მაგრამ ვეცდები თავი გა-
ვართვა

სილია

შეძლებ კი თავს რომ მოუარო?

ჯულია

შენც გყავს დეიდა?

ედუარდი

დეიდა არ მყავს, მაგრამ მეც ხომ შემეძლო წასვლა.

სილია

მაგრამ ედუარდ... რა უნდა მეთქვა,
ოჰ რა ძნელია მოხუცისთვის მარტო დარჩენა.
თანაც ძნელია რომ მომვლელი იშოვო სოფლად.

ჯულია

მისი დეიდა ლაურაა?

ედუარდი

არა, სხვა დეიდაა,
რომელსაც შენ, ალბათ, არც იცნობ. დედამისის და
და საკმაოდ კარჩაკეტილი.

ჯულია

მისთვის ძვირფასი დეიდაა?

ედუარდი

ლავინია ძალიან უყვარს, თუმცა თვითონ კი მეტად მძიმე
ხასიათი აქვს.
ავად ყოფნის დროს ლავინიას ეძახის მუდამ.

ჯულია

ადრე არასდროს არ მსმენია, რომ ავად იყო.

ედუარდი

თუმც, საზოგადოდ ჯანმრთელობას არ უჩივის, ავად რომ
ხდება,
მაშინ შიში აიტანს ხოლმე.

ჯულია

და ლავინიას თვისთან იბარებს,
ჩემთვის სავსებით გასაგებია. მემკვიდრეობას ხომ არ
უტოვებს?

ედუარდი

ვფიქრობ რომ არა, ყოველწლიური შემოსავალი თვითონ
ძლივს ყოფნის.

ჯულია

ეს იმას ნიშნავს, ლავინია უანგაროა,
თუმცა მართლაც რომ ასეთია. მაგრამ ედუარდ,

ვაითუ ლავინია იქ დიდხანს დარჩეს
ან დაბრუნდეს და მერე ისევ მოუხდეს წასვლა.
თუმც კარგად მესმის ჭირვეული ბებრუხანების, და მეც ერთი იმათგანი ვარ,
ასე მგონია, იმ ჰემფშირელ დეიდას ვიცნობ.

ედუარდი

ჰემფშირელს?

ჯულია

ჰემფშირი არ თქვი?

ედუარდი

არა, არ მითქვამს მე ჰამფშირი.

ჯულია

მაშ, ჰემფსტედი თქვი?

ედუარდი

არა, ჰემფსტედიც არ მითქვამს.

ჯულია

მაგრამ სადმე ხომ უნდა იყოს.

ედუარდი

ესექსში ცხოვრობს.

ჯულია

კოლჩესტერის სიახლოვეს? ლავინიას ხამანწკა უყვარს.

ედუარდი

არა, შუაგულ ესექსში ცხოვრობს.

ჯულია

გამოძიებას არ ვაპირებ.
მისამართი და ტელეფონი ალბათ გექნება,
კორნუოლში თუ მომიხდა წასვლა,
იქნებ მათთანაც შევიარო. ახლა მოვუხმოთ მოდი გონებას,
ნება დამრთე, რომ გავხდე შენი ტკბილი დეიდა,
რომელიც ცხოვრობს მხოლოდ წლიურ შემოსავალზე,
მინდა პარასკევს ვისადილოთ განმარტოებით
და ყველაფერზე ვისაუბროთ.

ედუარდი

ყველაფერზეო?

ჯულია

ოჰ, შენ იცი, რასაც ვგულისხმობ.
შენს საიდუმლო საქმეებსა და არჩევნებზე.

ედუარდი

საიდუმლოთა უმეტესობა სულაც არ არის საინტერესო.

ჯულია

ხელიდან მაინც ვერ დამიძვრები. პარასკევს ერთად ვისადილებთ.
უკვე ხალხიც კი შევარჩიე, შენს შესახვედრად

ედუარდი

მაგრამ, ხომ მთხოვე, გვესადილა მარტო მე და შენ.

ჯულია

დიახ მარტო
ულავინიოდ! ვიცი სხვა ხალხიც მოგეწონება.
თუმცა მოგიწევს რომ ვისაუბროთ. ასე, რომ საქმე უკვე მოგვარდა.
ახლა კი წავალ.

ედუარდი

უნდა წახვიდე?

პიტერი

მაშ ლედი კლუცის ამბავს ვინღა მოგვითხრობს?

ჯულია

რა ლედი კლუცი?

სილია

არც საქორწინო ნამცხვარზე გვეტყვი?

ჯულია

რისი ნამცხვარი? მე ქორწილში რომ არ ვყოფილვარ?
ედუარდ, კარგი საღამო იყო,
და შებრაწული კარტოფილიც,
აბა შევხედო თუ რამე მრჩება,
ო, რა კარგი წვეულებაა, მე კი მივდივარ,
გავიმეორებ, ო, რა კარგი წვეულებაა,
რატომ არ გინდათ, პარასკევს ერთად რომ ვისადილოთ?
მაგრამ ვშიშობ, რომ შემომწყრება ჩემი კეთილი მისის ბეტენი.
ახლა კი წავალ.

ალექსი

ვშიშობ, რომ მეც მომიწევს წასვლა.

პიტერი

სილია,
იქნებ, ერთად გავისეირნოთ?

სილია

პიტერ, ვწუხვარ
ტაქსით წასვლა მომიწევს.

ჯულია

შენ ჩემთან ერთად წამოდი, პიტერ.
ტაქსს გამიჩერებ და მე კი სახლთან ჩამოგსვამ.
ედუარდ, პარასკევს გელოდები, შენ კი, სილია,
მალე გნახავ. ჩემი გულისთვის ნუ დაიშლებით
მშვიდობით, ედუარდ.

ედუარდი

მშვიდობით.
[ჯულია და პიტერი გადიან]

სილია

მშვიდობით, ედუარდ.
მალე გნახავ?

ედუარდი

აბა რა ვიცი, შესაძლოა

სილია

არ იცი? კარგი, მშვიდობით.

ედუარდი

მშვიდობით, სილია.

ალექსი

მშვიდობით, ედუარდ. ვიმედოვნებ
კარგს გაიგონებ ლავინიას დეიდასაგან.

ედუარდი

ოჰ... დიახ... გმადლობ. მშვიდობით ალექს.
შენმა მოსვლამ მასიამოვნა.
[გადიან ალექსი და სილია]
[ამოუცნობ სტუმარს]
ნუ აჩქარდებით კოქტეილი კიდევ დავლიოთ
ან იქნებ ვისკი უფრო გნებავთ?

ამოუცნობი სტუმარი

ჯინი.

ედუარდი

რაიმე ხომ არ ჩავუმატო?

ამოუცნობი სტუმარი

წყალი, მხოლოდ სულ ერთი წვეთი.

ედუარდი

ამ საღამოსთვის ბოდიშს გიხდით,
ამ წვეულების გადადება ამაოდ ვცადე,
ამ ხალხის გამო გადადება ვერ მოვახერხე,
რადგან ვერ შევძელ გაფრთხილება მათი დროულად.
არც კი ვიცოდი, თუ თქვენ მოსვლას დააპირებდით.
ასე მეგონა ლავინიამ ყველა სტუმრის სახელი მითხრა ,
საქმე მხოლოდ იმ საშინელ მოხუც ქალშია,
თორემ დანარჩენთ არაფერს ვერჩი.
[კარზე ზარი გაისმის. ედუარდი მიდის კართან და თან ამ-ბობს]
მაგრამ ყოველთვის მაშინ ჩნდება როცა არ ველით [კარებს აღებს]

ჯულია!
[ჯულია შემოდის]

ჯულია

რა იღბალია, რომ გაწვიმდა ჩემო ედუარდ!
წვიმამ კი ქოლგა გამახსენა
და, აი, ისიც! თქვენ ორნი ახლა ნეტავ რას ხლართავთ?
რა კარგია რომ ქოლგა ჩემია
და არა იმ ალექსადნრესი. მას ყველაფერი აინტერესებს!
მე კი არ მიყვარს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა.
გემშვიდობებით კიდევ ერთხელ. ახლა უკვე მართლა მი-ვდივარ.
[გადის]

ედუარდი

ძალიან ვწუხვარ, რომ არ ვიცი თქვენი სახელი.

ამოუცნობი სტუმარი

ახლა მეც წავალ.

ედუარდი

ჯერ არ წახვიდეთ.
ძალიან მინდა საუბარი ახლა ვინმესთან.
უცნობ კაცთან საუბარი უკეთესია.
ლავინიამ მიმატოვა უკვე ცხადია.

ამოუცნობი სტუმარი

მაშ თქვენმა ცოლმა მიგატოვათ?

ედუარდი

გაუფრთხილებლად, რა თქმა უნდა,

და მაშინ, როცა კოკტეილის წვეულება უნდა მოეწყო.
ნაშუადღევს რომ შინ დავბრუნდი, წასული დამხვდა.
მისგან მხოლოდ ბარათი დამხვდა, მიგატოვეო,
მაგრამ არა მაქვს წარმოდგენა, თუ სად წავიდა.

ამუცნობი სტუმარი

რა სავალალო შემთხვევაა.
შეიძლება, კიდევ დავლიო?

ედუარდი

ვისკი?

ამუცნობი სტუმარი

ჯინი.

ედუარდი

რა ჩავუმატო?

ამუცნობი სტუმარი

არაფერი წყლის გარდა
თქვენც ამასვე გირჩევთ ...
თუ ნებას დამრთავთ, მე მოგიმზადებთ...
ძლიერია, მაგრამ ნელ–ნელა წრუპეთ... და დაჯექით, ისე
დალიეთ.
ღრმად ისუნთქეთ და თანაც მოდუნდით.
ესეც ასე. ახლა კი გკითხავთ,
დიდი ხანია დაქორწინდით?

ედუარდი

ხუთი წელია

ამოუცნობი სტუმარი

ბავშვები?

ედუარდი

არ გვყავს.

ამოუცნობი სტუმარი

მაშინ ნათელი მხრიდან შეხედეთ.
როგორც თქვენ ამბობთ ისიც არ იცით, თუ სად წავიდა?

ედუარდი

არა, არ ვიცი

უცნობი სტუმარი

იცით, ვინ არის მამაკაცი?

ედუარდი

არავითარი მამაკაცი არა ყოფილა.
როგორც მე ვიცი, არავითარი.

ამოუცნობი სტუმარი

იქნებ ქალია ამის მიზეზი?
და საბაბიც აქვს ეჭვიანობის?

ედუარდი

არავითარი საბაბი მისთვის არ მიმიცია.

ამოუცნობი სტუმარი

თუ ეს ასეა, უკეთესის იმედი გვქონდეს,
თუკი სხვა კაცი იქნებოდა, ის შეცდებოდა,
და მერე თქვენთან დაბრუნებას მოინდომებდა. და თუ სხვა
ქალი,
თქვენ უთუოდ გაპატიებდათ
და ამით თქვენზე გამარჯვებას მოიპოვებდა. და თუ არც ქალი
და არც კაცი არ იქნებოდა, ღრმა იქნებოდა მაშინ მიზეზი.

მაშინ იმედიც გაქრებოდა დაბრუნებისა.
თუ სხვა კაცია ჩარეული, თქვენ ხელახლა დაქორწინდებით,
რათა ქვეყანას დაუმტკიცოთ, რომ სასურველი მამაკაცი ხართ.
და თუ ქალია, მაშინ მასზე იქორწინებდით –
გეგონებოდათ, რომ ეს თქვენი სურვილი იყო.

ედუარდი

მაგრამ ჩემი ცოლის დაბრუნება მსურს.

ამოუცნობი სტუმარი

ეს ბუნებრივი რეაქციაა.
შემაშფოთველი და უხერხული!
და უხერხული იქნებოდა ტყუილის თქმაც კი,
ვერც სიმართლეს ვერ იტყოდით ტელეფონიდან,
ყველაფერ ამას დროს დასჭირდება, რომ აიტანოთ;
თუმცა ამას თქვენ მოგანდობდით...

ედუარდი

მე ნუ მომანდობთ.

უცნობი სტუმარი

მაშინ მე გირჩევთ...

ედუარდი

და გეთაყვა, ნურც ნურას მირჩევთ.
თავად ვიყენებ ასეთ მეთოდს დაკითხვებისას,
არ მომწონს მე ეს მეთოდები და თქვენ მოგანდობთ.
ეს საუბარი მე წამოვიწყე.
მაგრამ არ ვიცი, თქვენ ვინა ხართ. და ამასაც არ მოველოდი.
მსურდა ვინმესთვის რომ გამენდო

რასაც ვფიქრობდი და ვმალავდი, რომ შვება მეგრძნო.
სულაც არა მსურს რომ ვიცოდე თუ ვინ ბრძანდებით,
თუმც ამავე დროს რადგან ჩემს ცოლს თქვენ უკეთ იცნობთ,
და საკმარისზე ბევრიც გცოდნიათ,
თქვენს მოსაზრებებს მე მივიჩნევ შეურაცხყოფად.

ამოუცნობი სტუმარი

მე თქვენ ორივეს კარგად გიცნობთ თქვენც და თქვენს ცოლსაც
და მე ვიცი, რომ ერთადერთი რაც კი თქვენ გსურდათ
იყო უცხოსთვის საიდუმლოდ გულის გადაშლა.
ნება მომეცით, ამიტომაც, უცნობად დავრჩე.
თუმც, მინდა გითხრათ, რომ უცნობთან დაახლოებას
მოულოდნელი ამბავი მოსდევს. ახალ ძალებს ათავისუფლებს,
ანუ ბოთლიდან ჯინს ამოუშვებს.
ამას მოჰყვება მთელი რიგი ფათერაკების
რასაც ვერ მართავ. მაშ, ნება დამრთეთ, გავაგრძელო.
წარმოდგენაც კი არა გაქვთ თუ რა შვებას იგრძნობთ, ნელ–ნელა მოვა
გაღვიძებისას ანდა ძილისწინ,
და მაშინ იგრძნობთ, რა კარგია მარტო დარჩენა;
თანდათან იგრძნობთ სიმყუდროვეს თქვენი ცხოვრების,
არვინ დაგიწყებთ გამუდმებით გაკრიტიკებას. უნდა უთმინო ათასნაირ გაუგებრობას, როცა ცხოვრებას უკეთ აწყობს ვიდრე შენ მოგწონს.
და არ აირჩევს რომლებიც შენ გყავს,
ან შენს მეგობრებს თავის მხარეს გადაიბირებს,

და თავდაყირა დააყენებს შენსავე წარსულს,
გაგიკვირდება, რომ ამდენ ხანს უძლებდი იმ ქალს.
და, ალბათ, მალე გაგიჩნდება ეჭვის შეგრძნება,
რომ მან პირველად შეამჩნია, სიმამაცე გამოიჩინა
და ძალაც ეყო, ბოლო მოეღო და თავიც იგრძნო უპირა-
ტესად.

ედუარდი

ეგება ასეც მომხდარიყო და, მაინც....

ამოუცნობი სტუმარი

იმის თქმა გინდათ, რომ ისევ გიყვართ?

ედუარდი

რატომ, განა ჩვენ უპირობოდ არ დავკავშირდით?
არც მიფიქრია, რომ სხვასთან მეძებნა
ბედნიერება. სიყვარულზე ლაპარაკი რა საჭიროა?
ჩვენ ხომ ერთმანეთს შევეჩვიეთ. და მისი წასვლა ასეთ მო-
მენტში
არის ნამდვილი გაუგებრობა.
და იმას ნიშნავს, რომ არასდროს არ დაბრუნდება.
ეს კი არ მესმის.
არავის მოსწონს, რომ ტოვებენ ასე იდუმლად.
ეს ყველაფერი ... აღარ მთავრდება.

უცნობი სტუმარი

ჰო, არ მთავრდება.
არც არვის მოსწონს იდუმალება.
მაგრამ აქ უფრო მეტთან გვაქვს საქმე. აქ პიროვნება
იკარგება.

უფრო სწორად კი, შენ დაკარგე კავშირი მასთან,
ვინც საკუთარი თავი გეგონა. შენ უკვე შენს თავს კაცად
აღარც თვლი.
ნივთის დონემდე დაცემულხარ მოულოდნელად.
ნივთი ცოცხლობს, პიროვნება კი გამქრალია.
ეს ასე ხდება, რადგან კაცი საგანიც არის
და პიროვნებაც. თუმცა ეს სწრაფად გავიწყდება
გამოეწყობი წვეულებისთვის, კიბეს ჩაჰყვები და გგონია
ყველაფერი გაქვს, რომ შენი როლი შეასრულო
მაგრამ ხანდახან, როცა ბოლო საფეხურს აღწევ, შენს
ფეხს ჰგონია,
კიდევ ერთი საფეხურია და უეცრად
შეიძლება წაიბორძიკო და დაეცე.
და გგონია რომ ნივთი ხარ,
და კიბე კი ავისმოსურნე.
თუნდაც ავიღოთ ქირურგიული ოპერაცია
კონსულტაცია ექიმსა და ქირურგს შორის,
როცა გაწვენენ ოპერაციის გასაკეთებლად და იქ მნე ქალს
ესაუბრები,
მაშინაც მხოლოდ ნივთი ხარ და რალობის ცენტრში ექცევი.
მაგრამ როდესაც მაგიდაზე წევხარ, გართხმული.
იმ ნიღბიანი პირებისთვის გარს რომ გერტყმიან,
მხოლოდ გვამი ხარ და აღარ ხარ აღარაფერი.
შეიძლება კიდევ დავისხა?

ედუარდი

ოჰ, მომიტევეთ. თქვენ რას სვამდით?
ვისკის?

ამოუცნობი სტუმარი

ჯინს.

ედუარდი

და რამეს ხომ არ შეურევდით?

ამოუცნობი სტუმარი

წყალს.

ედუარდი

საით მივყავართ ყველაფერ ამას?

ამოუცნობი სტუმარი

იქით რომ ნახო
თუ ვინა ხარ სინამდვილეში. სინამდვილეში რას შეიგრძნობ.
სინამდვილეში როგორი ხარ როცა სხვებთან ხარ.
უმეტესად ხომ საკუთარი თავისა გვჯერა.
ეს ხომ ასეა და ისე ვცხოვრობთ, საკუთარ თავზე ცოტა რამ ვიცით
თუ რა ვიყავით, თქვენ ვინ ხართ ახლა?
ისიც არ იცით, რაც მე ვიცი. არაფერი ხართ გარდა ფშუტე პასუხებისა.
ერთადერთი რაც შეგიძლიათ ის არის, რომ არაფერი ქნათ დაელოდოთ.

ედუარდი

დაველოდო!
მაგრამ მოთმენა არ შემიძლია.
გარდა ამისა, ხედავთ, უკვე სასაცილო ვარ.

ამოუცნობი სტუმარი

თქვენ ეს არაფერს დაგიშავებთ, თუ გგონიათ რომ სასაცილო ხართ

შეეგუეთ, რომ სულელი ხართ.
ამის უკეთესს ვერა რას გირჩევთ.

ედუარდი

მაგრამ რას უნდა მოვუცადო, თუკი არ ვიცი, რას ველოდები?
მეგობრებს ვუთხრა, „ცოლი გამექცა“?
და რომ მკითხავენ „სად გაგექცა?“ რას ვპასუხობ: „არ ვიცი-მეთქი?“
მერე ისინი კვლავ მკითხავენ: „მაგრამ როდის დაგიბრუნდება?“
და მე ვპასუხობ „არც კი ვიცი, თუ დაბრუნდება“.
და ისინი მეკითხებიან: „შენ რას აპირებ?“
და მე ვპასუხობ: „არც არაფერს“. ისინი კი იფიქრებენ, რომ შეშლილი ვარ
ან უბრალოდ აუტანელი.

ამოუცნობი სტუმარი

ეს უკეთესიც კი იქნება.
ამით იგრძნობთ, რომ დამცირებას გადურჩებით.
მაშინ მიიღებ უძვირფასეს გამოცდილებას.

ედუარდი

გაჩუმდით, რადგან გეთანხმებით, სიმართლეს ამბობთ.
მაგრამ არ არის ეს ყველაფერი.
უკანასკნელად საუზმეზე ვნახე ამ დილით,
და აღარ მახსოვს, როგორია შესახედავად.
და არც კი ვიცი თუკი შევძლებ მე მის აღწერას,
ვთქვათ პოლიციას რომ მივმართო მის მოსაძებნად.

აღარ მახსოვს, ტანზე რა ეცვა,
როცა ვნახე უკანასკნელად და მაინც მინდა, რომ დაბ-
რუნდეს.
და კიდეც უნდა დავიბრუნო, რათა გავერკვე, თუ რა მოხდა
იმ ხუთი წლის განმავლობაში, როცა ჯერ კიდევ ერთად
ვცხოვრობდით.
უნდა გავიგო ის ვინ არის ან მე ვინა ვარ.
და რა აზრი აქვს თქვენს მოსაზრებებს
თუ მარადიულ სიბნელეში ჩავიკარგები.

ამოუცნობი სტუმარი

ამის მიზანი ის არ არის რომ ბნელში დარჩე,
გარდა ამისა ამოიგდო უნდა თავიდან,
რომ სინათლეში ბრძანდებოდი
და ის ფაქტი რომ მიზეზსაც კი ვერ ასახელებ, რატომ
გსურს იგი
არის დასტური იმისა, რომ იგი მართლაც გსურს.

ედუარდი

მე მინდა, რომ ის კვლავ აქ ვიხილო.

უცნობი სტუმარი

თქვენ მას კვლავ ნახავთ.

ედუარდი

რისი თქმა გინდა,თ იქნებ იცით სად იმყოფება?

ამოუცნობი სტუმარი

ამ შეკითხვაზე არც კი მინდა პასუხი გაგცე.
მაგრამ თუ მას უკან მოვიყვან, ეს იქნება ერთი პირობით:

უნდა შემპირდეთ, რომ არ ჰკითხავთ
სად იყავიო.

ედუარდი

არა არ ვკითხავ.
თუმცა მგონია, საუბარი როცა დავიწყეთ,
არც კი მეგონა, დაბრუნება რომ მსურდა მისი. მაგრამ
ახლა მსურს.
მინდა კი მისი დაბრუნება? თუ თქვენ მთავაზობთ?

ამოუცნობი სტუმარი

ჯერ არც კი ვიცით. ერთ დღე-ღამეში დაგიბრუნდება.
შენ აქ იქნები მის დასახვედრად.
[ზარი რეკავს]

ედუარდი

უნდა გავაღო. [ედუარდი მიდის კარისკენ]
ოჰ, ჯულია ისევ შენა ხარ!
[შემოდიან ჯულია და პიტერი]

ჯულია

ედუარდ, მიხარია რომ შენთან მოვბრუნდი.
იცი, მგონი, შენთან დამრჩა ჩემი სათვალე.
უმაგისოდ ვერაფერს ვხედავ.
პიტერთან ერთად მოვიარე მთელი ქალაქი,
სადაც ვიყავი ყველგან ვეძებდი.
ვინმემ იპოვა? იქნება მითხრა ჩემი თუ არის.
პლასტმასის ჩარჩოიანი, რაღაცნაირი,
ვშიშობ, ფერიც არ მახსოვს კარგად,
თუმცა იმით ვცნობ, რომ აკლია ცალი შუშა.

ამოუცნობი სტუმარი

[მღერის]
როცა ჯინსა და წყალს ვსვამდი
მე რაილი ცალთვალა
მებატონის კოხტა გოგო
მოვიდა და გამთვალა.
ჩვენს პირობას ხომ შეასრულებთ?

ედუარდი

შევასრულებ.

უცნობი სტუმარი

ტრულაილა, ლაილი-ლაილი
რა ემართება ცალთვალა რაილის?
[გადის]

ჯულია

ედუარდ, ვინაა ეს ცუდი კაცი?
მე არ მიგრძვნია ჯერ ასეთი შეურაცხყოფა,
ბედი მქონია, რომ სათვალე აქ დამრჩენია.
თავგადასავალს ვუწოდებდი ყველაფერ ამას!
აბა მიამბე მე იმ კაცზე. ერთად რომ სვამდით!
მაშინ გამოდის, რომ ის შენი მეგობარია,
ლავინიას შინ არ ყოფნის დროს! მაინც
ვინ არის ?

ედუარდი

არ ვიცი.

ჯულია

არ იცი?

ედუარდი

აქამომდე ცხოვრებაში არ შემხვედრია.

ჯულია

აბა მაშინ აქ როგორ მოხვდა?

ედუარდი

ეგეც არ ვიცი.

ჯულია

ეგეც არ იცი? ანდა სახელი რაღა ჰქვია?
მომესმა, თუ რაილია მისი სახელი?

ედუარდი

არ ვიცი-მეთქი მისი სახელი.

ჯულია

ნუთუ სახელი არ იცი მისი?

ედუარდი

გეუბნები, რომ წარმოდგენა არ მაქვს ვინ არის,
და არც ის ვიცი აქ როგორ მოხვდა.

ჯულია

აბა, მაშ რაზე საუბრობდით,
თუ სულ მღეროდით?
დღეს ამ ადგილას იდუმალი ამბები ხდება.

ედუარდი

ძალიან ვწუხვარ.

ჯულია

არა, მე მომწონს ეს ყველაფერი. და მახსენდება ჩემი
სათვალე. სწორედ ესაა უდიდესი იდუმალება.

რატომ არ ეძებ სათვალეს, პიტერ?
ბუხარზე ნახე. მე სად ვიჯექი?
ამ ტახტის ქვეშ ხომ არ მოვძებნოთ,
არა, ამ სკამზე, ბალიშქვეშ ნახე.

ედუარდი

იქნებ ჯერ კიდევ ჩანთაში გიდევს?

ჯულია

მჯერა რომ არა, საერთოდ კი აქ ვინახავდი.
უჰ, აქ ყოფილა! გმადლობ, ედუარდ!
რა ჭკვიანი ხარ. შენ რომ არა, ვერც ვიპოვიდი.
თუ კვლავ რამე დამეკარგება,
შენ მოგაკითხავ და არა წმ. ანტონს.
ახლა კი უნდა გავეშურო. რადგანაც ტაქსი მელოდება.
წამოდი, პიტერ.

პიტერი

მე აქ დავრჩები, თუ ნებას დამრთავ,
არ გამოგყვები, აქეთ წამოსულს
გამახსენდა, რომ სათქმელი მაქვს ედუარდისთვის.

ჯულია

ოჰ, ლავინიას შესახებაა?

პიტერი

არა, ლავინიას შესახებ არა.
მინდა, რომ რაღაც რჩევა ვკითხო,
ვფიქრობ, რომ ახლა კარგი დროა.

ჯულია

რა თქმა უნდა, როგორც გენებოს.

პიტერი

თუმც შემიძლია ჩამოგყვე ლიფტით.

ჯულია

არა, შენ დარჩი ედუარდთან. ჯერ არც ისეთი უმწეო ვარ.
გარდა ამისა, მიყვარს როცა ლიფტს თვითონ ჩავრთავ,
და ლიფტში ვფიქრობ ათას რამეზე.
გემშვიდობებით ორივეს და მადლობას გიხდით.

პიტერი

იმედი მაქვს, არ გაწუხებ, ედუარდ.

ედუარდი

უკვე შევწუხდი, მაგრამ რა ვქნა?
მერჩივნა მარტო ვყოფილიყავი,
მაგრამ რაზე გსურს საუბარი?

პიტერი

დახმარება მჭირდება შენგან.
თუმცა ვფიქრობდი დავრეკავ და მერე ვნახავო,
მომეჩვენა, რომ ხელსაყრელი შემთხვევა იყო.

ედუარდი

რა გაწუხებს?

პიტერი

მე ამ საღამოს ვიგრძენი, რომ მეტს ვეღარ ვუძლებ.
ახლა კიდევ ეს წვეულებაც! ბოდიში, ედუარდ.
რაღა თქმა უნდა, ყველასათვის საამო იყო,
თუმც ჩემთვის – არა. ამაში შენ ბრალი არ გაქვს.
არა მგონია, შეგემჩნია თუ რა ხდებოდა.

ედუარდი

თითქოს შევნიშნე ორიოდ რამ,
ვერ მოგატყუებ, ბოლომდე კი ვერ გავერკვიე.

პიტერი

მიხარია, რომ ვერ შეამჩნიე.
არც ისე კარგად ვიქცეოდი.
მაშინ სხვებიც ვერ შეამჩნევდნენ.
გამოგიტყდები, რომ ჯულია ძლიერ მაშინებს.

ედუარდი

ჯულიას მართლაც ვერაფერს ვერ გამოაპარებ,
მაგრამ ვფიქრობ, რომ გონებაში სულ სხვა რამ ჰქონდა. .

პიტერი

ეს სილიას შეეხება. მე და სილიას.

ედუარდი

რაო, რა ხდება შენს და სილიას შორის?
ფიქრობ, რომ რაღაც გაერთიანებთ?

პიტერი

მეჩვენებოდა, რომ ბევრი რამ გვქონდა საერთო,
ორივენი ხელოვნების მსახურები ვართ.

ედუარდი

ეგ კი არ ვიცი,
რა ხელოვნებას ემსახურებით?

პიტერი

ჩემი რომანი არ გინახავს?
საკმაოდ კარგად შეაფასეს.
მაგრამ ჩვენ უფრო კინოთი ვართ გატაცებულნი.

ედუარდი

ძალიან ხშირად ახალგაზრდებს აერთიანებს,
კინოფილმებით გატაცება.

პიტერი

ცოტა არ იყოს, დამცინავად ამბობ შენ ამას.
სილიას კინო იტაცებდა.

ედუარდი

როგორც შესაძლო პროფესია?

პიტერი

ჰო, შეიძლება,
თუმც პოეზია უფრო იტაცებს.

ედუარდი

ჰო, გავცნობივარ მის პოეზიას –
საგულისხმოა, თუკი ვინმეს სილია მოსწონს.
ლიტერატურულ ღირსებაზე რომ არა ვთქვათ რა,
თუმც მე ვერ განვსჯი.

პიტერი

მე შემიძლია ამის განჯა,
და ვფიქრობ, რომ მართლაც კარგია. მაგრამ ამაში არ არის
საქმე.
საქმე ისაა, რომ ვფიქრობ, საერთო მეტად ბევრი გვაქვს,
და მგონი ისიც ასე ფიქრობს.

ედუარდი

მისი გაცნობა ასე ახლოს როგორ შეძელი.
[შემოდის ალექსი]

ალექსი

აჰ, ედუარდ აქ ხარ! იცი, რატომ შემოგიარე?

ედუარდი

ჯერ ის მითხარი სახლში როგორ შემოაღწიე.

ალექსი

როგორ და კარი ღია დამხვდა როცა მოვედი,
ვიფიქრე, ჩუმად შევიპარები და ვნახავ ვინმე თუ არის მასთან.

პიტერი

ჩანს, ჯულიას დარჩენია კარები ღია.

ედუარდი

არა უშავს, როცა წახვალთ მაშინ დაკეტავთ.

ალექსი

მაგრამ შენ ჩემთან ერთად მოდიხარ, ედუარდ.
ვფიქრობდი, მარტო იქნებოდი ამ საღამოსთვის
და ისიც ვიცი, მარტოობა დიდად არ გიყვარს
ამიტომ უნდა წამოხვიდე და ვისადილოთ.

ედუარდი

მადლობელი ვარ ყურადღებისთვის,
მაგრამ მაინც მირჩევნია, რომ სახლში დავრჩე.

ალექსი

მაგრამ ხომ უნდა ისადილო? გადიხარ გარეთ?
არის აქ ვინმე, შენ რომ სადილი მოგიტანოს?

ედუარდი

ბევრი არაფრის სურვილი მაქვს, თავად მივხედავ.

ალექსი

ამ შემთხვევაში, იცი, რას ვიზამ?
ცოტათი მაინც გაგაოცებ,
ხომ იცი, რომ მშვენიერი მზარეული ვარ.
სამზარეულოს მივაშურებ,
მოგიმზადებ გემრიელ სადილს,
ჩვენ დაგტოვებთ და მარტომ მიირთვი
შენ და პიტერმა ისაუბრეთ,
არ შეგაწუხებთ.

ედუარდი

ძვირფასო ალექს,
საკუჭნაოში ვერაფერს ნახავ მოსამზადებლად რომ ღირდეს.
ამაზე არც კი მიფიქრია.

ალექსი

მაგრამ მე ხომ მაქვს იმის ნიჭი,
არაფრისაგან გემრიელი კერძი რომ შევქმნა.
ნებისმიერი ნარჩენიც კი გამომადგება. აღმოსავლეთში შევისწავლე.
ერთი მუჭა ბრინჯი და ხმელი თევზი მეყოფა,
ნაირ–ნაირი საჭმელების გასაკეთებლად. ნურაფერს იტყვი, ახლავ დავიწყებ.
[გადის სამზარეულოში]

ედუარდი

ჰო, რას ამბობდი?

პიტერი

შენ ხომ მკითხე, თუ სილია სად გავიცანი.
ერთი წლის წინ სწორედ აქ შევხვდი.

ედუარდი

ლავინიას სამოყვარულო ხუთშაბათობით?

პიტერი

ხუთშაბათობით. ვითომ რატომ სამოყვარულო?

ედუარდი

ლავინია ხომ ცდილობს, სალონის დაარსებას
სადაც ვართობდი სტუმრებს არც თუ გამორჩეულებს,
რომ ლავინიას შეცდომები გადამეფარა.
მხოლოდ შენ იყავ ერთადერთი წარმატებული
დროებით მაინც.

პიტერი

მე ვერ ვიტყოდი.
თუმც ლავინია მეპყრობოდა გულისხმიერად
და მისი მეტად მადლიერი ვარ. და მერე კი სილიას შევხ-
ვდი.
ჩემს ნაცნობებში ყველასაგან განსხვავდებოდა
და საუბარსაც იოლად ვერ გაუბედავდი.

ედუარდი

ხშირად ხვდებოდი?

ალექსის ხმა

ედუარდ, ორთქლის მადუღარა გაქვს?

ედუარდი

სადღაც მანდ არის.
რა იქნებოდა სამზარეულო უმადუღაროდ?

ალექსის ხმა

ვერ ვპოულობ და სიურპრიზი აღარ გამომდის.
სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო.

პიტერი

არც თუ ხშირად.
როცა ვხვდებოდი, საუბრის გაბმას ვერ ვახერხებდი.

ედუარდი

შენ და სილიას სულ სხვადასხვა როლები გქონდათ.
შენ ლავინიას აღმოჩენად ყოფნა გევალა,
სილიას კი და მოდა უნდა წარმოედგინა.
ლავინიას ხომ ამბიცია არ ასვენებდა,
თავს იმკვიდრებდა ერთდროულად ორ სამყაროში –
და მათ თვითვე აკავშირებდა
ვფიქრობ, მარცხიც განიცადა სწორედ ამიტომ.

პიტერი

შენი სიტყვებით ეს ყველაფრის დასასრულია?

ედუარდი

ოჰ, არა, არა. არაფერი დასრულებულა,
მაგრამ არ გითქვამს, როგორ მოხდა თქვენი გაცნობა.

პიტერი

მერე კი ვნახე ორი დღის შემდეგ.
კონცერტზე იყო სრულიად მარტო. მეც მარტო ვიყავ.
თავიდან მარტო ვესწრებოდი ხოლმე კონცერტებს,
რადგანაც არვის ვიცნობდი ისეთს, ვისთან ერთადაც წავი-
დოდი.
მერე კი მივხვდი, მარტოობა უფრო მერჩივნა.

მაგრამ სილიას მარტო ყოფნა კი გამიკვირდა,
რადგან ის იმ წრეს მიეკუთვნება, მარტო რომ არსად გამოჩნდებიან
რაც უნდა იყოს, საუბარი გავაბით და ბოლოს აღმოჩნდა,
ჩემსავით მარტო დადიოდა კონცერტზე და კონოფილმებზე,
და მერე ამგვარ გარემოში ხშირად ვხვდებოდით.
ხანდახან ერთად მივდიოდით. იგი სხვებისაგან განსხვავდება,
მარტო იქნება თუ სხვებთან ერთად. ხან ჩაის ვსვამდით
და ერთი–ორჯერ ვისადილეთ.

ედუარდი

და ამის შემდეგ
წარგადგინა მეგობრებთან ანდა ოჯახთან?

პიტერი

არა, თუმც მათზე მელაპარაკა
და ინტელექტის ნაკლებობაც აღნიშნა მათი.

ედუარდი

შემდეგ რა მოხდა?

პიტერი

ოჰ, არაფერიც არ მომხდარა,
მაგრამ ვიფიქრე რომ ის ჩემით დაინტერესდა,
თავს ბედნიერად ვგრძნობდი როცა ერთად ვიყავით,
ვერ გამოვხატავ იმ სიმშვიდეს და კმაყოფილებას,
ბედნიერებით ვიყავი სავსე,
მე გამოვცადე მღელვარება, მგზნებარება

და სურვილი დაუფლებისა, მაგრამ ამოად.
ეს იყო, რაღაც მეტად უცნაური რამ. სრული სიმშვიდე...

ედუარდი

და რამ შეწყვიტა ეს გულწრფელი ურთიერთობა?
[შემოდის ალექსი აკაპიწებული სახელოებითა და წინსაფრით]

ალექსი

ედუარდ, კარის სანელებელი ვერ ვიპოვე.

ედუარდი

არა გვაქვს კარის სანელებელი ლავინია ვერ იტანს კარის.

ალექსი

ეს კიდევ ერთი სიურპრიზი,
მანგოს პოვნას არც კი ველოდი,
მაგრამ მეგონა რომ კარი გქონდათ. [გადის]

პიტერი

ამის გაგება მინდა სწორედ,
ფილმის კადრივით გაუჩინარდა,
უკვე აღარ სურს ჩემი ნახვა,
ათასნაირ მიზეზს იგონებს
და თუკი ვნახავ უცნაური ღელვა შეიპყობს
რაც მერე ჩემზე გადმოდის
და ვერაფერი გამიგია

ედუარდი

ხომ არა ფიქრობ, რომ შენ აღარ აინტერესებ?

პიტერი

ნამდვილად ცდები. მე სულ სხვაგვარად ვფიქრობ ამაზე.
მისი ჩემდამი ინტერესი კი არ მაკლია,
არამედ ის რომ ერთნაირი აღქმები და განცდები გვქონდა
და ისეთი რამ გამოვცადეთ
რაზეც ეჭვიც არ გაგვჩენია.
შენი აზრით კი ინტერესი დაკარგა ჩემში.

ედუარდი

ეს ყველაფერი ბუნებრივია. არც კი იცი
რა იღბლიანი ხარ. დრო გავიდოდა და ყველაფერი
ჩვეულებრივი გახდებოდა, სხვებსაც მოსვლიათ,
როცა პირველი ციებ–ცხელება განელდებოდა.
და მიხვდებოდით რომ ის სხვა იყო და შენ კი - სულ სხვა,
მომილოცავს რომ დროულად იხსენი თავი,

პიტერი

მერჩივნა, სულ არ მოგელოცა.
მსურდა ვინმესთვის გული გამეხსნა,
რომ გამემხილა რაღაც ნამდვილი,
სინამდვილის სულ პირველი გამოცდილება,
და ალბათ ბოლოც. შენ კი ვერ იგებ.

ედუარდი

ძვირფასო პიტერ, მხოლოდ იმას გეუბნებოდი,
რაც მოგელოდათ შენ და სილიას ექვს თვის შემდეგ.
მე მხოლოდ ამის თქმა მინდოდა. რჩევად მიიღე
ან არ მიიღო.

პიტერი

მაგრამ მაშინ როგორ მოვიქცე?

ედუარდი

არანაირად, დაელოდე. დაუბრუნდი კალიფორნიას.

პიტერი

მაგრამ სილია უნდა ვნახო.

ედუარდი

ის ხომ იგივე არ იქნება,
სჯობს რომ დასჯერდე იმ სილიას რომელიც გახსოვს.
გახსოვდეს-მეთქი! რადგან უკვე ხსოვნაა.

პიტერი

მაგრამ, სილია უნდა ვნახო აუცილებლად და ვთხოვო მითხრას,
თუ რა მოხდა, თვითონ რას ფიქრობს.
სანამ სიმართლეს არ გავიგებ ხსოვნის შესახებ,
ვიზიარებდით ინტერესებს ? ერთს და იმავეს ვგრძნობდით თუ არა?
როცა ვუსმენდით მუსიკას ან ფილმს ვუყურებდით?
იყო რაღაცა რეალური? მაგრამ რა არის რეალობა...
[ტელეფონი რეკავს]

ედუარდი

ერთ წუთით ...
[ტელეფონს პასუხობს]
ალო! ახლა ვერ გიპასუხებ.
ჰო, ასეა... კეთილი, როგორც კი შევძლებ,
დაგირეკავ.
[პიტერს მიუტრიალდა]
მაპატიე, რას ამბობდი?

პიტერი

იმას ვამბობდი, თუ რა არის რეალობა,
ორ ირეალურ არსებას შორის?
თუ მოგონებებს დავეყრდნობი,
ყველანაირი მომავალის ატანას შევძლებ,
მოგონების გადასარჩენად უნდა წარსულის სიმართლეს ჩავწვდეთ.

ედუარდი

ხსოვნას ნაფტალინს ვერ დააყრი.
ჩრჩილი მაინც შეუჩნდება. შენ გინდა რომ სილიას შეხვდე.
არ ვიცი, ნეტავ თავს რას ვიცხელებ,
რომ სისულელის ჩადენისგან გადაგარჩინო.
მაინც რა გინდა, რომ გავაკეთო?

პიტერი

ჩემი თხოვნით შეხვდი სილიას.
შენ სხვა მხრივ იცნობ,
თან გაცილებით უფროსი ხარ.

ედუარდი

გაცილებით უფროსი?

პიტერი

დიახ, იმედი მაქვს, რომ მოგისმენს.
როგორც განზე მდგომ ადამიანს.

ედუარდი

კეთილი, მაშინ ვნახავ სილიას.

პიტერი

გმადლობ, ედუარდ, შენგან ეს დიდი სიკეთეა.
[შემოდის ალექსი პიჯაკჩაცმული]

ალექსი

ოჰ, ედუარდ, ეს რა გემრიელი რამ მოგიმზადე.
ნამდვილად ვფიქრობ, აღემატება
ჩემს ყველა ტრიუმფს. როცა რაღაცას გააკეთებ არაფრისაგან!
თვით ალბანეთში ყოფნის დროსაც კი,
არ შემიქმნია არაფერი ასე მწირი სანოვაგისგან,
მაცივარში რომ აღმოვაჩინე. მაგრამ,
იღბალმა გამიღიმა, როცა ექვსი კვერცხი ვიპოვე.

ედუარდი

რაო? ყველა კვერცხი გახარჯე? ლავინიას დეიდამ
რომ სულ ახლახანს გამომიგზავნა,

ალექსი

მაშ, დეიდა ნამდვილად არის.
ეს აშკარა ნივთმტკიცებაა.

ედუარდი

არა, ვგულისხმობ სულ სხვა დეიდას.

ალექსი

გასაგებია მართლაც დეიდა. მაგრამ დამრჩები მადლიერი.
მონტენეგროში არც თუ ისე ბევრი გლეხია,
ისეთი კერძი რომ ეღირსოთ შენ რომ მიირთმევ.

ედუარდი

მაგრამ საუზმე?

ალექსი

საუზმისთვის ნუ იდარდებ,
ინებე რაც გსურს, ტოსტ იქნება თუ შავი ყავა.
კერძი კიდევ დუღს,

ათ წუთზე მეტ ხანს ნუ დატოვებ.
ახლა კი წავალ და პიტერსაც გავიყოლებ.

პიტერი

ედუარდ, ძლიერ მოგაცდინე,
და შენ კი მარტო ყოფნა გინდა. ლავინია რომ დაბრუნდება,
მომიკითხე დიდ სიყვარულით, მაგრამ მერჩივნა
რაც გიამბე არ გაგემხილა.

ედუარდი

ლავინიას არაფერს ვეტყვი.

პიტერი

გმადლობ, ედუარდ, ღამემშვიდობის.

ედუარდი

ღამემშვიდობის, პიტერ,
და ღამემშვიდობის, ალექს. გთხოვთ როცა გახვალთ
კარი დახურეთ. და თან ჩაკეტეთ.

ალექსი

გახსოვდეს ედუარდ ათ წუთზე მეტი არ გააჩერო.
ოცი წუთიც თუ დატოვე, ჩემი შრომა ფუჭი იქნება. [ალექ-
სი და პიტერი გადიან]
[ედუარდი იღებს ტელეფონს და კრეფს ნომერს.]

ედუარდი

მის სილია კოპლსტონი შინ არის? რამდენი ხანია?
... არა, არაუშავს.

ფ ა რ დ ა

სცენა მეორე

იგივე ოთახი: თხუთმეტი წუთის შემდეგ. ედუარდი მარტოა, პასიანსს შლის. ზარი რეკავს და მიდის კარის გასაღებად.

სილიას ხმა
მარტო ხარ?
[ედუარდი სილიასთან ერთად ბრუნდება]

ედუარდი

სილია! რატომ დაბრუნდი?
ხომ გთხარი როგორც კი შევძლებ, დაგირეკავ – თქო.
სულ ცოტა ხნის წინ ვცადე შენთან დაკავშირება.

სილია

თუ შენთან ვინმე დამხვდებოდა
ვიტყოდი, ქოლგა დამრჩა-მეთქი ...
როგორც ჩანს არც თუ გიხარია ჩემი დანახვა.
ედუარდ, მესმის, თუ რა მოხდა,
მაგრამ ვერ მივხვდი ტელეფონში რა დაგემართა.
ეს შენ არ გგავდა. ასე, რომ ვიგრძენ, რომ უნდა მენახე.
თქვი, ყველაფერი კარგადაა და მე დაგტოვებ.

ედუარდი

როგორ ახსნი იმას რაც მოხდა?
ვერ გამიგია, რა მოხდა ან რა უნდა მოხდეს.
და რომ გავიგო, მსურს მარტო დავრჩე.

სილია

უნდა მეფიქრა, მისახვედრად ადვილი იყო.
ლავინიამ ხომ მიგატოვა.

ედუარდი

ჰო, ასე მოხდა
და ყველასთვის ცხადიც იყო.

სილია

ცხადი იყო, რომ დეიდა გამოიგონე.
ეს ვითარებამ გამოიწვია და არც თუ კარგად.
ჯობდა რომ თავი ჯულიასგან უკეთ დაგეხსნა;
მაგრამ რას იზამ, მალე მაინც ყველა გაიგებს.
ეს ყველაფერი დაბრკოლებებს არ მოაგვარებს?

ედუარდი

არა, მან უფრო გაამძაფრა სიძნელეები.

სილია

სინამდვილეში ყველაფერი დროებითია.
შენ ხომ იცი, რომ დავმორჩილდი გარემოებას;
განქორწინება დაანგრევდა შენს კარიერას;
ვფიქრობდით, რომ არასოდეს არ მიგატოვებდა.
შენ ხომ არ გჯერა ის სისულელე,
რომ ყოველთვის ქმარს ეყრებიან?
და თუკი ქალი საფუძველს მოგცემს ...

ედუარდი

მესმის, მაგრამ ასე არაა,
ლავინია უკან ბრუნდება.

სილია

უკან ბრუნდება!
იმას გულისხმობ, რომ მახეს გვიგებს?

ედუარდი

არა, მაგრამ თუ ეს მახეა, ჩვენ ყველანი გაბმულები ვართ.
და ეს მახე საკუთარ თავს თვითონ დავუგეთ. ის კი არ ვიცი,
თუ რა მახეა.

სილია

მაშინ რა მოხდა?
[ტელეფონი რეკავს]

ედუარდი

ღმერთმა დასწყევლოს ეს ტელეფონი. იძულებული ვარ ვუპასუხო.
ალო!... ოჰ, ალო! არა. ჰო, დიახ, ალექს.
ჰო, რა თქმა უნდა, დიდებულია.
ჯერ ასეთი რამ არ მიგემნია ...
ოჰ, ეგ ძალზე საგულისხმოა, მაგრამ ნეტავი
მაგრამ ვაი თუ კუჭზე დამაწვეს.
ოჰ, არა, ალექს, ყველი არ მინდა.
ყველი მაქვს...მაგრამ არა, ნორვეგიული.

მაგრამ ყველი მართლაც არ მინდა. ფლოსტები? რაო?

ოჰ, იუგოსლავიიდან? ... შავი ქლიავი და ალკოჰოლი?
არა, ნადვილად. ალექს, არ მინდა.
დაქანცული ვარ. მადლობა, ალექს.
ღამემშვიდობის.

სილია

ეს რაღა იყო?

ედუარდი

ალექსი იყო.

სილია

ვიცი, ვინც იყო.
მაგრამ რა გითხრა?

ედუარდი

სულ დამავიწყდა.
ცოტა ხნის წინ შემომიარა.
და აიჩემა, ვახშამი უნდა მოგიმზადოო,
თან დააყოლა, რომ ათ წუთში უნდა მეჭამა.
მაგრამ მგონი ჯერაც თუხთუხებს.

სილია

ჯერც თუხთუხებს?
ვიფიქრე, რაღაც სუნი ტრიალებს – მეთქი.
რაღა თქმა უნდა, ჯერაც თუხთუხებს –
წავალ გავიგებ, ნეტავ რა ხდება.
[ოთახიდან გასვლას აპირებს]

ედუარდი

ღვთის გულისათვის, ნუ შეწუხდები!

[სილია გადის]
მოულოდნელად რომ მოვიდეს და იქ გნახოს.
[ედუარდი მაგიდასთან მიდის და ამოწმებს პასიანსს. კარტს ურევს. კარზე ზარი გაუჩერებლივ რეკავს. შემოდის წინსაფრიანი სილია.]

სილია

ედუარდ, ჯობია, კარი გააღო.
ასე აჯობებს, თავს ნუ დაკარგავ.
ხომ იცი, ქოლგა ნამდვილად დამრჩა;
ვიტყვი, რომ გნახე მშიერი და სრულად უმწეო
ამიტომ რამე უნდა მეღონა. ასე თუ ისე, დავრჩები და
და დამალვასაც აღარ ვაპირებ.
[ბრუნდება სამზარეულოში. ზარი ისევ ისმის. ედუარდი მიდის წინკართან და მისი ლაპარაკი ისმის]
ჯულია!
რისთვის დაბრუნდი?
[შემოდის ჯულია]

ჯულია

უცებ მეწვია შთაგონება.
[შემოდის სილია ტაფით ხელში]

სილია

ედუარდ, სულ მთლად დანახშირდა!

ედუარდი

ძალიან კარგი.

სილია

მაგრამ ტაფაც რომ აღარ ვარგა,

ედუარდი

და ექვსი კვერცხიც.
საუზმისთვის რომ ვინახავდი.
მეტი არაფრის გაკეთება არც შემიძლია.

ჯულია

სილია, მგონი ორივეს ერთნაირი აზრი გაგვიჩნდა,
ედუარდს რამე უნდა ვაჭამოთ.
გადაიქანცა. ჩვენ მას ძალ–ღონე უნდა შევმატოთ.
ედუარდ, ვერც კი წარმოიდგენ, რა იღბალი გაქვს,
ორი სამარიტელი თავს დაგტრიალებს. ამისი მსგავსი არც
კი მსმენია.

ედუარდი

მძარცველთა ხელში ჩავარდნილი კაცი ჩემზე იღბლიანია.
ეგებ ცოცხალი გადაურჩეს.

ჯულია

ედუარდ, ნუ უმადურობ!
ნეტავ რა არის მაგ მაცივარში?

სილია

კაცმა არ იცის.

ედუარდი

სწორედ ისაა, რაც ალექსმა მომიმზადა
ასეც იზამდა. სამი კეთილი სამარიტელი.
სულ დამავიწყდა ამის შესახებ.

ჯულია

მაგრამ ამას ხელი არ ახლო..

ედუარდ

რა თქმა უნდა, არ შევეხები.

ჯულია

ძვირფასო, უნდა მეთქვა შენთვის.
ყველაფერი, რასაც აკეთებს, მომწამვლელია.
მინდოდა მეთქვა თუ რამდენი კაცი მოწამლა.
ახლა, ძვირფასო, წინსაფარი დამითმე
და გაჩვენებ, რაც შემიძლია. დარჩი და ედუარდს ელაპარ-
აკე. [ჯულია გადის]

სილია

მაგრამ რა მოხდა, ედუარდ? რა მოხდა?

ედუარდი

მგონი, ბრუნდება ლავინია.

სილია

ასე ფიქრობ! მაგრამ არ იცი?

ედუარდი

არა, მაგრამ მჯერა იმ კაცის, აქ რომ იყო...

სილია

ჰოდა, ვინ იყო ნეტავ ის კაცი? ცოტა არ იყოს შემაშინა.
მგონი ის რაღაც ძალას ფლობდა.

ედუარდი

მე მას არ ვიცნობ.
მაგრამ როდესაც ყველა წახვედით, ჩვენ ვისაუბრეთ.
მითხრა, რომ ლავინია ხვალ დაბრუნდება.

სილია

რისთვის სჭირდება ლავინიას აქ დაბრუნება?
თუკი არ არის თვითონ ეშმაკი? მჯერა ასეა.

ედუარდი

ეს იმიტომ რომ მე თვითონ ვთხოვე.

სილია

შენ თვითონ სთხოვე?
მაშ თვით ეშმაკი უნდა იყოს! მოგაჯადოვა.
როგორ გაგიჩნდა ეს სურვილი?
[სამზარეულოდან თითქოს სროლის ხმა ისმის]

ედუარდი

რა ჯანდაბაა?
[შემოდის ჯულია, წინსაფარი უკეთია, ლანგარი და სამი ჭიქა მოაქვს]

ჯულია

იცით რას ვფიქრობ!
აქ საჭმელისთვის არაფერია,
ვეძებე, მაგრამ შემრჩა მხოლოდ შამპანიური,
ნახევარი ბოთლიც არ არის
და, თან თბილია. მაგრამ ძალზე სასიამოვნო;
ვფიქრობ იმდენი რამ განვიცადეთ, გამხნევება სულ არ გვაწყენდა.
მე თვითონ გეტყვით სადღეგრძელოს.
გამოიცანით, ვისი სადღეგრძელო უნდა დავლიო.

ედუარდი

არა, ვერ ვიტყვი, მაგრამ ალექსის სადღეგრძელოს მე არ დავლევდი.

ჯულია

არა, ალექსს არა ვგულისხმობ. ლავინიას დეიდის იყოს
მას გაუმარჯოს. თქვენ ამას უნდა მიმხვდარიყავით.

ედუარდი და სილია

ლავინიას დეიდა?

ჯულია

ახლა ვკითხულობ
რა უნდა ვქნათ? პასუხი ძალზე მარტივია.
რესტორნისათვის ადრეცაა და თან გვიანაც.
და ამიტომაც ორივენი ჩემთან წამოხვალთ.

ედუარდი

ვწუხვარ, ჯულია,
მაგრამ მეტად გადაღლილი ვარ, თანაც არ მშია.
რამდენიმე ბისკვიტს შევჭამ.

ჯულია

და შენ, სილია?
წამოდი, ცოტა წავივახშმოთ .
ძალზე მსუბუქად.

სილია

გმადლობ, ჯულია.
წამოგყვები ათიოდ წუთში. მაგრამ მანამდე
რაღაც მინდა ვუთხრა ედუარდს.

ჯულია

ლავინიაზე?
კეთილი, მაგრამ სწრაფად წამოდი და ტაქსი გააჩერე.
ისე გატყობ რომ ძალიან გშია.
მშვიდობით ედუარდ.
[ჯულია გადის]
სილია
ჰო, მაგრამ როგორ დაგარწმუნა?

ედუარდი

როგორ დამარწმუნა? დამარწმუნა კი?
მე ყველაფერი ნათლადა მახსოვს,
რომ ის ცდილობდა ჩემს დარწმუნებას,
ძალზე კარგია ლავინია რომ წავიდაო,
რომ მადლობელი უნდა ვიყო.
და მაინც ყველა მისი არგუმენტი მიუთითებდა
რომ მერწმუნა ლავინიას დაბრუნების უმჯობესობა.

სილია

ეს ხომ ეშმაკის მეთოდია! როგორც ჩანს გინდა რომ დაბ-
რუნდეს!
ლავინია! მაშ ერთადერთი შენი სურვილი,
გაყრის თავიდან აცილებაა – უამურობის!
არა, ეს ასე ვერ იქნება. არა მგონია, ასე იყოს.
დაქანცულობის გამო დანებდი. შიშმა შეგიპყრო,
არ გინდა თვალი გაუსწორო უბედურებას.

ედუარდი

ასე არ არის. მხოლოდ ამაშიც არ არის საქმე.

სილია

და ეს არ არის მხოლოდ საქმე თავმოყვარობის;
ალბათ ფიქრობ რომ შენ დაგცინებს მთელი სამყარო
რომ შენმა ცოლმა მიგატოვა სხვა კაცისათვის?
მალე ყველაფერს მოაგვარებ, ედუარდ,
მოინდომე, გათავისუფლდი.

ედუარდი

არა, მაგაში არ არის საქმე.
და ყველაფერი იმ კაცმა მითხრა
რაილის რომ ვარქმევ სახელად, თუმცა რაილი არა ჰქვია;
ეს მხოლოდ იმის სახელია, ვისზეც მღეროდა ...

სილია

ჩანს, რომ გიმღერა რაილიზე!
ედუარდ, ვფიქრობ მართლაც შეშლილხარ
და ნერვიული აშლილობის ზღვარს მიაღწიე.
ედუარდ, მივდივარ, მაგრამ შემპირდი,
რომ საუკეთესო ექიმს მოძებნი,
ვისზეც მსმენია და სახელად ჰქვია რაილი!

ედუარდი

მე დამჭირდება უკეთესზე კარგი ექიმი,
ამ სნებისაგან განსაკურნებლად.

სილია

ედუარდ მივდივარ,
დამპირდი რომ ყველაფერი კარგად იქნება
რომ ლავინიას დაბრუნება არ განგიზრახავს,
და გინდა, რომ გათავისუფლდე,
და რომ ჩვენს შორის ყველაფერი კარგად იქნება,

გულწრფელად ედუარდ, მხოლოდ ეს არის, რასაც ჩემთვის მნიშვნელობა აქვს.
და თუ ასეა, ყველაფერი კარგად იქნება.

ედუარდი

არა, სილია.
მადლობელი ვარ, ყველაფერი მშვენივრად იყო
და თანაც ვფიქრობ, მეტად კარგი პიროვნება ხარ
მაგრამ იყო ძალიან გვიან. უნდა მცოდნოდა,
რომ შენ მიმართ მართალი ვერ გამოვიდოდი

სილია

არ იყავი ჩემთან მართალი?
ჩემ წინ დგარხარ და მეუბნები, არ იყავი ჩემთან მართალი?

ედუარდი

ლავინია რომ არ წასულიყო, ჩვენს შორის ეს არ მოხდებოდა.
შენ როგორ ფიქრობ, რა მომავალი გვექნებოდა?

სილია

მომავალზე არ მიფიქრია,
მომავალი მანამ დავტოვე, სანამ შეხვედრებს დავიწყებდით
და მას შემდეგ აწმყოში ვცხოვრობ,
დროს მნიშვნელობა დაეკარგა და ეს იყო ჩვენი სამყარო,
სადაც სიტყვას, „ბედნიერება“, განსხვავებული აზრი ჰქონდა
ან ასე ჩანდა.

ედუარდი

გამიგონია ასეთი რამ.

სილია

ოცნება. რა ბედნიერი ვიყავი დღემდე.
და მერე, როცა ლავინიას შესახებ მკითხა ჯულიამ
და იმასაც მივხვდი, რომ ლავინიამ მიგატოვა
და რომ თავისუფალი იქნებოდი – მერე უცებ აღმოვაჩინე,
რომ არ კმაროდა მხოლოდ ოცნება, და უფრო მეტი რამ მინდოდა.
და ვიცდიდი, და მინდოდა, რომ მოვსულიყავ შენთან და მეთქვა.
ალბათ, ოცნება მაინც სჯობდა. ყველაფერი რეალობად მეჩვენებოდა,
და თუ ეს არის რეალობა, ის ოცნებას ჰგავს.
ალბათ, ჩემსავე ოცნებას მე თვითონვე ვუღალატე,
აღმოვაჩინე, რომ ორივე სამყარო მსურდა,
.... ჰო ეს მამცირებს.

ედუარდი

იმის მიზეზი არ არსებობს, რომ თავი იგრძნო დამცირებულად...

სილია

ოჰ, არც იფიქრო, რომ შენ შეძლებ ჩემს დამცირებას!
დამცირება, რაც მე ჩემს თავს თავად დავმართე.
არც იმის მჯერა, რომ შენ მართლაც რეალური ხარ,
იმდენად მაინც, რომ დამამცირო. იმას ვგულისხმობ, რომ ქალების უმეტესობა
დამცირებულად იგრძნობს თავს, თუ მიხვდა, რომ კაცი,
რომელთანაც მშვენიერებას იზიარებდნენ,
მათ იყენებდა, როგორც გასართობს.

ედუარდი

მე შენ დროებით გასართობად არ მიმაჩნიხარ,
თუ გსურს, დროებით გასართობზე ვილაპარაკოთ,
მაშინ პიტერზე რაღას იტყვი?

სილია

რაო პიტერი? ვინ პიტერი?

ედუარდი

პიტერ კვილპი, ამ საღამოს ჩემთან რომ იყო. ისიც შენსავ-
ით ოცნებობდა
და ახლა კი უბედურია,საგონებელში ჩავარდნილა.

სილია

არ ვიცი, ედუარდ რას მეუბნები,
ეს შენგან მხოლოდ უხეშობაა და თან ხრიკია თავდასაძ-
ვრენი,
მე და პიტერს არაფერი გვაკავშირებდა.

ედუარდი

არაფერი გაკავშირებდათ?
მას კი რაღაცის იმედი ჰქონდა.
სწორედ ამაზე სასაუბროდ მოვიდა ჩემთან.

სილია

ეს ყველაფერი სასაცილოა! ჩვენ არაფერი გვაკავშირებდა,
და მიზეზიც არ მიმიცია, რომ ეფიქრა რომ ის მომწონდა,
თუმცა ვფიქრობდი, რომ ნიჭი ჰქონდა, თან მარტოსულად
მომეჩვენა.
ვფიქრობდი, იქნებ ვუშველო – მეთქი, კონცერტებზე და-
ვატარებდი,

მაგრამ როდესაც მოისურვა უფრო მეტად დაახლოება,
პატივმოყვარედ მომეჩვენა და ინტერესიც დამეკარგა.
მაგრამ პიტერი რა შუაშია? საქმე ის არის
რომ ლავინია გენატრება. და თუ ასე გსურს,
უმჯობესია, რომ იგი გყავდეს.

ედუარდი

ასე არ არის.
არა მგონია რომ მიყვარდეს,
არც ის მგონია, რომ ოდესმე მეყვარებოდა.
და თუ ოდესმე მყვარებია - და ასეც იყო –
მაშინ შენ გარდა არავინაც არ მყვარებია.
ალბათ ასეა, მაგრამ დიდხანს ვერ გაგრძელდება.
ეს ყველაფერი მუდმივად ვერ გაგრძელდებოდა,
სჯობს თანატოლი კაცი მოძებნო.

სილია

არა მგონია, შენი რჩევა რომ მჭირდებოდეს,
არც გევალება, რომ იფიქრო ჩემს მომავალზე. იმედი კი
მაქვს,
რომ შენს მომავალს თვითონ განსაზღვრავ. და თუ არას-
დროს
ლავინია არ გყვარებია,
მაშ რაღა გინდა?

ედუარდი

აბა რა ვიცი,
ერთადერთი რამ, რაშიც ეჭვი არ მეპარება
ის არის მხოლოდ, რომ დილიდან ასე მგონია,
თავი შევიცან შუახნის კაცად.

და უფო მეტიც, ბერიკაცი მგონია თავი.
საშინელია იმის შეგრძნება რომ დაგეკარგება
იმის სურვილი, რაც ყველაზე ძვირფასი იყო,
მანამდე სანამ შეგიძლია გსურდეს რაიმე.
ვიდრე შეიცნობ, თუ რა არის კვლავ სასურველი
და ისევ ნატრობ შენს სასურველს რომ მიაღწიო,
მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ.
როგორ გაიგებ, თუ რა არის იმის შეგრძნება, რომ ბებერი ხარ.

სილია

მაგრამ მე მინდა რომ გაგიგო. უნარი შემწევს
და, ედუარდ, მერწმუნე, რაც უნდა მოხდეს,
არ შეგიძულებ, მხოლოდ და მხოლოდ შემეცოდები.
მაგრამ მე მელის უარყოფის საშიშროება;
შენ კი რა გელის მომავალში? ამაზე ფიქრსაც კი ვერ ავიტან,
ოჰ, ედუარდ! შეძლებ ბედნიერებას ლავინიასთან?

ედუარდი

არა, სად არის ბედნიერება?! ან თუ იქნება,
მხოლოდ ის თუ გვეცოდინება,
მშვენიერება ვერ გამოკვებს უბადრუკობას.
აღფრთოვანება ვერ განკურნავს უნიათობას.
ვხედავ, ცხოვრება გათვლილი იყო უკვე წინასწარ,
და გაბრძოლება ამ ცხოვრებისგან თავდასახსნელად,
მხოლოდ თავის დარწმუნება-დაჯერებაა,
რომ ის რაც არის, არც კი არის ან მისი შეცვლა შეიძლება.
როდესაც თავი გეუბნება, „მე ეს მინდა ანდა ის მინდა“ -
კაცი, რომელიც მოისურვებს, სისუსტეს იჩენს,

და საბოლოოდ, მაინც თანხმდება,
კერპსა და ჯიუტს, ვინც არას ამბობს,
არც საუბრობს, და არც კამათობს.
ზოგი იზრუნებს საკუთარ თავზე,
მაგრამ მე არა, რადგან სუსტი ვარ და მოსაწყენი,
უსუსურ კაცის ჯიუტი სული.
და თუ ზედმეტს მოინდომებს, მარცხსაც განიცდის
არასასურველ მეგობრობაში – და მხოლოდ მაშინ გაიფურჩქნება
როს დანებდება ძლიერ მეწყვილეს.

სილია

დარწმუნებული არა ვარ, ედუარდ, რომ შენი მესმის,
თუმც ახლა უფრო კარგად გაგიგე.
ვფიქრობ და მჯერა, რომ საკუთარ თავს უფრო ჰგავხარ
ვიდრე აქამდე იყავი ჩემთან.
რაც შენ გიყურებ, უკვე ორჯერ იცვალე სახე.
გიყურებდი და ვფიქრობდი, რომ შენი სახის
თვითეული ნაკვთი მიყვარდა; და ამ ცქერაში
ისე დამჭკნარა, თითქოს მუმიას გადავხადე უცებ სუდარა.
ვუსმენდი შენს ხმას, ყოველთვის რომ ამათრთოლებდა
და ახლა სულ სხვა ხმად იქცა; ეს ხმა არაა,
რაც გავიგონე, მხოლოდ მწერის ბზუილი იყო –
მშრალი, გაბმული, უგუნური, ადამიანურ აზრს მოკლებული.
თითქოს ფეხებს ერთმანეთზე ახახუნებდე,
კალიასავით. მე გიყურებდი და ვუსმენდი შენს გულს და შენს სისხლს.
და დავინახე მხოლოდ ხოჭო კაცის ზომისა,

რომელსაც შიგნით არაფერი აქვს, გარდა იმისა
რაც გასრესილ ხოჭოსგან რჩება.

ედუარდი

ალბათ, სწორედ რომ ასეთი ვარ.
გამსრისე, თუკი მოგესურვება.

სილია

არა, არ გაგსრეს.
ეს ის არ არის, რაც შენა ხარ. მხოლოდ ის არის, რაც დარ-
ჩა მისგან,
რაც შენ მეგონე. მე სხვა კაცს ვხედავ,
გხედავ და ვფიქრობ, რომ არასოდეს მინახიხარ.
კაცი, რომელსაც ადრე ვხედავდი იყო მხოლოდღა იმის
აჩრდილი -
ახლაღა ვხვდები - იმის, რაც მსურდა.
არა, არ მსურდა, რომლისკენაც მივისწრაფოდი,
სასოწარკვეთით რომ ვნატრობდი მის არსებობას.
ეს სადღაც უნდა მომხდარიყო. მაგრამ, რა? ან სად?
ედუარდ, ვფიქრობ, რომ მე უბრალოდ გიყენებდი.
გთხოვ, მომიტევო.

ედუარდი

ნუთუ შენ მთხოვ ... რომ გაპატიო?

სილია

დიახ და ორი რამის გამო. პირველი...
[რეკავს ტელეფონი]

ედუარდი

წყეულიც იყოს ეს ტელეფონი. ვფიქრობ, რომ უნდა ვუპა-
სუხო.

სილია

ჰო, ჯობს, უპასუხო.

ედუარდი

ალო! ოჰ, ჯულია! ახლა რა მოხდა?
ისევ სათვალე... სად დატოვე?
თუ მთელს სახლში უნდა ვეძებოთ .... ვეძებო.
ჩანთაში ნახე?.... თავი ნუ მომაბეზრე,
დარწმუნებული ხარ, რომ იქ არის? შამპანურის ბოთლის
გვერდით?
ასე გგონია? ძალიან კარგი, თუ გინდა, ვნახავ...
ჩვენ ... მე მოვძებნი.

სილია

ჰო, შენ მოძებნე.
აღარ მიხსენო მე ეგ შენი სამზარეულო.
[ედუარდი გადის. ბრუნდება სათვალით და ბოთლით]

ედუარდი

ძლივს მართალი თქვა.

სილია

ის ხომ ყოველთვის მართალია,
მაგრამ ეს ბოთლი, ცარიელი, რაღად გინდოდა?

ედუარდი

სულაც არ არის ცარიელი. ნაკლული კია,
მაგრამ რატომ თქვა, რომ ნახევრად დაცლილიაო?
საუკეთესო შამპანურია და სანახევროდ დაცლილი ბოთ-
ლები არ მაქვს.
ჰო, ვიმედოვნებ, ბოლო ჭიქას რომ ერთად დავლევთ.

სილია

რის აღსანიშნად უნდა დავლიოთ?

ედუარდი

ანდა ვინ უნდა ვადღეგრძელოთ?

სილია

მზრუნველები.

ედუარდი

ვინ მზრუნველები?

სილია

მზრუნველები. მაგათზე ხომ შენ საუბრობდი.
[სვამენ]
იქნებ ჯულიაც იყოს ასეთი
ეგება ისიც ზრუნავს ჩემზე. მომე სათვალე.
ედუარდ ღამემშვიდობისა.

ედუარდი

სილია ღამემშვიდობისა.
[სილია გადის]
ოჰ!
[ყურმილს ხელს სტაცებს]
ალო, ჯულია! მანდ ხარ
ძალიან ვწუხვარ, რომ გალოდინე.
მაგრამ ჩვენ... მე მისი ძებნა გამიჭირდა. არა, ვიპოვე.
... ჰო, მოაქვს შენთან.
ღამემშვიდობის.

ფ ა რ დ ა

სცენა მესამე

იგივე ოთახი. მეორე დღის გვიანი ნაშუადღევი. ედუარდი მარტოა. მიდის კარის გასაღებად.

ედუარდი

ოჰ... საღამომშვიდობისა. [შემოდის ამოუცნობი სტუმარი]

ამოუცნობი სტუმარი

საღამომშვიდობისა, მისტერ ჩემბერლენ.

ედუარდი

შემოგთავაზოთ ჯინი და წყალი?

ამოუცნობი სტუმარი

არა, გმადლობთ. სხვა საქმეზე ვარ.

ედუარდი

მარტო მოხვედით, როგორც ჩანს, საქმე არ გამოვიდა.

ამოუცნობი სტუმარი

არა სრულებით. მე მოვედი, რომ შეგახსენოთ, რაც გადაწყვიტეთ.

ედუარდი

თქვენ გგონიათ, რომ გადავიფიქრე?

ამოუცნობი სტუმარი

არა, ვერ შეძლებთ გადაფიქრებას,
რადგან ჯერ უნდა აიტანოთ, რაც გადაწყვიტეთ.
მოვედი გითხრათ, რომ თქვენ მალე გადაიფიქრებთ,
თუმც მნიშვნელობა აღარ ექნება. გვიან იქნება.

ედუარდი

სანახევროდ გადავწყვიტე გადაფიქრება.
თავისუფალი ვარ არჩევანში.

ამოუცნობი სტუმარი

აზრს კი შეიცვლით, მაგრამ არ ხართ თავისუფალი.
გუშინ შეგეძლოთ, თავისუფლად რომ გემოქმედათ,
და გადაწყვიტეთ. თქვენი ცხოვრება და სხვებისაც აამოძრავეთ
და უკან ვეღარ დააბრუნებთ. ერთი ეს არის
და მეორე კი ის გახლავთ, რომ მეტად ძნელია
მკვდრის გაცოცხლება.

ედუარდი

მკვდრის გაცოცხლება?
ფიგურალური ნათქვამია, ცოტა არ იყოს და ... დრამატულიც,
რადგან გუშინ დამტოვა ცოლმა.

ამოუცნობი სტუმარი

აჰ, ერთმანეთის გულისთვის ყოველ დღე ვკვდებით,
მაგრამ რაც ჩვენ სხვა ხალხზე ვიცით,

მხოლოდ ხსოვნაა იმ წუთებისა,
როცა ვიცნობდით და მას შემდეგ კი შეიცვალნენ.
თავის ვიკატუნებთ, რომ ჩვენ ერთნი ვართ,
ამით ვამყარებთ სასარგებლო და ხელსაყრელ პირობითობას,
რომელიც უნდა დავარღვიოთ და აგრეთვე უნდა გვახსოვდეს,
რომ ყოველი შეხვედრისას ჩვენ უცხოს ვხვდებით.

ედუარდი

ასე, რომ გინდათ, ისე შევხვდე ჩემს ცოლს, ვით უცხოს?
ეს კი ადვილი არ იქნება.

ამოუცნობი სტუმარი

ძალზე ძნელია,
თავის მოკატუნება კი უფრო ძნელი, თითქოს არა ხართ უცხოები.
მოსიყვარულე მოჩვენებები: დიდედისა,
ხალისიანი, ბერბიჭა ბიძის, საშობაო წვეულებისას,
საყვარელ ძიძის – მათი, ვინაც ბავშვობის წლები
გამოგატარეს კომფორტულად, მხიარულად და უზრუნველად,
ისინი თუ დაბრუნდებოდნენ, განა ეს არ გაგაოგნებდა?
რას ეტყოდი მათ და ისინი რაღას გეტყოდნენ
პირველ ათ წუთში? შენთვის ხომ ძნელი იქნებოდა,
რომ უცხოსავით მოპყრობოდი, და უფრო ძნელი იქნებოდა,
გაუცხოება დაგემალათ ერთმანეთისთვის.

ედუარდი

ალბათ, ძნელად თუ ელოდებით
ჩემი ცხოვრების ხუთი წელი რომ ამოვშალო.

ამოუცნობი სტუმარი

გთხოვ, არაფერი დაივიწყო.
დავიწყების ცდა დაფარვის ცდაა.

ედუარდი

ნამდვილად არის ბევრი რამე, დავიწყებას რომ ვისურვებდი.

ამოუცნობი სტუმარი

და ბევრი ვინმეც, მაგრამ არა ღირს დავიწება.
პირისპირ უნდა შეხვდე ყველას, მაგრამ შეხვდე, როგორც უცხოებს.

ედუარდი

მაშინ მეც უცხო უნდა ვიყო.

უცნობი სტუმარი

შენს თავთანაც კი. მაგრამ გახსოვდეს,
ცოლს შეხვდები, შეკითხვებით არ შეაწუხო
და არც აუხსნა არაფერი. მასაც იგივე ავუხსენი.
ნუ დაახრჩობთ ერთიმეორეს კვანძად შეკრული მოგონებებით.
ახლა მე წავალ.

ედუარდი

მოიცა! ერთად დაბრუნდებით?

უცნობი სტუმარი

არა, ერთად არ დავბრუნდებით.

ედუარდი

არ ვიცი, რატომ
მაგრამ ვფიქრობ, რომ აჯობებს თუ თავად მოვიყვან.

ამოუცნობი სტუმარი

ვიცი, რომ ამას მოისურვებდი. მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო,
რომლის ახსნისთვის მზად არ ვარ, უნდა გთხოვო, რომ ჩემზე მასთან არაფერი თქვა,
და, შენთან, ისიც არ მახსენებს.

ედუარდი

პირობას გაძლევ.

ამოუცნობი სტუმარი

ახლა კი სტუმრებს დაელოდე.

ედუარდი

შეიძლება, ერთი რამ გკითხო?

ამოუცნობი სტუმარი

ჰო, შეგიძლია.

ედუარდი

ვინ ხარ?

უცნობი სტუმარი

მეც აგრეთვე უცხო გახლავარ.
[გადის. პაუზა. ედუარდი მოუსვენრად დადის აქეთ–იქით. ზარი რეკავს. და ის მიდის წინკართან]

ედუარდი

სილია!

სილია

ხომ არ დაბრუნდა ლავინია?

ედუარდი

სილია, რატომ მოხვედი?
ლავინიას ყოველ წამს ველი.
აქ არ უნდა იყო. რატომ მოხვედი?

სილია

იმიტომ, რომ ლავინიამ მთხოვა თვითონვე.

ედუარდი

იმიტომ, რომ ლავინიამ თვითონვე გთხოვა?!

სილია

არა, პირდაპირ ასე არა. იმან ჯულიას უდეპეშა,
სადაც სთხოვა მას მოსვლა და ჩემი მოყვანა.
მაგრამ ჯულია შეყოვნდა და მე გამომიშვა.

ედუარდი

ეს ყველაფერი მეტისმეტად უცნაურია. და სულაც არ ჰგავს ლავინიას.
ვფიქრობ, რომ სხვა გზა აღარ არის, მხოლოდ ლოდინი დაგვრჩენია.
ხომ არ დაჯდები?

სილია

გმადლობ. [პაუზა]

ედუარდი

ღმერთო ჩემო, რაზე უნდა ვილაპარაკოთ?
ასე ჩუმად ხომ ვერ ვიჯდებით.

სილია

მე კი შემეძლო ასე ჯდომა.
და გიყურებდი. ედუარდ, სიცილი მაპატიე.

პატარა ბიჭს გავხარ, დირექტორთან რომ დაიბარეს,
და არც კი იცის თუ რაშია გამოჭერილი.
ადრე ასეთი არ მინახიხარ.
ეს ხომ მართლაც სასაცილოა

ედუარდი

აქ სასაცილო არაფერია.

სილია

მართლა კი არ დაგცინი, ედუარდ.
გუშინ სიცილი არ შემეძლო,
მაგრამ ვისწავლე ერთი რამე, ერთ დღე-ღამეში ...
თუმცა ვერ ვგრძნობდი ვერავითარ სიამოვნებას
ოჰ, მოხარული ვარ, რომ მოვედი.
ბოლოს და ბოლოს, შენში ვხედავ მე ადამიანს.
შენც ხომ იმავეს არა ხედავ და ამაზე ხომ არ იცინი?

ედუარდი

ნეტავ, შემეძლოს. ნეტავ შემეძლოს, რომ გავიგო ეს ყველაფერი.
სრულ სიბნელე დამეუფლა.

სილია

ეს ყველაფერი იოლია,
ნუთუ ვერ ხედავ ...
[ზარი რეკავს]

ედუარდი

ეს ლავინიაა!
[მიდის წინკართან]
პიტერ!
[შემოდის პიტერი]

პიტერი

აბა, სად არის ლავინია?

ედუარდი

ახლა არ მითხრა, რომ ლავინიამ გიდეპეშა ...

პიტერი

არა, მე არა–
ალექსს მისწერა. უთხრა, რომ აქეთ წამოსულიყო,
მეც მოვეყვანე. ერთ წუთში მოვა.
სილია! შენც ლავინიამ შეგატყობინა?
ხელს ხომ არ გიშლით საუბარში?

სილია

სწორედ ახლა ვუხსნიდი ედუარდს –
მეც ეს წუთია, რაც მოვედი – რომ ლავინიამ ჯულიას ამცნო,
მოსულიყო და მასთან ერთად წამოვეყვანე.

ედუარდი

ლავინია. ნეტავ კიდევ ვინ დაპატიჟა?

პიტერი

რატომ კითხულობ. ასე მგონია, რომ ლავინიამ განიზრახა,
გუშინდელი კოქტეილის წვეულება დღეს გაემართა.
ამიტომ ვფიქრობ, დეიდამისი არ გარდაცვლილა.

ედუარდი

ვინ დეიდა?

პიტერი

დეიდა, რომლის შესახებაც გველაპარაკე.
ედუარდ, გახსოვს, გუშინ რაზე ვილაპარაკეთ ?

ედუარდი

რაღა თქმა უნდა.

პიტერი

იმედი მაქვს, რომ არაფერი გიმოქმედია.

ედუარდი

არც არაფერი არ მიქნია.

პიტერი

მოხარული ვარ. რადგან აზრი შევიცვალე და გადავწყვიტე,
რომ არაფერი არ გამოვა, კალიფორნიას დავუბრუნდები.

სილია

კალიფორნიას უბრუნდები?!

პიტერი

ჰო, ახალი სამუშაო მაქვს.

ედუარდი

ეს ერთ ღამეში როგორ მოხდა?

პიტერი

რად მეკითხები, ვიღაცა კაცთან მე ალექსმა დამაკავშირა
და ყველაფერი მოვაგვარეთ ამ დილისათვის.
ალექსი მართლაც კარგი კაცია?
რადგან მას ყველგან ჰყავს ნაცნობები.
სინამდვილეში მოვედი, რომ დაგემშვიდობო.

სილია

პიტერ, ძალიან გამახარა შენმა ამბავმა.
თუმც, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ... მე ძალიან მომენატრები;

ხომ გახსოვს, როგორ დავახლოვდით, კონცერტებზე რომ
დავდიოთ
და სურათების გამოფენებზე. თითქოს ვერც გრძნობდი.
მაშინ ხომ კარგად ვერთობოდით?! მაგრამ ახლა შანსი გე-
ძლევა,
ვიმედოვნებ, რომ მიზანს მიაღწევ.
მომენატრები.

პიტერი

მსიამოვნებს ამის მოსმენა;
მაგრამ ვინმეს ნახავ ჩემზე უკეთესს და ერთად ივლით.

სილია

არა მგონია, კონცერტებზე კიდევ ვიარო.
მივემგზავრები.
[ლავინია გასაღებით აღებს კარს და შემოდის.]

პიტერი

საზღვარგარეთ მიემგზავრები?

სილია

არ ვიცი, ალბათ.

ედუარდი

როგორ, ორივე მიემგზავრებით?!
[ლავინია შემოდის]

ლავინია

ვინ დააპირა გამგზავრება? აბა, სილია, აბა, პიტერ.
არც ერთ თქვენგანს არ მოველოდი, რომ აქ გნახავდით.

პიტერი და სილია

მაგრამ დეპეშა?

ლავინია

რა დეპეშა?

სილია

ის, ჯულიას რომ გაუგზავნე.

პიტერი

და ისიც, ალექსს რომ გაუგზავნე.

ლავინია

ვერ გამიგია რას გულისხმობთ. ედუარდ, ეგებ შენ გაგზა-
ვნე?

ედუარდი

არავითარი დეპეშა არ გამიგზავნია.

ლავინია

მაშ ეს ჯულიას ოინებია. უნდა მოვიდეს?

პიტერი

დიახ მოდის, ალექსიც მოჰყავს.

ლავინია

მაშ განმარტებას იმათ მოვთხოვ.
მანამდე ვფიქრობ, რომ დავსხდეთ.
რაზე უნდა ვილაპარაკოთ?

ედუარდი

პიტერი მიდის ამერიკაში.

პიტერი

დიახ, ხვალ დაგირეკავთ და გეახლებით,
რომ წასვლამდე დაგემშვიდობოთ.

ლავინია

და სილიაც მიემგზავრება? სწორად გავიგე?
მაშინ გილოცავთ. რა თქმა უნდა, ჰოლივუდში მიემგზავრებით.
სილია, ალბათ, შენ ღელავ. ახლა გეძლევა შესაძლებლობა,
შენს მიზნებს მიჰყვე,

ერთად მიდიხართ?

პიტერი

არა, ცალკ-ცალკე.
სილიამ თქვა, რომ წასვლას აპირებს,
მაგრამ არ უთქვამს, თუ საით მიდის.

ლავინია

არ იცი? მაგრამ ის თუ იცი, შენ სად მიდიხარ?

პიტერი

ჰო, რა თქმა უნდა, კალიფორნიას უნდა ვეწვიო.

ლავინია

კეთილი, მაგრამ, სილია, შენ რად არ გინდა იქით წახვიდე?
ამბობენ, რომ იქ კარგი ჰავაა.
იქ ვინც წავიდა, დაბრუნება აღარ ისურვა.

სილია

ლავინია, კარგად მესმის თუ რა სურს პიტერს.

ლავინია

მჯერა რომ გესმის.

სილია

და თუ რატომ მიემგზავრება...

ლავინია

არც ესაა ჩემთვის საეჭვო.

სილია

მჯერა, რომ სწორად იქცევა, რომ მიემგზავრება.

ლავინია

ოჰ, ასე გამოდის რომ შენ ურჩიე?

პიტერი

არა, სილიამ ეს არ იცოდა.

სილია

მაგრამ მეც შემიძლიაა სადმე წავიდე,
მსურს მეგობრულად დაგემშვიდობოთ.

ლავინია

ამას რად ამბობ, ჩვენ მეგობრები ვიყავით მუდამ.
მე მუდამ გთვლიდი ძვირფას მეგობრად.
იმდენად მაინც, რომ ქალიშვილი
მასზე უფროსს დაუმეგობრდეს.

სილია

ლავინია,
გთხოვ ნუ დამაბნევ, შეიძლება ვეღარც კი გნახო.
მინდა ვისურვო, გახსოვდე როგორც
შენი და ედუარდის კარგის მსურველი.

ლავინია

კეთილი ხარ და თან იდუმალიც,
მჯერა, ყველაფერს მოვაგვარებთ,
როგორც წარსულში.

სილია

წარსულში, არა!
[კარზე ზარია და ედუარდი მიდის კარის გასაღებად]
ვშიშობ, რომ ეს სულელურად ჟღერს, მაგრამ...
[ედუარდი შემოდის ჯულიასთან ერთად]

ჯულია

აქ ხარ, ლავინია? ბოდიში, რომ დავიგვიანე.
მაგრამ დეპეშას არ მოველოდი.
მივატოვე ყველაფერი და წამოვედი, თავს როგორ გრძნობს
დეიდათქვენი?

ლავინია

გმადლობ, ვიცი, რომ თავს კარგადა გრძნობს.

ჯულია

საოცარია თუ რა უცებ გამოჯანმრთელდა,
დეპეშა რომ მივიღე თქვენგან,

ლავინია

მაინერესებს საიდან იყო ეს დეპეშა გამოგზავნილი?

ჯულია

როგორ, არ იცი? ესექსიდან, რაღა თქმა უნდა.

ლავინია

და ვითომ რატომ ესექსიდან?

ჯულია

იმიტომ, რომ შენ იქ იყავი.

ლავინია

რადგან ესექსში ვიმყოფებოდი?

ჯულია

ლავინია! ნუთუ გღალატობს მეხსიერება!
გაიხსენე და ყველაფერი მოგაგონდება.

ლავინია

კეთილი, ეგებ იქ ვიყავი, მართლაც არ ვიცი.

ჯულია

ნუთუ არ იცი, სად იყავი? ლავინია!
შევშფოთდი, ხომ არ მოგიტაცეს,
აბა, გვითხარი ...
[ზარი რეკავს, ედუარდი მიდის კარის გასაღებად. შემოდის
ალექსი]

ალექსი

ლავინია ხომ არ დაბრუნდა?

ედუარდი

დიახ.

ალექსი

მივესალმები შენს დაბრუნებას, ლავინია.
შენი დეპეშა რომ მივიღე...

ლავინია

საიდან?

ალექსი

დედჰემიდან

ლავინია

დედჰემი ხომ ესექსშია, მაშ დედჰემიდან.
ედუარდ, მეგობრები თუ გყავს დედჰემში?

ედუარდი

არავითარ კავშირები არ მაქვს დედჰემთან.

ჯულია

ოჰ, რა საამური იდუმალებაა.

ალექსი

მაგრამ რაშია იდუმალება?

ჯულია

ნუ იქნები ცნობისმოყვარე.
გულმავიწყობა დასჩემებია ლავინიას
და ამიტომაც დეპეშები გამოგვიგზავნა
და არ მგონია ჩვენი აქ ყოფნა უხაროდეს.
და დეიდაზე ისე ღელავდა, რომ ძალ–ღონე გამოელია.
ვინც სავსებით გამოჯანმრთელდა, რის გაგონებაც გაგახ-
არებდა, ალბათ, ალექს
და იმ ხანგრძლივი მგზავრობოს შემდეგ, გრეით ისთერნით,
გზაჯვარედინზე შეჩერებებით და, ალბათ, ძლიერ დამ-
შეულია?

ალექსი

თუ ეს ასეა მაშინ ვიცი, რა გავაკეთო.

ჯულია

არა, ალექს.
ჩვენ ისინი მარტო დავტოვოთ და დაისვენოს ლავინიამ.
ახლა ყველანი ჩემთან წავალთ, პიტერ ტაქსი გამოიძახე.
დღეს კოქტეილის წვეულება ჩემთან გავმართოთ.

სილია

მაშინ წავალ. გემშვიდობები, ლავინია. მშვიდობით, ედუ-
არდ.

ედუარდი

მშვიდობით, სილია.

ლავინია

მშვიდობით, სილია
[სილია გადის]

ჯულია

და ახლა, ალექს, უკვე დადგა ჩვენი წასვლის დროც.

ედუარდი

ხომ არაფერი გრჩება, ჯულია, აბა დაფიქრდი.

ჯულია

მრჩება? ჩემ სათვალეს ხომ არ გულისხმობ.
არა, აქა მაქვს. გარდა ამისა, უკვე აღარ გამომადგება.
ამ საღამოს დაბრუნებას აღარ ვაპირებ.

ლავინია

მოიცა, მინდა გავარკვიოთ დეპეშის საქმე.

ჯულია

გავარკვიოთ? ალექს რას ფიქრობ?

ალექსი

არა, ჯულია, მაგ საქმეში ვერ გავერკვევით.

ლავინია

ვფიქრობ, რომ შეძლებ გამარკვიო მე ამ საქმეში,
არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაინც ასე მგონია,

რომ ერთი დღის წინ ძრავი ჩავრთე, რომელიც ჯერაც დაქოქოლია
და ვერ ვაჩერებ. არა, მანქანა არა მგონია,
და თუ ეს მაინც მანქანაა, მაშ ვიღაც მართავს.
მაგრამ ვინ? ვიღაც საქმეში რომ ერევა მუდამ ...
თავს თავისუფლად ვერ ვგრძნობ, მაგრამ მაინც დავქოქე.

ჯულია

რას იტყვი ალექს, რაიმეს ახსნა შეგვიძლია?

ალექსი

ვფიქრობ, ჩვენ ვერ დავეხმარებით. თვითონვე უნდა გამოიკვლიოს.
ეს ერთადერთი გზაა მხოლოდ.

ჯულია

ჰო, შენ სავსებით მართალი ხარ!
აბა, კეთილი, ჩემო კარგებო, ძალიან მალე გინახულებთ.

ედუარდი

როდის გიხილავთ?

ჯულია

ვთქვი, რომ მიხილავთ?
მშვიდობით. მჯერა, რომ ... არაფერი არ დამრჩენია.
[შემოდის პიტერი]

პიტერი

ჯულია, ტაქსი გავაჩერე.

ჯულია

ძალიან კარგი, გემშვიდობებით!
[გადიან ალექსი, ჯულია და პიტერი.]

ლავინია

ასე მგონია, ჩემი ნახვა მაინცდამაინც არ გიხარია.

ედუარდი

არა მგონია, რომ იმის შანსი შემრჩენოდა
რომ მგონებოდა. და, რა თქმა უნდა, მიხარია მე შენი ნახვა.

ლავინია

ჰო, ამის თქმა სისულელეა.
თითქოს სკოლის მოსწავლე იყო, სილიასავით. არც კი ვიცი
ასე რატომ ვთქვი..
კეთილი, აქ ვარ.

ედუარდი

მე არ ვაპირებ რაიმე გკითხო.

ლავინია

მე კი ის ვიცი, რომ არ ვაპირებ არაფრის ახსნას.

ედუარდი

არც მე ვაპირებ არაფრის ახსნას.

ლავინია

არც მე ვაპირებ, რომ რამე გკითხო. და მაინც ... ვითომ, რატომაც არა?

ედუარდი

აბა რა ვიცი, რატომაც არა. ასე, რომ რაზე ვისაუბროთ?

ლავინია

მაგრამ ერთი რამ უნდა ვიცოდე სხვების შესახებ
და როგორ უნდა მოვექცე იმათ. ეს წვეულებას შეეხება.
ვფიქრობ, არ გჯერა, რომ წვეულება გადამავიწყდა!
დაგაღალატე. და შენ თავი როგორ გაართვი?
ეს მხოლოდ მაშინ გამახსენდა, როცა წავედი.

ედუარდი

გადავურეკე, ყველას მოსვლას ვინც აპირებდა,
მაგრამ ყველა ვერ დავიჭირე და ცოტანი მაინც მოვიდნენ.

ლავინია

და ვინ მოვიდა?

ედუარდი

მხოლოდ ისინი, ამ საღამოს ვინც აქ იხილე.

ლავინია

უცნაურია.

ედუარდი

... და კიდევ ერთი. არ ვიცი, ვინ,
მაგრამ შენ კი უნდა იცოდე.

ლავინია

ჰო. მგონი ვიცნობ.
მაგრამ ჯულიამ გამაოცა. ქალი კი არა ეშმაკია.
გუმანით ხვდება, როცა რაღაცა უნდა მოხდეს.
არ უნდა ენდო, ხათაბალაში რომ არ გაგხვიოს.
შენ რა უთხარი?

ედუარდი

მე დეიდა გამოვიგონე,
ავად რომ იყო, სოფლად ცხოვრობდა და თავისთან რომ
დაგიბარა.

ლავინია

ოჰ, მართლა ედუარდ! ისე, სჯობდა სიმართლე გეთქვა!
ჯულიას მხოლოდ სიმართლით თუ მოატყუებდი.
მაგრამ საიდან მოიტანეს, რომ დეიდა ესექსში იყო?

ედუარდი

ეს კი ჯულიამ მათქმევინა, რომ დეიდა სადღაც ცხოვრობ-
და.

ლავინია

ვხედავ, ჯულიამ დაასახლა იგი ესექსში.
და დეპეშაც ესექსიდან გამოაგზავნეს.
სიმართლე უნდა მეთქვა ჯულიასათვის.
დღეიდან მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი.
ძალიან ბევრი დრო დავხარჯეთ სიცრუის თქმაში.

ედუარდი

მაინც და მაინც ვერ გავიგე, თუ რას გულისხმობ.

ლავინია

ოჰ, ედუარდ!
საქმე ისაა, რომ წასული სანამ ვიყავი,
სერიოზულ კაცად მიმაჩნდი.
ახლა კი ვხედავ, რა უაზრო პიროვნება ხარ.

ედუარდი

სერიოზული დასკვნაა მეტად,
და სულ რაღაც ოცდათორმეტმა საათმა განვლო ... და შენ დაბრუნდი.

ლავინია

ჰო, ეს ძალიან საგულისხმო აღმოჩენაა,
როცა მიხვდები, რომ კაცს, ვისთანაც ხუთ წელს ცხოვ-რობდი,
იუმორის გრძნობა არა აქვს.
და სწორედ ამან ისე დამზაფრა, რომ იუმორის გრძნობა დავკარგე.
და ყოველივე იმიტომ ხდება, რომ ყოველთვის დამთმობი ვიყავ.

ედუარდი

არც კი ვიცოდი ჩემი ნდობა თუ მუდამ გქონდა.
და ყოველივემ კი განწყობა შემაცვლევინა. რაკი ამაზე ვლაპარაკობთ
ვფიქრობ, რომ სწორედ მე გენდობოდი.

ლავინია

ვიცი, ჩემდამი ნდობაში თუ რასა გულისხმობ;
იმას გულისხმობ, რომ ყველაფერს მე მიტოვებდი,
ის, რაც შენ უნდა გადაგეწყვიტა. მახსოვს –
ოჰ, უნდა მივმხვდარიყავი, მომავალში რაც მოხდებოდა –
თაფლობის თვისთვის ვემზადებოდით,
ვერ გათქმევინე, სად გსურდა წასვლა.

ედუარდი

მე კი მინდოდა, რომ შენ თვითონ გადაგეწყვიტა.

ლავინია

მაგრამ მე როგორ უნდა მეთქვა,
ვიდრე ჯერ შენ არ შეარჩევდი სასურველ ადგილს?
და ისიც მახსოვს, როგორა ვთქვი გულდაწყვეტილმა:
„ვფიქრობ, რომ უმალ თვით ზეცაში გინდა წახვიდე“ –
და შენც თქვი: „ჩემთვის სულერთია“.

ედუარდი

წინააღმდეგი არ ვიყავი, რაღა თქმა უნდა.
და ყველაფერი კომპლიმენტად მივიღე მაშინ.

ლავინია

მაშ კომპლიმენტად?
შენზე ამბობდნენ, რომ იყავი მეტად გულთბილი
და მეგონა, რომ უანგაროც. ეს ყველაფერი იყო მხოლოდ უმოქმედობა.
შენ გჭირდებოდა წაქეზება და გამხნევება...

ედუარდი

წაქეზება? რისთვის?

ლავინია

რათა შენს თავში რწმენა გქონოდა.
შენ ხომ იცი, რომ ადვოკატობა მე გაიძულე .

ედუარდი

მიბიძგე რადგან საკმარისად არ ვმუშაობდი
და მითხარი, რომ ხალხში უნდა გავსულიყავი,
მაგრამ როცა საქმეები ძლიერ მომრავლდა
და აღარც შენი მეგობრები არ ჩანდნენ ხშირად,
მაშინ შეშფოთდი, რომ დაღლილი და მოუცლელი ვიქნებოდი.
უყურადღებოდ დამრჩებოდი.

ლავინია

საყვედური არასდროს მითქვამს

ედუარდი

და რომ არასდროს მსაყვედურობდი,
ეგ მაშმაგებდა.

ლავინია

ეს შენ იყავი რომ წუწუნებდი,
რომ ვექილებსა და კლიენტებს ხედავდი მხოლოდ ...

ედუარდი

შენ კი ჩემდამი თანაგრძნობას სულ არ იჩენდი.

ლავინია

მაგრამ ვცდილობდი, რომ რაღაცა გზა მომეძებნა.
და ამიტომაც მოვიფიქრე ხუთშაბათები,
რომ შეგძლებოდა ჭკვიან ხალხთან გასაუბრება ...

ედუარდი

ეს იგივეა, რომ ლაქიად გადაგექციე,
ზოგიერთი შენი სტუმარი მიმიჩნევდა, ალბათ, ლაქიად.

ლავინია

და ზოგჯერ, როცა ვინმე გვესტუმრებოდა,
ვისაც მსურდა, რომ შეხვედროდი,
მის წასვლამდე იმალებოდი.

ედუარდი

ჰო, ბოლო-ბოლო, იმას მაინც არ იფიქრებდნენ,
რომ ხელის ბიჭი ვარ.

ლავინია

ვერას ვაწყობდი, რაც არ უნდა ბევრი მეცადა
და თუ რაიმეს გთავაზობდნენ
უმალ სხვა რამეს მოინდომებდი. მომავალში სულ სხვაგ-
ვარად
უნდა მოგეპყრო.

ედუარდი

გაფრთხილებისთვის მადლობას გიძღვნი, მაგრამ მითხარი
რატომ დაბრუნდი, თუკი ჩემზე ასე ფიქრობდი?

ლავინია

გულწრფელად გეტყვი, რომ არ ვიცი. გამაფრთხილეს, რომ
მელოდა საშიშროება,
მაგრამ ვიგრძენი, მაინც უნდა მოვსულიყავი
და მაინც რისთვის გჭირდებოდი?

ედუარდი

ეს მეც არ ვიცი.
ამბობ, ცდილობდი ჩემს „გამხნევებას“:
და მაშინ რატომ მამცირებდი?
ვერც კი ვიგებდი თუ რა მინდოდა,
მაგრამ არ მსურდა ის ცხოვრება, შენ რომ მირჩიე.
გსურდა, რომ შენს ქმარს წარმატებისთვის მიეღწია,
გსურდა, გეპოვა ცხოვრებაში შენი ადგილი,
იმ ცხოვრებაში, როგორიც გსურდა; გსურდა,
რომ ოჯახს გასძღოლოდი,
რომელსაც ჩემი კარიერა ხელს შეუწყობდა.
ვცდილობდი ამას შევგუებოდი,
მაგრამ გარწმუნებ, მომავალში სულ სხვა იქნება.

ლავინია

ბრავო! ედუარდ! საოცარია.
შენ ეგ პასუხი ვინ შთაგაგონა?

ედუარდი

ბოლო დროს ბევრი დამცირება გადავიტანე,
რომ ამ აზრამდე მივსულიყავი,
დამცირება რომ ვერ დაგამცირებს.
შენ იმ აზრამდე მიდიხარ, რომ გრძნობები აღარ გაწუხებენ,
და მოქმედებ მხოლოდ გონებით.

ლავინია

აი, სიახლე
აღმოჩნდება, რომ გონება გაქვს სალაპარაკოდ.
რაც უნდა იყოს, ისეთს მიგიღებ, როგორიცა ხარ.

ედუარდი

იმას გულისხმობ, რომ მიმიღებ,
როგორიც ვიყავ, ან რომ გგონია, რომ ისეთი ვარ.
მაგრამ რას ფიქრობ, როგორი ვარ?

ლავინია

ოჰ, როგორიც ყოველთვის იყავ.
მე კი სულ სხვა პიროვნება ვარ,
და შენ კი უნდა ამოიცნო.

ედუარდი

მეტისმეტად საგულისხმოა,
მაგრამ როგორც ჩანს, ვარაუდობ, რომ მთლად შეიცვალე,
თუმცა ვფიქრობ, რომ უკეთესობის არა გეტყობა;

არა გგონია, რომ შეიძლება
მეც შევიცვალე?

ლავინია

ოჰ, ედუარდ, ალბათ ყმაწვილობისას,
გამუდმებით შენს თავს ზომავდი,
რომ ენახათ, როგორ მოიმატე არდადეგებზე.
მეტად თავკერძა ბრძანდებოდი
და რადგან სხვები იზრდებოდნენ, შენც გსურდა გაზრდა.
რა შეიცვალა მაინც შენში?

ედუარდი

ეს ცვლილებაა,
რასაც სხვების თვალებში ვხედავ.

ლავინია

ამან, ალბათ, თავზარი დაგცა,
მაგრამ ნუ დარდობ, ყველაფერი გამოსწორდება
და აღმოაჩენ, რომ სულ სხვა სახით
სულ სხვა პატარა როლს ასრულებ, რომ მიიზიდო მაყურებელი.

ედუარდი

ყველაზე მეტად მაცოფებდა
შენი სიმშვიდე და თავდაჯერება
რომ შენ უფრო უკეთ მიცნობდი, ვიდრე ვიცნობდი საკუთარ თავს.

ლავინია

და მე კი იმით ვცოფდებოდი,
რომ არც გიცდია ჩემთვის გაგეგო
რომ მხოლოდ შენი თავის გჯეროდა.

ედუარდი

ამგვარად, ისევ იქ დავბრუნდით, უკან მახეში,
მხოლოდ ერთი განსხვავებაა – შეგვიძლია ერთურთს ვე-
ბრძოლოთ,
იმის ნაცვლად, გალიაში ჩვენს კუთხეებში მივიყუჟოთ.
თუმც, გრამაფონის ყურისგდებას ისევ ისა ჯობს,
რომ საღამო ასე გავლიოთ.

ლავინია

ჩვენ ხომ კარგი ფირფიტები გვაქვს,
მაგრამ ყოველთვის ვეჭვობდი, რომ მუსიკა გძულდა,
და გრამაფონი გეხმარებოდა თავის დახსნაში,
რათა ჩემთან არ გესაუბრა.

ედუარდი

მუდამ მიკვირდა თუ მე და შენ რად დავქორწინდით.

ლავინია

ჰო, შენ ხომ მართლაც მიმზიდველი კაცი იყავი.
და სულ იძახდი, რომ მე გიყვარდი -
მიტომ ცდილობდი, რომ გერწმუნა, რომ ასე იყო.
თითქოს მე შენთვის საოცარი ვინმე ვიყავი.
ეს კი არასდროს არ მომხდარა. ახლა კი მიკვირს,
როგორ შეგეძლო, რომ გეფიქრა, რომ მე გიყვარდი.

ედუარდი

ყველა იმას მეუბნებოდა, რომ მე მიყვარდი;
და იმასაც მეუბნებოდნენ როგორ უხდებით ერთმანეთსო.

ლავინია

სამწუხაროა, რომ საკუთარი აზრი არა გაქვს.
ედუარდ, მე შენთვის მხოლოდ კარგი მინდა -

და თუ ეს არა, ბოლო-ბოლო საშინელი მაინც რომ ვიყო –
რაიმე, ვიდრე არაფერი. როგორც ჩანს ჩემგან მხოლოდ ეს
გინდა.
მაგრამ შენ გამო მაინც ვწუხვარ ...

ედუარდი

არ თქვა, რომ სწუხხარ!
საკმაოდ ბევრნი მახვევია, ვინც ჩემზე სწუხან.

ლავინია

მაგრამ ისინი შენ გამო ვერ შეწუხდებიან,
როგორც შენ სწუხხარ საკუთარ თავზე. ეს კი მძიმე ასა-
ტანია.
ვფიქრობდი, რაღაც გამოსავალს გამონახავდი,
თუ წავიდოდი. ვფიქრობდი, რომ თუ მკვდრად ჩამთვლიდი,
მე, ვინც მხოლოდ მოჩვენება ვიყავი შენთვის,
მაშინ შეძლებდი გენახა გზა დასაბრუნებლად,
იმ დროისაკენ, როცა იყავი რეალური. იმ დროისათვის,
გაცნობამდე
ეგება მეც რეალური ვყოფილიყავი,
ეს, ალბათ, მაშინ, როცა ისევ ბავშვი იყავი.

ედუარდი

არ მსურს, იკისრო შენ ჩემ გამო ვალდებულება.
ამით ხომ კიდევ შეურაცხმყოფ,
და ამის ახსნა სულაც არა მსურს.
შენ ცდილობ ჩემი პიროვნების გამოგონებას,
რომელიც მხოლოდ თავს დამაშორებს.

ლავინია

შენ ამით მხოლოდ ართულებ იმას, რაც შეიძლება მარტივი იყოს.
მაგრამ ერთ რამეს კი ნათლად ვხედავ,
ჩვენ ისევ ისე ვერ ვიცხოვრებთ,
როგორც ვცხოვრობდით გუშინ დილამდე.

ედუარდი

წინ იყო კარი,
რომ ვერ ვაღებდი და სახელურსაც ვერ ვეხებოდი.
რით ვერ გავექეცი იმ სატუსაღოს?
ანდა რა არის ჯოჯოხეთი? ჯოჯოხეთი თავად კაცია,
ჯოჯოხეთი სიმარტოვეა, ხოლო სხვა მონაწილე
პროექციაა. არაფერია ისეთი, რასაც ვერ გაექცევი
და ვერც ვერსაით გაიქცევი. კაცი ყოველთვის მარტოსულია.

ლავინია

ედუარდ, რაზე ლაპარაკობ?
საკუთარ თავს ესაუბრები. შეგიძლია რომ მოითმინო და თუნდაც წამით
ჩემზე იფიქრო?

ედუარდი

ის წყეული დღე
გუშინ იყო და ახლა მიწევს მასთან ცხოვრება,
ყოველდღიურად, საათობით, მარად და მარად.

ლავინია

ვფიქრობ, ნერვიულ აშლილობის ზღვარს მიადექი.

ედუარდი

მაგას ნუ ამბობ!

ლავინია

არა უნდა ვთქვა?
მე ვიცნობ... ექიმს, ვინც შენ გიშველის.

ედუარდი

თუკი ექიმი დამჭირდება მე თვითონ წავალ, თვითონ ავარჩევ,
და არა იმას, შენ რომ ამირჩევ. აბა რა ვიცი,
რომ შენ არ შეხვდი და ყველაფერი არ უამბე
შენ სასარგებლოდ? მაგრამ ექიმი არ მჭირდება.
მე, უბრალოდ, ჯოჯოხეთში ვარ და ექიმები აქ არ არიან.
ისინი, ვისაც პროფესიული უნარები აქვთ.

ლავინია

პრაქტიკოსები ჯოჯოხეთშიც დაიძებნება.
და შენ იცი, რომ შენზე უფრო პრაქტიკული ვარ.

ედუარდი

უნდა ვიცოდე, პრაქტიკულად შენ რას მიიჩნევ,
პრაქტიკულიო! მახსოვს, ჩვენი თაფლობის თვეში,
თხელ ქაღალდებში რომ ახვევდი ყველაფერსა და მერე ხსნიდი,
რომ ის გეპოვა, რაც შენ გსურდა. და ვერც ვერაფრით ვერ გასწავლე
კბილის პასტის თავის დახურვა.

ლავინია

ძალიან კარგი, არ შევეცდები, რომ გაიძულო.

მაგრამ ძლიერ დაბნეული ხარ, რომ გადაწყვიტო თუ რა გინდა.
სწორედ იმიტომ ადვილად დასთმობ,
ისე როგორც წინათ გჩვეოდა.

ედუარდი

ჩემი არ გესმის. ალბათ, ნათლად ვერ აგიხსენი,
რომ მომავალში სულ სხვა კაცად გადვიქცეოდი!

ლავინია

რაღა თქმა უნდა. და ამ კაცს ხომ არაფერი აკავშირებს იმასთან, რომ
სილია მიემგზავრება კალიფორნიას?

ედუარდი

რაო, სილია? კალიფორნიას?

ლავინია

პიტერთან ერთად.
მაგრამ, ედუარდ, შენ რომ ნამდვილი კაცი იყო, სიცილი უნდა წაგსკდომოდა,
მაგრამ ...

ედუარდი

ოჰ, ღმერთო ჩემო, გუშინდელი დღე დაბრუნებოდეს,
ვიდრე ამას გადავწყვეტდი,
ეს კარი ნეტავ რა ეშმაკმა დატოვა ღია, რომ ეჭვები შემოსულიყო? და შენც დაბრუნდი,
დამაქცევარო ანეგლოზო – სწორედ მაშინ, როცა მჯეროდა.

უმალვე, რასაც შეეხები, გაანადგურებ.
ო, ღმერთო, ეს რა ჩავიდინე? შენ პითონი თუ რვაფეხა ხარ?
ნუთუ, იმად გადავიქცევი, რადაც შემქმენი?

ლავინია

კეთილი, ედუარდ, არ მაქვს ძალა, რომ გაგაცინო,
და თუ ვერ შევძლებ დაგარწმუნო, ნახო ექიმი,
მეტი ვერაფრით დაგეხმარები.
სამზარეულოს მივაკითხავ, ვნახავ რა ხდება,
იქ მეგულება ორიოდ კვერცხი. მაგრამ ჯობია, სასადილოდ გარეთ გავიდეთ.
ბარგი კი ქვემოთ ჰოლში დავტოვე,
კარისკაცს ხომ არ მოუხმობდი, ამოსატანად?

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

სერ ჰენრი ჰერკურტ–რაილის საკონსულტაციო ოთახი, ლონ-
დონი. დილა: რამდენიმე კვირის შემდეგ. სერ ჰენრი მარტოა
თავის მაგიდასთან. ხელს აჭერს ელექტრო ღილაკს. შემოდის
მდივანი, რეგისტრაციის ჟურნალით ხელში.

რაილი

რაც შეეხება იმ სამ შეხვედრას, მის ბერევეი:
მსურს ერთხელ კიდევ გადავხედო ჩემს ინსტრუქციებს.
რაღა თქმა უნდა, გესმით, თუ რარიგ საჭიროა
რომ არაფერი არ გამომრჩეს.

მდივანი

თქვენ ხომ ეს უკვე ამიხსენით
თეთრმეტ საათზე პირველს შეხვდებით,
იგი პატარა მოსაცდელში დაგელოდებათ,
მასთან შეხვედრა თქვენ ახლა გაქვთ.

რაილი

ახლავ შევხვდები და მეორე?

მდივანი

და მეორე კი სხვა ოთახში, როგორც ყოველთვის,
ის ქალი მოვა თხუთმეტი წუთში.
და ალბათ თქვენ მას ალოდინებთ.

რაილი

ან პირიქით, ის მალოდინებს.
მაგრამ, მე ვფიქრობ, დროულად მოვა.

მდივანი

ამას უმალვე შეგატყობინებთ,
იქ მეყოლება, ვიდრე სამჯერ არ დამირეკავთ.

რაილი

და ის მესამე?

მდივანი

ის მესამე კი კვლავ პატარა ოთახში მოვა;
არ დამჭირდება მისი მოსვლის შეტყობინება.
მერე, როცა თქვენ დამირეკავთ, დანარჩენებსაც შემოვუშვებ.
და როცა წავლენ ...

რაილი

სწორი ბრძანდებით, ამ მომენტისათვის სულ ეს არის.

მდივანი

სერ ჰენრი, მისტერ გიბსი უკვე აქ არის.

რაილი

სთხოვე, ახლავე შემოვიდეს.
[მდივანი გადის]
[ალექსი მაშინვე შემოდის.]

ალექსი

და ჩემბერლენს როდის შეხვდებით?

რაილი

თერთმეტ საათზე, ჩვეულებრივ დროს. ბევრი დრო არ გვაქვს.
ახლა, მითხარი, ჩაგონება თუ იყო ძნელი,
შესაფერისად რომ ჩავეთვალე?

ალექსი

გაჭირვებით არ გამჭირვებია,
მთელი ოთხი დღე ამ შეხვედრას ელოდებოდა.

რაილი

გადადება საჭირო იყო,
მსურდა აღარ ენერვიულა,
იმას ვგულისხმობ, შენს თვალსაზრისს ენდო, თუ - არა?

ალექსი

ჰო, უპირობოდ.
მიტომ კი არა, რომ მთვლის მეტად განათლებულად,
არამედ თვლის, რომ ბევრი რამ ვიცი და ის კაცი ვარ,
შესაფერის ექიმს რომ ურჩევს და შესაფერის კლინიკასაც.
ამასთან ერთად, ყველა ექიმს ეახლებოდა
გარდა იმისა, ვისაც მისი ცოლი ურჩევდა.

რაილი

თანაც მის ცოლსაც ჩააგონე,
რომ ჩემი სახელი არ ეხსენებინა.

ალექსი

შორსმჭვრეტელი ხართ. კაცს კი ჰგონია, რომ გაიმარჯვა
რადგან ფიქრობს, რომ გამოიცნო ქალის განზრახვა,
რადგანაც სანატორიუმის გზას გაუყენებთ,

სადაც მას ქალი ვერ მიაგნებს, და თანაც სჯერა,
ცოლს სინანულში ჩავაგდებო და ტკბება თვისი ავადმყოფობით.

რაილი

ავადმყოფობა მას სთავაზობს ორმაგ მოგებას,
თავსაც გაექცეს და თან ცოლიც მოინადიროს.

ალექსი

ცოლს არ გაექცეს?

რაილი

არა, არ უნდა მისგან გაქცევა.

ალექსი

და თანაც თავის კლუბში დარჩება.

რაილი

დიახ, ასეა, სწორედ იქიდან მოიწერა.
[შიდა ტელეფონის ზარი გაისმის.]
ალო! ჰო, კარგი, შემოუშვი.

ალექსი

საინტერესო დილა გექნებათ!
მოსახურის კიბით გავალ
და დავბრუნდები, როდესაც წავლენ.

რაილი

ჰო, როცა წავლენ.
[გვერდითი კარით გადის ალექსი]
[მდივანი შემოუძღვება ედუარდს]

ედუარდი

სერ ჰენრი ჰერკორტ–რაილი –
[შეჩერდება და მიაშტერდება რაილის]

რაილი

[ქაღალდებში აქვს თავი ჩარგული]
დილა მშვიდობის, მისტერ ჩემბერლენ.
გთხოვთ რომ დაბრძანდეთ. სულ ერთი წუთით.
აბა, მისტერ ჩემბერლენ?

ედუარდი

ვფიქრობდი, სანამ შემოვიდოდი,
შესაძლო იყო, რომ სწორედ თქვენ ყოფილიყავით,
მაგრამ ეს აზრი უარვყავი, როგორც კიდევ ერთი სიმპტომი.
ჩემს აქ მოსვლამდე უკეთესად უნდა მცოდნოდა
რომ იმ კაცს უნდა მივნდობოდი, ვინც არ გიცნობდათ.
მაგრამ ალექსი ისე სანდოა და როცა რამე ურჩევია,
მისაღები ყოფილა ჩემთვის.
ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ისე დამაბნია, რომ
და ვისურვებდი, რომ მცოდნოდა... მაგრამ რაღა მნიშვნელობა აქვს
ვფიქრობ, აჯობებს, ახლავ წავიდე.

რაილი

არა, გეთაყვა, სჯობს დაბრძანდეთ მისტერ ჩემბერლენ
წასვლას ხომ მართლაც არ აპირებთ, ასე, რომ ეგებ,
თქვენ ხომ შეკითხვის დასმა გნებავდათ.

ედუარდი

ჩემთან, ჩემს სახლში,
ჩემმა მეუღლემ დაგპატიჟათ,
როგორც ვფიქრობდი, თუ გამოგგზავნათ?

რაილი

დაპატიჟების რა მოგახსენოთ,
თქვენმა მეუღლემ არ იცოდა, რომ მოვდიოდი.
მაგრამ ვიცოდი, იქ იქნებოდით, და ისიც, თქვენთან ვის შევხვდებოდი.

ედუარდი

მაგრამ თქვენ ნახეთ ჩემი ცოლი?

რაილი

ო, დიახ, ვნახე.

ედუარდი

ეს ხომ მახეა!

რაილი

მოდი მახეს ნუ დავარქმევთ.
მაგრამ თუ მაინც მახე არის, ვერ დაუძვრებით.
ასე, რომ ... გირჩევთ დაბრძანდეთ.
ვფიქრობ, მაგ სკამზე თავს უკეთ იგრძნობთ.

ედუარდი

უკვე იცოდით
თუ რა მოხდა, სანამ გეტყოდით?

რაილი

ასეა, ასეა. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს.
მოდი, გადავდოთ ეს საკითხი.

ჯერ ის მითხარით, ამჯერად რა გაგჭირვებიათ,
იქნება, შევძლო დახმარება როგორც ექიმმა.

ედუარდი

დანაშაული არ მიგიძღვით ჩემი ცოლის დაბრუნებაში,
მე ასე ვფიქრობ. თქვენ ცდილობდით ჩემს დარწმუნებას,
რომ მისგან შორს ვყოფილიყავი. მაგრამ ვერ მიხვდით,
გადაწყვეტა რომ არ შემეძლო.

რაილი

ვთქვათ, თქვენი ცოლი არ მომეყვანა, მისტერ ჩემბერლენ,
როგორ ფიქრობთ, ეს უკეთესი იქნებოდა?

ედუარდი

არ ვიცი, მაგრამ უარესი არ იქნებოდა.

რაილი

ხომ შეიძლება, რომ უარესიც კი ყოფილიყო. თქვენ სამ სიცოცხლეს დაღუპავდით
ჭოჭმანის გამო. ახლა კი მხოლოდ ორი დარჩა და შეგიძლიათ,
იხსნათ ისინი დაღუპვისაგან.

ედუარდი

თქვენ გგონიათ, რომ მე რაიმეს უნარი მქონდა?
რომ შემძლებოდა, არც თქვენ, არც სხვას რჩევისათვის არ მივმართავდი.
მე აქ, როგორც პაციენტი ისე მოვედი.
თუ თქვენ არ გაინტერესებთ, შემიძლია, სხვაგან წავიდე.

რაილი

მიზეზი გაქვთ, რომ დაიჯეროთ, რომ ავადა ხართ?

ედუარდი

ვფიქრობდი, ექიმს შეეძლო, რომ ეს დაენახა.
ან ბოლო–ბოლო, იმას მაინც მოახერხებდა, რომ სიმპტომ-
ები დაენახა.
ახლახან ორმა ადამიანმა ასე მირჩია,
ორივემ მითხრა ექიმისთვის რომ მიმემართა,
და სულ იმავეს მიმეორებდნენ,
რომ უკვე ვიყავ ნერვული შეტევის ზღვართან.
მე ვერ ვამჩნევდი, მაგრამ თუ მათ ეს დაინახეს,
უნდა მეფიქრა, რომ ექიმიც დაინახავდა.

რაილი

„შეტევის ზღვარს“ არ ვიყენებ მე არასოდეს.
ეს შეიძლება რომ ნიშნავდეს თითქმის ყველაფერს.

ედუარდი

მას შემდეგ მივხვდი,
რომ ჩემი ყოფა უჩვეულო შემთხვევა იყო.

რაილი

ყველა შემთხვევა ერთადერთია, თუმცა მაინც ჰგავს სხვა
შემთხვევებს.

ედუარდი

არის ისეთი სანატორია, თქვენს პაციენტებს რომ აგზა-
ვნით,
და აკვირდებით?

რაილი

თქვენ მეტისმეტად სულსწრაფი ხართ, მისტერ ჩემბერლენ.
ჰო, არის ბევრი სანატორია,

სხვადასხვა სახის პაციენტთათვის. მაგრამ არიან ისეთებიც,
რომელთათვისაც სანატორია ყველაფერზე უარესია.
სანამ გადავწყვეტთ რა მოგიხერხოთ,
ჯერ ის უნდა გავიგოთ, რა გაწუხებთ.

ედუარდი

საეჭვოა, რომ ჩემნაირი შემთხვევა გქონოდათ.
აღარც კი ვიცი, რას წარმოვადგენ.

რაილი

ოჰ, ჩემო კარგო, რას მეუბნებით! გავრცელებული სნეულე-
ბაა,
მართლაც მეტად გავრცელებული.

ედუარდი

ჩემს ბავშვობაში, მახსოვს ...

რაილი

მე ვიწყებ მუდამ უშუალო სიტუაციით,
და მერე, თუკი საჭიროა, შორსაც მივდივარ.
თქვენი ბავშვობის მოგონებები -
ვითვალისწინებ თქვენს ახლანდელ მდგომარობას –
იქნება მეტად წარმოსახვითი. ხოლო თქვენს ხილვებს რაც
შეეხება,
თქვენ შეიძლება ისეთი რამ გამოიგონოთ, რომ მაიძულოთ,
და მე კი თქვენში ნებისმიერ ხილვას აღვძრავდი,
რომელიც თქვენში გააღმავებს ამაოებას,
ეს კი დროებით სტიმულს მოგცემთ, რომ რამედ ღირხართ.

ედუარდი

მაგრამ მე ხომ შეპყრობილი ვარ საკუთარი უსუსურობით.

რაილი

სწორედ ასეა. შემიძლია რომ გაგრძნობინოთ, საკუთარი მნიშვნელოვნება,
და გეგონებათ, რომ განიკურნეთ სასწაულებრივ,
და გააგრძელებთ თქვენთვის ჩვეულ ჭირვეულობას,
რაც ჩვევად გქონდათ, ვიდრე ასე დამწუხრდებოდით.
ამ სამყაროში ბოროტებას სჩადიან, როცა
ზემნიშვნელოვნად მიაჩნიათ თავისი თავი.
მათ ბოროტება არ განუზრახავთ, რადგან ეს მიზნად არ დაუსახავთ.
ანდა საერთოდ ვერ ხედავენ, ან ამართლებენ ,
რადგან იბრძვიან გამუდმებით მხოლოდ იმისთვის,
რომ თავის თავი უკეთესად წარმოაჩინონ.

ედუარდი

თუ ასეთი ვარ,
მართლაც დიდი ბოროტება ჩამიდენია.

რაილი

ოჰ, არც იმდენი, თქვენ რომ გგონიათ,
მხოლოდ იმდენი, რაც თქვენს ძალ-ღონეს შეეფერება,
იქნებ ამიხსნათ, თუ რა მოხდა იმის შემდეგ, რაც მე დაგტოვეთ.

ედუარდი

ახლა კი მივხვდი, თუ რად მინდოდა, ჩემი რომ ცოლი დამბრუნებოდა.
ეს შედეგია იმისა, რაც მე დამმართა,
თხუთმეტი წუთიც საკმაო იყო, როცა პირველად მარტონი დავრჩით.

სანამ ვიგრძნობდი ძლიერ მწვავედ,
მართლაც რომ მწვავედ, ალბათ, პირველად
შევიწროვებას მთელი სიმძაფრით
იმ ვითომ როლით, რომელსაც ის თავზე მახვევდა,
უაზრობითა, უგულობით და სიჯიუტით, ქალს რომ სჩვევია.
და მის გარეშე არაფერი არ არსებობდა.
როცა მივხვდი, რომ მიმატოვა,
თითქოს შევწყვიტე არსებობა და სადღაც გავქრი. სწორედ ეს არის, რაც მან დამმართა!
მასთან ცხოვრება არ შემიძლია – ამას ვერ შევძლებ;
თუმც მის გარეშე არსებობაც არ შემიძლია, რადგან წამართვა იმის უნარი,
რომ არსებობა შემძლებოდა. აი, რა მიქნა ამ ხუთი წლის განმავლობაში.
მან ეს ქვეყანა ისეთ ადგილად გადააქცია, სადაც ცხოვრება არ შემიძლია
თუ არა მისი პირობები. სიმარტოვეში უნდა ვიყო,
მაგრამ არა იმ სამყაროში. მე მირჩევნია, მივაკითხო სანატორიუმს
მაგრამ შევძლებდი იქ მარტო ყოფნას?
[ტელეფონი რეკავს.]

რაილი

[ტელეფონს პასუხობს] დიახ.
[ედუარდს] დიახ, შეძლებდით იქ მარტო ყოფნას.

ედუარდი

ნეტავი,
ერთი სიტყვა თუ გაიგეთ, რაზედაც მე ვლაპარაკობდი?

რაილი

მოთმინებით მომექეცით მისტერ ჩემბერლენ.
გაკვირდებით და ბევრ რამეს ვიგებ
და ამიტომაც ნებას გაძლევთ, რომ ისაუბროთ რამდენიც
გნებავთ;
და თან იმასაც ჩავინიშნავ, რასაც არ ამბობთ.

ედუარდ

უკიდურესი ფიზიკური ტკივილი მაქვს ერთხელ განცდილი,
ახლა კი ვიცი, რომ უფრო მეტი სატანჯველი არსებობს
ქვეყნად.
და ახლა ისიც საოცარია, თუ ვინმეს რჩება დრო გაოცების:
ჩემი სხეულის სიკვდილი მე ვერ შემაშინებს, თუმც ეს სიკ-
ვდილი შემზარავია.
სულის სიკვდილი – ახლა გესმით, თუ რა ტანჯვა გადავი-
ტანე?

რაილი

გასაგებია, რასაც გულისხმობთ.

ედუარდი

მე ჩემი ნებით მოქმედებას კვლავ ვეღარ შევძლებ.
და თქვენთან მოსვლა იყო ბოლო, რაც გადავწყვიტე
მე თქვენს ხელთა ვარ.
პასუხმგებლობას მე ჩემს თავზე ვეღარ ავიღებ.

რაილი

ამ რწმენით ბევრი პაციენტი მაკითხავს ხოლმე.

ედუარდი

და ახლა მაინც თუ გამიშვებთ სანატორიუმს?

რაილი

სხვა არაფერი არ გაქვთ სათქმელი?

ედუარდი

სხვა რაღა გითხრათ?
არც კი ისურვეთ, მოგესმინათ ადრინდელი ჩემი ამბავი.

რაილი

არა, არ მსურდა მომესმინა თქვენი ამბები.

ედუარდი

მაშ გამაგზავნით სანატორიუმს?
სახლში მე ვეღარ დავბრუნდები. კლუბში კი
მხოლოდ ერთი კვირა გამაჩერებენ.
არც სიმამაცე არ მეყოფა სასტუმროში გასაჩერებლად,
გარდა ამისა, პერანგები დამჭირდება გამოსაცვლელად –
თქვენ შეგიძლიათ, უთხრათ ჩემს ცოლს,
ყველა საჭირო ნივთი რომ იქ გამომიგზავნოს.
მაგრამ ნუ ეტყვით თუ სად ვიქნები.
მეტად შორია მისასვლელად?

რაილი

შეიძლება ითქვას, შორია,
მაგრამ თუ უნდა ვუმკურნალო თქვენს მსგავს პაციენტს,
მაშიმ მე მეტი უნდა ვიცოდე,
ვიდრე თვით მეტყვის თავის შესახებ.
სინამდვილეში, საქმე ისაა, რომ ყველა ჩემი პაციენტი
არის ნაწილი მთლიანად იმ გარემოების,
რომელიც უნდა გამოვიძიო. თითოეული პაციენტი,

თავისთავად რომ ავადაა, გახლავთ ერთგვარი გამონაკლისი,
ამასწინადაც მყავდა ერთი პაციენტი,
რომელსაც სჭირდა თქვენი მსგავსი დაავადება.
[მაგიდაზე სამჯერ აჭერს ღილაკს].
უჩვეულო პროცედურის გავლა მოგიწევთ:
გთავაზობთ, რომ წარგადგინოთ სხვა პაციენტთან.

ედუარდი

რისი თქმა გნებავთ, ან ვინ არის ის პაციენტი?
მე მიმაჩნია, არ შეგფერით ასეთი ქცევა –
სხვა პაციენტთან არ ვიმსჯელებ ჩემს შემთხვევაზე.

რაილი

პირიქით გახლავთ. ეს გზა მხოლოდ ერთადერთია,
სადაც მსჯელობა შეიძლება ასეთ საკითხზე. თქვენ
არაფერი არ გითქვამთ ჩემთვის.
თქვენ მოგეცათ შესაძლებლობა და საკმაო თქვით,
მოგეცათ შანსი და საკმარისად ილაპარაკეთ,
და დამარწმუნეთ, რომ თქვენს საქმეს თავსაც ართმევდით.
ასე ვთქვათ, როცა ბევრს ამბობდით,
ადვოკატი ხომ ჩანაწერებს უნდა გაეცნოს, ვიდრე შევა სა-
სამართლოზე.

ედუარდი

ასე თუ ისე, უფლება მაქვს ახლა დაგტოვოთ და ასეც ვიზამ,
და გადავწყვიტე სასტუმროში დავიდო ბინა.

რაილი

რადგან მობრძანდით, მისტერ ჩემბერლენ, ეს იმას ნიშნავს,
რომ არა გაქვთ ამის უფლება. ეს უფლება მე უნდა მოგ-
ცეთ.

ეს ახლა უკვე ჩემი საქმეა.
[მდივანი ლავინიას შემოუძღვება]
მაგრამ აქ ერთი პაციენტია.

ედუარდი

ლავინია!

ლავინია

მაგრამ, სერ ჰენრი!
მე გითხარით, რომ მოვიდოდი მეუღლეზე სალაპარაკოდ,
მაგრამ არ მითქვამს, რომ მზად ვიყავ მის შესახვედრად.

ედუარდი

არც მე ველოდი შენთან შეხვედრას, ლავინია.
მე ამას უღირს ოინს ვუწოდებ.

რაილი

გულწრფელობა ღირსებაზე უფრო წინა დგას,
გთხოვთ, რომ დაბრძანდეთ ორივენი. მისის ჩემბერლენ,
თქვენს ქმარს უნდა, რომ მიაკითხოს სანატორიუმს,
და ეს საკითხი, თქვენც გეხებათ.

ედუარდი

სანატორიუმს ნუ ახსენებთ
სასტუმროში უნდა წავიდე. და მინდა, გთხოვო, ლავინია,
რომ ტანსაცმელი გამომიგზავნო.

ლავინია

ოჰ, ნეტავ რომელ სასტუმროში?

ედუარდი

არ ვიცი, მაგრამ მინდა გითხრა,
შენ არ გეხება.

ლავინია

მაშინ ეს შენი ტანსაცმელიც
მე არ მეხება.
[რაილის]
მგონი, რომ იმავ სასტუმროში აგზავნით ედვარდს, სადაც
მე ვიყავ,
დე, ასე იყოს, რადგან ჩემზე მეტად სჭირდება.

რაილი

მოხარული ვარ, რომ თქვენ ასე დაინახეთ,
თუნდაც დროებით. მაგრამ იცით მისის ჩემბერლენ,
თქვენ არასოდეს სწვევიხართ ჩემს სანატორიუმს.

ლავინია

რას გულისხმობთ? მე გთხოვეთ, რომ იქ გაგეგზავნეთ
და წამიყვანეთ. და თუ არა სანატორიუმი,
მაშ, ის რა იყო?

რაილი

რაღაც სასტუმროს მსგავსი.
მე ვპოულობ მყუდრო ადგილს იმ ხალხისათვის,
რომლთაც სურთ, სული მოითქვან ყოველდღიური ცხ-
ოვრებისგან,
საიდანაც ბრუნდებიან ხალისიანნი,
და თუ ისინი სანატორიუმს უწოდებენ,
ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი იქ არ გავგზავნოთ.
ხალხი, რომელთაც ასეთი სახის სანატორია გამოადგებათ ,
ადვილად არ მოტყუვდებიან.

ლავინია

ეშმაკი ხართ
თუ მასხარა, ოინბაზი, გონსგადასული?

ედუარდი

უფრო მეორე განმარტებას დავეთანხმები,
ოღონდ, გარეშე „გონსგადასულის“.
სანატორია შენ რად გინდა?
არ შემხვედრია ცხოვრებში მე ჯერ არავინ,
ასეთი საღი გონი რომ ჰქონდეს.
სამხედრო გემზე უფრო გამძლე ხარ. სწორედ მაგიტომ შე-
ვიშალე.
ეს მე მჭირდება სანატორია,
მაგრამ იქ წასვლას არ ვაპირებ.

რაილი

თქვენ მართალი ხართ, მისტერ ჩემბერლენ. სანატორიუმს
არ იმსახურებთ,
თქვენ გაცილებით ავად ბრძანდებით.

ედუარდი

გაცილებით ავად?
მაშ, ქალაქგარეთ გამამწესეთ სულით სნეულთა პანსიონში.

ლავინია

ედუარდ ეს შენ არ გჭირდება. მისმინე, ვიცი ერთი სასტუმ-
რო
ნიუ ფორესტში...

ედუარდი

აი, ეს არის შენი სახე,
ყოველთვის იცი, თუ რა სჯობია.

ლავინია

საქმე ისაა, რომ მე უფრო პრაქტიკული ვარ
ვიდრე შენ, ედუარდ, და ეს შენ იცი.

ედუარდი

მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრჯერ გითქვამს.
ნეტავ *მენახე* შემოსავლის ბარათს ვით ავსებ.

ლავინია

ედუარდ, ნუ ამბობ სისულელეს, პრაქტიკულში იმას ვგულისხმობ.
რაც პრაქტიკულად ღირებულია.

რაილი

ნება მომეცით, ეს მსჯელობა შეგაწყვეტინოთ,
იმის თქმა მინდა, რომ თქვენ ორივე ავადა ხართ.
უნდა დაემთხვეს რამდენიმე სიმპტომი მაინც,
რომ გავამწესო პაციენტი სანატორიუმს;
და ერთ მათგანად მიიჩნევა პატიოსნება.
სწორედ ეს არის გამომწვევი მათი ტანჯვისა.

ლავინია

ვერავინ იტყვის ჩემი ქმარის პატიოსნებას.

ედუარდი

ლავინია, მე კი ამას შენზე ვერ ვიტყვი.

რაილი

გილოცავთ ასეთ გამჭრიახობას.
თქვენ ისე კარგად გაგეგებათ ერთმანეთისა,
რომ დააფასებთ იმას, რასაც მე ახლა გეტყვით.
არც გავრცელებულ ტყუილს ვიტყვი,
გულუბრყვილობას არ ავყვები;
თქვენნაირი პაციენტები თავს იტყუებენ,

უსაზღვრო ტკივილს შეიგრძნობენ და ენერგიას უქმად ხარჯავენ,
მაგრამ სრულიად წარუმატებლად. თქვენ ორივენი თავს იკატუნებთ,
თითქოს რჩევისთვის მოგემართოთ; ორივე ცდილობთ,
რომ თქვენივე დიაგნოზი თავს მომახვიოთ
და საკუთარ თავს მკურნალობა თვით დაუნიშნოთ,
მაგრამ როდესაც თქვენ თავს მე მანდობთ,
იმაზე უფრო მეტად მნებდებით, ვიდრე გეგონათ.
და ეს იმისი შედეგია, რომ თქვენ ცდილობდით ჩემს მოტყუებას.

ლავინია

მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ შეურაცხმყონ.

რაილი

თქვენ იქ მოხვედით, სადაც სიტყვა „შეურაცხყოფას“ მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს;
და ამას უნდა შეეგუოთ, რაც გამიმხილეთ
ახლოს იყო სიმართლესთან: თქვენ აღმიწერეთ თქვენი გრძნობები,
თუმც ყველა არა, მნიშვნელოვანი ფაქტები კი არ გაამხილეთ.
ნება მომეცით, ჯერ ქმარს მივმართო.
[ედუარდს]
თქვენ მომატყუეთ, როცა დამალეთ მის კოპლსტონთან ურთიერთობა.

ედუარდი

ღმერთო, ეს რა უმსგავსობაა! ჩემს ცოლს ამაზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა.

ლავინია

სინამდვილეში, ედუარდ ბრმაც რომ ვყოფილიყავი,
უამრავ ვინმეს შეეძლო, რომ ეს ჩემთვის ემცნო.
ნეტავ, თუ არის ისეთი ვინმე, ვინც ეს არ იცის.

რაილი

თუმც ერთი იყო. მაგრამ თქვენ კი, მისის ჩემბერლენ,
ჩემს დარწმუნებას შეეცადეთ, რომ ამ ამბავმა
თქვენს ნერვიულ აშლილობას ხელი შეუწყო.

ლავინია

მაგრამ ეს ხომ სიმართლე იყო! თუმცა ნაწილობრივ გამ-
ოვჯანმრთელდი,
მაგრამ მაშინ სულით დავეცი.

რაილი

ნამდვილად, მაშინ სულით დაეცით,
და, რა თქმა უნდა რამდენადმე გამოჯანმრთელდით.
მაგრამ გამოგრჩათ, რომ მიზეზი სასოწარკვეთის,
თქვენი სატრფოს დაკარგვა იყო – ვისაც უეცრად,
ვისაც პირველად შეუყვარდა ვიღაც ამქვეყნად,
და ეს ვიღაცა იყო ვიზეც ეჭვიანობდით.

ედუარდ

ეს მართალია, ლავინია? ეს კი მეტად საგულისხმოა.
როგორც ჩანს, მალვა ჩემზე უფრო კარგად გცოდნია,
ნეტავ, ვინ იყო მეტისმეტად მაინტერესებს.

ლავინია

თუ გსურთ, უთხარით.

რაილი

ყმაწვილი კაცი, სახელად კი პიტერი ჰქვია.

ედუარდი

პიტერი? მაინც რომელი?

რაილი

ესაა მისტერ პიტერ კვილპი,
ხშირად გსტუმრობდათ.

ედუარდი

პიტერ კვილპი!
პიტერ კვილპი! ეს მართალია, ლავინია!
გილოცავ. ნაკლებ საეჭვიანო ვინ იქნებოდა!
და მერე ჩემთან რომ მოვიდა და სილიაზე საიდუმლო რომ
გამიმხილა!
ამაზე უფრო სასაცილო არც კი მსმენია.
საუკეთესო ხუმრობაა, რაც კი მსმენია.

ლავინია

არც კი ვიცოდი, თუ ასეთი იუმორის გრძნობა გაგაჩნდა.

რაილი

ეს ჩაითვლება იმედისმომცემ პირველ სიმპტომად.

ლავინია

ეს ყველაფერი როგორ გაიგეთ?

რაილი

აი, ამას კი ვერ გაგიმხელთ.
პაციენტებზე ინფორმაციის მოსაკრებად მე ჩემებურ
მეთოდს ვიყენებ.

არ უნდა მთხოვოთ, რომ გაგიმჟღავნოთ –
პროფესიული ეთიკაა.

ლავინია

მე თქვენს დღევანდელ საქციელში
ვერანაირი პროფესიული ეტიკეტი ვერ დავინახე.

რაილი

მე მგონი, კარგი შენიშვნაა.
მაგრამ ნება მომეცით, მოგახსენოთ, რაც მე თქვენზე
გამოვამჟღავნე, თქვენ ჩემთვის არც ერთს არ გაგინდვიათ.
ეს ყველაფერი, რაც მოგახსენეთ გარე წყაროდან მოვი-
პოვე.
მისის ჩემბერლენ, ორი თვის წინ რომ ჩემთან მოხვედით,
ვერ დამარწმუნეთ თქვენს ნაამბობში,
ფსიქიკური აშლილობის სიმპტომთა გამო,
ამიტომაც გავიკითხე–გამოვიკითხე.

ედუარდი

სწორედ ორი თვის წინ დაგეწყო
შენ ნერვული აშლილობა! მაგრამ მე ეს ვერ შევამჩნიე !

ლავინია

შენ ვერასოდეს ვერას ამჩნევ, ვერც მე მამაჩნევდი.

რაილი

ახლა კი მინდა, მივუთითო ორივე თქვენგანს,
თუ რამდენი რამ გაქვთ საერთო. მივხვდი,
ერთმანეთს თუ რარიგად შეეფერებით.
მისტერ ჩემბერლენ, როცა გაიგეთ თქვენმა მეღლემ მიგა-
ტოვათ,

შეშფოთდით, რადგან აღმოაჩინეთ,
რომ არ გიყვარდათ მის კოპლსტონი.

ლავინია

ჩემს ქმარს არასდროს არავინაც არ ჰყვარებია.

რაილი

მზად არ იყავით, რომ ასეთი მსხვერპლი გაგეღოთ.
ამან შელახა თქვენი ღირსება.
თქვენ მოგწონდათ, როცა ფიქრობდით, რომ ხართ მგზნე-
ბარედ შეყვარებული.
და მერე ჯი გამოიცანით, რაც აღნიშნა თქვენმა მეუღლემ,
რომ არავინაც არ გიყვარდათ,
რის გამოც თქვენში ეჭვი გაჩნდა, რომ შეყვარება არ შეგ-
ძლებიათ.
და თქვენნაირი კაცისათვის ასეთი ეჭვი,
ისე ძლიერ აქვეითებს თვითშეფასებას,
როგორც ყმაწვილკაცს სქესობრივი უძლურება იმედს
უკარგავს.

ლავინია

შენ ხომ გულქვა კაცი ხარ, ედუარდ.

რაილი

ამას თქვენ ამბობთ, მისის ჩემბერლენ. ჯობს,თქვენს პრობ-
ლემას მივუბრუნდეთ,
როცა გაიგეთ, რომ ყმაწვილ საყვარელს
(თუმც კი იცოდით, რომ არ უყვარდით
და თავს გრძნობდით დამცირებულად,
რომ ასეთ ყოფას აიძულებდით) –
იმას ვამბობდი, როცა გაიგეთ რომ ყმაწვილკაცს

მის კოპლსტონი შეყვარებოდა,
ყველაფერ ამის აღიარებას, რაღა თქმა უნდა,
დრო დასჭირდა. თუმცა, თქვენ ეს ალბათ იცოდით,
მანამდე სანამ ის მიხვდებოდა. ვეჭვობ თავს დიდხანს იკა-
ტუნებდით,
სანამდის ძალა გეყოფოდათ; თითქოს მას სურდა,
სოციალურად რომ უფრო მაღლა ასულიყო,
ვიდრემდე მხოლოდ თქვენს მიჯნურად დარჩენილიყო.
როცა დადექით ფაქტის წინაშე,
რომ ყმაწვილკაცს ახალგაზრდა ქალი უყვარდა,
და არა გრძნობა თქვენს მიერვე მასში აღძრული,
თქვენთვის ეს მეხის დაცემას ჰგავდა. თქვენ ხომ გსურ-
დათ, რომ ყვარებოდით;
და მოგიწიათ იმის დანახვა, რომ არც არავის არ უყვარდით.
და იმის შიშიც დაგეუფლათ, რომ არავინ შეგიყვარებდათ.

ედუარდი

წუხილი მიპყრობს ამის გამო, ლავინია,
შენ ის ქალი ხარ, ვისაც ვერვინ ვერ შეიყვარებს
დღემდე არ ვიცი ეს რატომ ხდება. მეგონა ჩემი ბრალი
იყო.

რაილი

იმედი მაქვს, რომ თქვენთვის უკვე გასგებია,
რამდენი რამე გაერთიანებთ, თან რაც გაშორებთ.
კაცი, რომელსაც სიყვარულის უნარი არ აქვს
და ქალი, ვისაც ვერავინაც ვერ შეიყვარებს.

ლავინია

მგონია, ის, რაც საერთოა, იმისთვის კმარა,
ერთმანეთი რომ შევიძულოთ.

რაილი

უმჯობესია, ისე შეხედოთ როგორც ბორკილს, ერთმანეთ-
თან რომ გაკავშირებთ.
და სანამ ასეთ გაუგებარ ყოფაში რჩებით,
ერთს შეუძლია თქვას, რომ „ქალის შეყვარება არ შეუძლია“
და მეორეს კი - „ვერა კაცი ვერ შეიყვარებს“.
თქვენ შეგიძლიათ, რომ ერთმანეთს გადააბრალოთ შეც-
დომები
და ერთმანეთის გაგებასაც არ შეეცადოთ.
ახლა კი ისღა დაგრჩენიათ შემოაბრუნოთ მოვლენები
და შეაერთოთ.

ლავინია

მაგრამ ნუთუ ეს შეიძლება?

რაილი

ერთი თქვენგანიც რომ გამეშვა სანატორიუმს,
ისეთ ყოფაში, რა ყოფითაც ჩემთან მოხვედით, - გეტყვით:
რომ ვერც კი წარმოიდგენთ, რა საშინელი რამ მოხდებოდა,
იმის ამარა დარჩებოდით რაც მოიტანეთ:
აჩრდილი თქვენი სურვილებისა. ეშმაკის ხელში ჩაგდებული
უმწეო მსხვერპლი, მთელი თავისი ძალაუფლება თქვენზე
რომ სცადა.

ლავინია

მაშ, რა უნდა ვქნათ,
როცა ვეღარც წინ მივდივართ და ვეღარც უკან?
მაშ რა ვქნათ, ედუარდ?

რაილი

თქვენ თვითონვე უპასუხეთ თქვენსავ შეკითხვას,
თუმცა ნათქვამის მნიშვნელობა არ გაგეგებათ.

ედუარდი

ლავინია, უარესშიც უკეთესი უნდა ვეძებოთ,
ისიც სწორედ ამას გულისხმობს.

რაილი

მისტერ ჩემბერლენ,
უარესში უკეთეს გზას რომ გამონახავთ,
ყველასთვის გადარჩენის გზაც გამოჩნდება – გამონაკლისი
იქნებიან ის წმიდანები,
სანატორიუმს რომ მიდიან – თქვენ დაივიწყებთ ამ გამონ-
ათქვამს,
და დავიწყებით შეიცვლება მდგომარეობა.

ლავინია

ედუარდ, ნიუ ფორესტშია ის სასტუმრო,
და თუ იქ წასვლას მოინდომებ. ალექსის მეგობარია
მისი მმართველი, შემიძლია, რომ თან გამოგყვე
და იქ დაგტოვო, თუ გირჩევნია.

ედუარდი

მაგრამ იქ წასლა არ შემიძლია! ორშაბათს საქმე მელოდება.

ლავინია

კლუბში დარჩები?

ედუარდი

არა, ნებას აღარ მომცემენ.
ხვალამდე ვრჩები, მაგრამ ეს შენ საიდან იცი,
კლუბის შესახებ?

ლავინია

იცი, ედუარდ!
მოვალეობას არ გავურბივარ,
და პერანგების დატოვებასაც კი ვაპირებდი.

ედუარდი

მე მგონი, სახლში დაბრუნებაც კი შემიძლია.

ლავინია

მაშ, შეგვიძლია ფული დავზოგოთ და ერთი ტაქსით გავე-
მგზავროთ;
ხომ არ გინდა, რომ გამგზავრებამდე რაიმე ჰკითხო?

ედუარდი

ჰო, მინდა
მაგრამ ცოტა ძნელია.

ლავინია

ვისურვებდი, რომ მაინც გეთქვა.
ერთი რამ არის, რაც მინდა, რომ მაინც გავიგო.

ედუარდი

ეს ეხება სხვების მომავალს,
არ მინდა ბედი სხვის დაღუპვის ხარჯზე ავაგო.

ლავინია

სწორედ ასეა. და მეცა მაქვს ერთი შეკითხვა.
სერ ჰენრი, ტელეგრამებს თქვენ აგზავნიდით?

რაილი

ვფიქრობ, თქვენი ქმრის პრობლემები უნდა გადავჭრათ.
[ედურადს]

თქვენი სინდისის გაწმენდა თქვენ არ გევალებათ,
მხოლოდ ის გმართებთ, რომ ატაროთ საკუთარი სინდისის ტვირთი,
სხვების მომავალი თქვენ არ გეხებათ.

ლავინია

ვფიქრობ, რომ ამით უპასუხეთ ჩემს შეკითხვასაც,
მათ თვითონ უნდა ეთქვათ ჩვენთვის, რაც გადაწყვიტეს.

ედუარდი

სერ ჰენრი, კიდევ დარჩა რამე სათქმელი?

რაილი

არა, არ დარჩა არაფერი.
[ედუარდი ამოიღებს თავის ჩეკების წიგნაკს. რაილი ხელს ასწევს]
ჩემი მდივანი ჩემს ანგარიშს გამოგიგზავნით.
გზა მშვიდობისა. და გულმოდგინედ იფიქრეთ თქვენს გადარჩენაზე.
[ედუარდი და ლავინია გადიან]
[რაილი მიდის დივანთან და წვება. სახლის ტელეფონი რეკავს. მიდის და იღებს ყურმილს.]

რაილი

დიახ? ... დიახ, შემობრძანდით.
[გვერდითი კარიდან შემოდის ჯულია.]
ის ქალი დაბლა ქვედა სართულზე იცდის.

ჯულია

ვიცი, ჰენრი. ჩემი მოყვანილია.

რაილი

ოჰ, არ უთხარი, რომ პირველად მხედავ?

ჯულია

არა, არ მითქვამს. კართან დავტოვე,
ტაქსით წავედი, მოსახვევში თვალს მოვეფარე;
წუთით შევჩერდი და უკანა გზით შემოვიპარე.
აქ მოვედი, რომ შენთვის მეთქვა, მჯერა, მზად არის
რომ გადაწყვიტოს.

რაილი

უგუნებობის გამო მოვიდა?

ჯულია

უგუნებობის გამო კი არა,
ერიდებოდა. არ სჯეროდა,
რომ აღიქვამდი სერიოზულად,

რაილი

ეს მეტისმეტად უჩვეულოა.

ჯულია

ან იმსახურებს, რომ აღვიქვათ სერიოზულად.

რაილი

ეს მეტისმეტად უჩვეულოა.

ჯულია

ჰენრი, ადექი.
არც ისეთი გადაღლილი ხარ. გვერდით ოთახში დაგელოდები
და დავბრუნდები როდესაც წავა.

რაილი

ჰო, როცა წავა.

ჯულია

და ალექსი კი აქ იქნება?

რაილი

ჰო, აქ იქნება.
[ჯულია გადის გვერდითი კარიდან]
[რაილი ხელს აჭერს ღილაკს. მდივანი შემოუძღვება სილ-
იას.]

რაილი

მის სილია კოპლსტონ? .... დაბრძანებას ხომ არ ინებებთ?
ჩანს, მისის შათლთვაითის მეგობარი ხართ.

სილია

დიახ, ეს იყო მისის ჯულია შათლთვაითი,
რომელმაც თქვენთან მოსვლა მირჩია. თითქოს აქამდეც
შეგხვედრივართ,
არა? ოჰ, რა თქმა უნდა, მაგრამ მე არ ვიცოდი...

რაილი

თქვენ არ გჭირდებათ არაფრის ცოდნა.
მისის შათლვაითმა დაჟნებით მთხოვა აქ მოსვლა.

სილია

ეს ყველაფერი შეშფოთების გამომწვევია, ასე თუ ისე,
არ მინდა თქვენი დროის გაფლანგვა. და თანაც ვშიშობ,
იფიქრებთ, რომ ტყუილად გაცდენთ,
ვფიქრობ ის ხალხი, თქვენთან რომ მოდის,

ავადმყოფია, ან თქვენი ნახვის მიზეზი აქვს.
თუმც მე არა მაქვს ამის მიზეზი. მხოლოდ მაწუხებს სასო-
წარკვეთა
არ მეწყინება თუ მეტყვით, რომ უნდა დაგტოვოთ.

რაილი

პაციენტების უმრავლესობა, მის კოპლსტონ, იმითი იწყებს,
თუ რა აწუხებთ, ან მე რითი დავეხმარები.
სავსებით სჯერათ, რომ ნერვული აშლილობა აქვთ –
ისინი ასე უწოდებენ –
და ფიქრობენ, რომ ყველაფერი სხვისი ბრალია.

სილია

ვფიქრობ, რომ მხოლოდ ჩემი ბრალია, სხვას არას ვერჩი.

რაილი

და ამის შემდეგ, დასაწყისში მკურნალობისა,
ვცდილობ, ვაჩვენო, რომ ცდებიან შეფასებაში
თავიანთი სნეულებისა, და იმ დასკვნამდე მივიყვანო,
რომ ყველაფერი არც თუ ისეთი საგულისხმოა, როგორც
იმათ წარმოედგინათ.
როცა ასე შორს შევტოპავ ხოლმე, სჯობია რაღაც მოვი-
მოქმედო.

სილია

კეთილი, თავს ვერ მოვიკატუნებ, რომ ის რაც მე მჭირს
საგულისხმოა;
მაგრამ მე წუწუნს ვერ მოვყვები. თავს მშვენივრად
ვგრძნობ.
და შემიძლია ვიაქტიურო, თუკი თავს იჩენს რაიმე საქმე
არა მგონია ვინმე მდევნიდეს,

არც უცნაური ხმები ჩამესმის, არც არაფერი მეჩვენება,
თუკი არ ჩავთვლით, რომ სამყარო რომელშიც ვცხოვ-
რობთ, თვითვე არის მოჩვენებითი,
ხომ არ აჯობებს უპირველესად რომ ჩემს თავზე გიამბოთ
რამე,
სულ დამავიწყდა რომ თქვენ ჩემზე არა იცით რა,
და რაც ამ კვირას გადავიტანე;
ასე მგონია, არ მჭირდება ამისი ახსნა.

რაილი

ამჯერად თქვენზე რაც კი ვიცი, საკმარისია,
სჯობს, ამიხსნათ თქვენი გონების ამჟამინდელი მდგო-
მარეობა.

სილია

ორი რამე მაქვს გასრკვევი,
რაც, შეგიძლიათ, სიმპტომებად რომ ჩათვალოთ. უპირ-
ველესად კი უნდა გითხრათ,
რომ მსურს გავიგო თუ რა მჭირს ახლა,
რადგან თუ არ მჭირს, მაშინ მართლაც ცუდი რამ ხდება,
ან ბოლო–ბოლო რაღაც ძლიერ განსხვავებული,
თვით სამყაროში, ეს კი უფრო საშინელია!
ეს იქნებოდა საზარელი. ის მირჩევნია, რომ მჯეროდეს,
თავად მჭირს რაღაც, რასაც როგორღაც ეშველება,
ყველაფერს ვიზამ, რასაც თქვენ მეტყვით, რომ ვითარება
გამოვასწორო.

რაილი

სანამ გადავწყვეტთ, ჯერ ის უნდა გამოვიკვლიოთ, თქვენ
რა გაწუხებთ,

ვიდრე გადავწყვეტთ, თუ რა არის ნორმალურობა.
თქვენ ამბობთ, რომ არის ორი რამ, რაა პირველი?

სილია

მარტოსულობა.
მაგრამ ეს მეტად სწორხაზოვნად ჟღერს. მე არ ვგულიხობ
რომ რაღაცა ჩამოიშალა: თუმცა კი მართლაც ასე იყო.
ეს ილუზიის დასასრული სულაც არ არის, ჩვეულებრივად,
და არც გარიყვა. და, რა თქმა უნდა, არც ის,
ყველას რომ დაემართოს,
და იოლად გადაიტანონ, ანდა არაფრად არ ჩააგდონ.
არა. იმას ვგულისხმობ, რომ რაც მოხდა, მიმახვედრა,
რომ ყოველთვის მარტო ვიყავი. ადამიანი მუდამ მარტოა.
არა იმიტომ, რომ დამთავრდა ურთიერთობა,
არც მაშინ, როცა მიხვდები, რომ არც არსებობდა,
არამედ იმის გააზრება, თუ *ყველასთან* რა მაერთებდა.
იცით, ეს არც ისე ღირებულია, რომ ვინმესთან ვილაპარა-
კო!

რაილი

თქვენი მშობლები?

სილია

აჰ, ისინი სოფლად ცხოვრობენ,
ქალაქში ბინას ვერ იყიდიან.
სოფლად არიან და სახლს უვლიან.
სოფლად ცხოვრებას მიეჩვივნენ, ველარ ტოვებენ.

რაილი

ლონდონში ცხოვრობთ?

სილია

მე და ჩემი ბიძაშვილი
ბინას ვქირაობთ; ის კი ამჟამად მოგზაურობს,
ჩემს ოჯახს სურს, რომ მათთან ჩავიდე და იქ დავრჩე.
მაგრამ მე ეს არ შემიძლია.

რაილი

ისე გამოდის, რომ არავის დანახვა არ გსურთ?

სილია

ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ *მსურს* მარტო ყოფნა,
თუმცა ვფიქრობ, რომ ყველა მარტოა.
ხმაურობენ და ჰგონიათ, რომ მასლაათობენ;
და ისეთ სახეს იღებენ, რომ თითქოს ესმით ერთმანეთისა.
მე კი მჯერა, რომ სულაც არ ესმით. ილუზიაა?

რაილი

ილუზია კი ისაა რასაც, უმჯობესია, ზურგი ვაქციოთ.
ზოგჯერ გონება ისე გვერევა, რომ ბევრ რამეს ილუზიად
ვთვლით,
ეს ყველაფერი უნდა მივიღოთ და გზა განვაგრძოთ.
ახლა კი მეტყვით მეორე სიმპტომს?

სილია

ეს კი ის არის, რაც უცნობია
სასაცილოდ ჟღერს, მაგარმ ამას მე დავარქმევდი
ცოდვის შეგრძნებას

რაილი

მაშ, ცოდვის გამო იტანჯებით, მის კოპლსტონ?
ეს ხომ მეტად უჩვეულოა.

სილია

არ მეჩვენება ეს მოვლენა მე ნორმალურად,

რაილი

მაშინ მოვძებნოთ ის, რაც თქვენთვის ნორმალურია
ვიდრე დავარქმევთ არანორმალურს.
აბა მითხარით, რას გულისმობთ ცოდვის განცდაში?

სილია

უფრო იოლად ასახსნელია, რას არ ვგულისხმობ:
ჩვეულებრივი აზრით ცოდვას მე არ ვგულისხმობ.

რაილი

იქნებ ამიხსნათ, თუ ჩვეულებრივ ცოდვად რასა სთვლით.

სილია

კეთილი... ვგულისხმობ, რომ ეს არის ამორალური.
თუმც თავს არა ვთვლი ამორალურად:
ალბათ, ისინი მიიჩნევენ ყოველივეს ამორალურად.
მორალი თვით რომ არ გააჩნიათ.
არასოდეს შემიმჩნევია, ამორალობას
რომ თან ახლდეს ცოდვის შეგრძნება:
ბოლოს და ბოლოს, მე არასდროს არ შევხვედრივარ.
ასე მგონია ბოროტებაა, ადამიანს რომ ტკივილს აყენებ,
თუკი იცი, რომ ტკივილს აყენებ. არ ვიცი, იმ ქალს რა და-
ვუშავე.
არც არაფერი წამირთმევია,
არაფერი ის, რაც მას სურდა. იქნებ უჭკუოდ ვიქცეოდი,
მაგრამ სრულიად არ მაღელვებს, თუკი ასეთი სულელი ვიყავ.

რაილი

თქვენი ოჯახი რაღას ფიქრობს ნეტავ ამაზე?

სილია

ჩვეულებრივი აღზრდა მივიღე -
მასწავლიდნენ, რომ ცოდვა სულაც არ არსებობდა.
მაგრამ იმას კი არ ვგულისხმობ, რომ საერთოდ არ ახსენებდნენ!!
მაგრამ, თუ იყო ნებისმიერი მცდარი რამე,
ან ცუდი იყო ფორმით, მაშინ მიაწერდნენ ფსიქოლოგიას,
და ცუდი ფორმა კი იწვევდა უბედურებას,
რადგანაც ხალხი, ვინც ეს იცოდა, გმობდა კიდევაც.
პირადად მე დიდად არ ვწუხვარ ფორმის საკითხზე,
მაგრამ როდესაც ყველაფერში ცუდი ფორმაა,
და თან ახლავს გონებრივი უკუღმართობა,
შენ ან ცუდ ფორმად გადაიქცევი და არაფერი აღარ გადარდებს
ან თუკი დარდობ, მაშ ყოფილხარ ახირებული.

რაილი

ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ თქვენ გჭირთ ეს ახირება?

სილია

მაგრამ იმ დროს კი ყველაფერი სწორი მეგონა!
ბევრი ვიფიქრე მე ამაზე;
ახლა კი ვხედავ, ყველაფერი შეცდომა იყო.
მაგრამ ვერ ვხედავ, თუ რატომ ვთვლით შეცდომას ცოდვად!
თუმცა ამისთვის მე სხვა სიტყვას ვერა ვპოულობ.
ეს ყველაფერი კი ერთგვარი ილუზიაა;

იმავდროულად კი მეშინია,
რომ ეს იმაზე რეალურია, რისიც მჯეროდა.

რაილი

რა არის უფრო რეალური ვიდრე ის, რისიც ასე გჯეროდათ?

სილია

იმის შეგრძენება კი არა მაქვს, რაც ოდესმე ჩამიდენია,
და რისგანაც შემიძლია თავის დაღწევა, ანდა იმისგან, რაც ჩემშია,
და შემიძლია რომ მოვიცილო, არამედ მხოლოდ სიცარიელის, ხელის მოცარვის,
ვიღაცის ან რაღაცის მიმართ, ჩემ გარეთ მყოფის;
და ვგრძნობ, რომ უნდა .... *გამოვისყიდო* დანაშაული, ეს სიტყვა არის შესაფერისი?
შეძლებთ, პაციენტს უმკურნალოთ, ვისაც გონება დაბინდული აქვს?

რაილი

როგორ გგონიათ იმ კაცთან რა გაკავშირებდათ?

სილია

აჰ, ამას მიხვდით? მეტად ჭკვიანი ბრძანებულხართ.
ალბათ, მე თვითონ მიგახვედრეთ. თქვენ არ გჭირდებათ იმის ცოდნა თუ
ვინ არის იგი.

რაილი

არა.

სილია

ალბათ, მე მხოლოდ ტიპიური ვარ.

რაილი

მრავალნაირი ტიპი არსებობს, ზოგი სხვებზე იშვიათია.

სილია

მე ვფიქრობდი, რომ მას რაღაცას ვუზიარებდი!
და ის კი – მე. გაზიარება და მიღება
სამართლიანად მეჩვენებოდა; თუმც ეს არ იყო ჩვენზე გათვლილი,
არამედ ჩვენზე, როგორც ახალ პიროვნებებზე. რომ შემეძლოს
მაშინდელივით ვიგრძნო თავი, ახლაც სწორი მეგონებოდა.
მერე კი მივხვდი, რომ ერთმანეთს არც კი ვიცნობდით,
გაზიარება ეს არ იყო და არც მიღება,
და იმას ჰგავდა, თითქოს ერთმანეთს ვიყენებდით,
თითოეული თავის მიზნისთვის. შემზარავია. შეიძლება, გვიყვარდეს რამე,
რასაც მხოლოდ ჩვენი წარმოსახვით ვქმნით?
ნუთუ არც გვიყვარს და არც ვუყვარვართ?
მაშინ კაცი მარტოსულია და თუკი კაცი მარტოსულია,
საყვარელიც და შეყვარებულიც რეალურები ვერ იქნებიან
და მეოცნებე უფრო არარეალურია, ვიდრე ოცნება.

რაილი

ახლა ეს კაცი, ვინ არის შენთვის, რად გეჩვენება?

სილია

ბავშვად, რომელიც ტყეში მარტო დაეხეტება

და თან ერთობა წარმოსახვით თანატოლებთან.
მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ ის ბავშვია,
რომელიც ტყეში დაიკარგა და შინ მოუნდა.

რაილი

თანაგრძნობაა შეიძლება ის გასაღები,
რომელიც ტყიდან გამოსასვლელ გზას გაპოვნინებს.

სილია

თუნდაც ტყეს თავი დავაღწიო
მაინც შემრჩება უნუგეშო ხსოვნა იმისა,
რომ ტყეში მისთვის წავედი, რომ განძი მენახა,
მაგრამ ვერ ვნახე, რადგან არ იყო
და, ალბათ, არც არსად არ არის. მაგრამ თუკი არსად არ არის,
თავს რატომ ვგრძნობ მე დამნაშავედ, რომ ვერსად ვპოვე?

რაილი

იმედიც კი გადაიქცევა უიმედობად
თუ მას ვენდობით.

სილია

ვერაფერს გეტყვით.
განა იმიტომ, რომ გულისტკენის მეშინია:
ვეღარაფერი გულს ვერ მატკენს და ვერც განმკურნავს.
იყო დრო, როცა ვფიქრობდი, რომ გატაცება ნამდვილი იყო
იმათ კი, ვინც ეს გამოსცადეს რეალობის განცდა არ ჰქონდათ,
რადგან, რაც მოხდა, სიზმარივით დაამახსოვრდათ,
როდესაც კაცი აღგზნებულია სიყვარულის მთელი სიმძაფრით,

იმ თრთოლვითა და აღფრთოვანებით, სურვილი რომ არ
გააჩნია,
რადგან სურვილს ავსებს მხოლოდ სიამოვნება,
სიყვარულის ძალით განცდილი. მდგომარეობას ფხიზლად
მყოფი რომ ვერ შეიცნობს.
რადგან არ ვიცი, რა მიყვარდა ან ვინ მიყვარდა,
ანდა რა იყო სიყვარული ჩემგან განცდილი.
და თუკი ამას მნიშველობა არ გააჩნია,
მაშინ მინდა, რომ განვიკურნო იმ ლტოლვისაგან,
რასაც ვერ ვპოვებ და სირცხვილისაგან, რომ ვერასოდეს
მოვიპოვებ.
შეძლებთ, განმკურნოთ?

რაილი

დიახ, შევძლებ თქვენს განკურნებას,
მკურნალობის ფორმა კი თვითონ თქვენ შეარჩიეთ.
თქვენ მაგივრად მე ვერ შევარჩევ. და თუ ეს არის თქვენი
სურვილი
შემიძლია, რომ დაგაბრუნოთ ჩვეულ ყოფაში,
მათსავით, თქვენებრ შორს რომ წავიდნენ
და მაინც ჰპოვეს გამოსავალი. მათ, შეიძლება, ახსენდებათ
ის, რაც უნახვათ, მაგრამ ახლა აღარ ნანობენ,
და თავი გააქვთ ყოველდღიურ საქმიანობით,
სწავლობენ, როგორ აირიდონ ზედმეტზე ფიქრი,
საკუთარ თავსაც პატიობენ, ასევე სხვებსაც
მიიღებენ და გასცემენ ისე, როგორც წესია
აღარაფერს არ უჩივიან; ახარებთ დილა, რომ აშორებთ
და საღამო, რომელიც მათ აერთიანებთ,
რათა ბუხრის წინ იმასლაათონ, როგორც ორმა ადამიანმა,

ერთმანეთის რომ არა ესმით რა,
ზარდონ შვილები, რომლებისაც მათ არ ესმით და ისინიც
ვერსოდეს ვერ გაუგებენ.

სილია

და ამას ჰქვია კარგი ცხოვრება?

რაილი

ეს მართლაც კარგი ცხოვრებაა. თუმცა შენ არ გეცოდინება,
ვიდრე დასასრულს არ მიადგები. და სხვა სურვილი არ
გექნება
სხვა ცხოვრება კი იქვე მსგავსი იმ წიგნისა,
რომელიც შენ ოდესღაც წაიკითხე და დაგეკარგა.
ამ სამყაროში ძალადობის, სიბრიყვისა და სიხარბისა ...
სწორედ რომ კარგი ცხოვრებაა.

სილია

ვიცი, ამასთან შეგუება მე უნდა შევძლო,
თუკი მომიწევს ასე ცხოვრება. თუმც ამისადმი გულგრილი
ვრჩები.
ალბათ, ეს ჩემი სნეულების ნაწილი არის,
მაგრამ მე ვგრძნობ, რომ ეს დანებება იქნება ჩემგან
– მაგრამ ეს უფრო ღალატსა ჰგავს.
ვფიქრობ, რომ მქონდა რაღაც წინასწარხედვა,
თუმცა არ ვიცი, თუ ეს რა არის და არც ის მინდა, რომ
დავივიწყო.
მინდა ვიცხოვრო ამასთან ერთად. და ავიტანო ეს ყვე-
ლაფერი,
მინდა ყველაფერს შევეგუო და თუ შევძლებდი ვუპა-
ტრონებდი.

სინამდვილეში, ჩემის მხრიდან იქნებოდა უსინდისობა
ახლა ვინმესთან რომ გამეყო ჩემი ცხოვრება!
არ შემიძლია სიყვარულის გაზიარება –
ნეტავ შემეძლოს – იმ ცხოვრებას რომ ეკუთვნოდა.
ვშიშობ, ბოდვას ჰგავს ეს ყველაფერი!
ან, უბრალოდ, ჭირვეულობას... და მაინც,
თუკი სხვა გზა აღარ არის ... ყველაფერი უიმედოა

რაილი

სხვა გზაც არსებობს სიმამაცე თუკი გეყოფათ.
ჯერ გასაგებ ენაზე გეტყვით,
რადგან ეს უკვე ნანახი გაქვთ, როგორც ჩვენ ყველას.
უმრავლესობის ცხოვრებაში რომ ასახულა.
სხვანაირად კი შეუცნობია და რწმენას ითხოვს -
რწმენას, რომელსაც გამოიწვევს უიმედობა.
დანიშნულების ადგილს თუმცა ვერ მიგანიშნებთ.
მცირედი რამ გეცოდინებათ, სანამ იქ მიხვალთ;
იმ ადგილამდი ბრმასავით ივლით. მაგრამ ამ გზით მოიპოვებთ,
იმას, რასაც სხვაგან ეძებდით.

სილია

ეს ჩემს სურვილს ჰგავს. მაგრამ ნეტავ რა მევალება?

რაილი

გზას რომ აირჩევთ, იმის მიხედვით დაწესდება მოვალეობაც.

სილია

რომელი გზაა უკეთესი?

რაილი

უკეთესად ვერც ერთს მივიჩნევ, ორივე გზა გასავლელია. და საჭიროა,
ამ ორი გზიდან ერთ–ერთი რომ ამოირჩიოთ.

სილია

მაშინ მე ვირჩევ მეორე გზას.

რაილი

ეს შემზარავი მგზავრობაა.

სილია

არ მეშინია,
მოხარული ვარ. სიმარტოვეში გასავლელი გზა არის, ალბათ.

რაილი

არც თუ ისეთ სიმარტოვეში, როგორც სხვა გზები.
ის ვინც მეორე გზას აირჩევს, დაივიწყებს მარტოსულობას,
თქვენ კი ეს არ დაგავიწყდებათ.
თითოეულ გზაზე მარტოც ხარ და სხვებთან ერთადაც.
ორივე გზა აგვაცილებს საბოლოო მარტოსულობას,
ილუზიური წარმოსახვების, მაცდუნებელი მოგონებების
და სურვილების სამყაროში.

სილია

ჯოჯოხეთში მგონია თავი.

რაილი

ეს ჯოჯოხეთი არ იქნება იქამდე, სანამ უნარი არ გექნება,
რომ რაიმე შექმნა.
აბა რას იტყვით, გადაწყვიტეთ?

სილია

მე მირჩივნია მეორე გზა,
რა გავაკეთო?

რაილი

სანატორიუმში წახვალთ.

სილია

რა უიმედო დასასრულია! მე ვიცნობ იმ ხალხს,
იქ რომ იყო და უკან დაბრუნდა,
და თავი უკეთ არ უგრძვნიათ,
სწორედ ამიტომ მოვედი თქვენთან. მაგრამ ისინი დაუბრუნდნენ...
იცით ... კეთილი ...ჩვეულ ცხოვრებას.

რაილი

მართალი არის. მაგრამ ის ხალხი, თქვენ რომ გულისხ-მობთ,
იქ არ ყოფილან .
მე იქ წამსვლელებს სიფრთხილით ვარჩევ,
იქით წასულნი იმათ მსგავსად არ ბრუნდებიან.

სილია

ისე ჟღერს, როგორც სატუსაღო, მაგრამ ყველა იქ ვერ დარჩება!
თუ ასე მოხდა, ეგ ადგილი გადაივსება.

რაილი

ბევრი არ მიდის. მაგრამ უკანაც არ ბრუნდებიან
არ ბრუნებიან უკან თქვენი მეგობრებივით.
იმას არ ვამბობ, რომ იქ რჩებოდნენ.

სილია

მაშინ რა მოსდით?

რაილი

თვითონ ირჩევენ, მათ არავინ არ ატანს ძალას.
ზოგი მათგანი ბრუნდება და არც არავინ უჩინარდება,
და თავის ადგილს პოულობენ
ამ ქვეყანაში.

სილია

რამდენად სწრაფად გამაგზავნით იქ?

რაილი

რამდენად სწრაფად იქნებით მზად?

სილია

ამ საღამოს, ცხრა საათისთვის.

რაილი

მაშ, წადით სახლში და მოემზადეთ.
ეს მისამართი თქვენს მეგობრებს შეატყობინეთ.
[წერს ქაღალდის პატარა ფურცელზე]
უმჯობესია, რომ თქვენს ოჯახს ახლავ აცნობოთ,
ცხრა საათისთვის კი მანქანას გამოგიგზავნით.

სილია

რა წამოვიღო?

რაილი

არც არაფერი.
ყველაფერ იმით, რაც დაგჭირდებათ, ჩვენ უზრუნველგყოფთ.
და არც არაფრის დახარჯვა იქ არ დაგჭირდებათ.

სილია

ბოლოს და ბოლოს, არც კი ვიცი, თუ რას ანდა რატომ ვა-
კეთებ.
და სხვა არაფრის გაკეთებაც არ შეიძლება:
ეს ერთადერთი მიზეზია.

რაილი

ამასთან ერთად, საუკეთესოც.

სილია

მაგრამ ვიცი, რომ ეს ნაბიჯი თვითონ გადავდგი:
ეს უნდა მეთქვა. ოჰ, კინაღამ გადამავიწყდა –
იქნება მითხრათ გასამრჯელოდ თუ რა გეკუთვნით.

რაილი

მდივანმა იცის,
რომ გადახდა არ დაგჭირდებათ.

სილია

მაგრამ...

რაილი

მსგავს შემთხვევაში არ არსებობს გადასახადი.
[ღილაკს აჭერს.]

სილია

ეს თქვენგან დიდი სიკეთეა

რაილი

გზა მშვიდობისა, ჩემო გოგონა.
თავი იხსენით საკუთარი გულმოდგინებით.

[მდივანი გამოჩნდება კარებში. სილია გადის. რაილი რეკა-
ვს სახლის ტელეფონით]

რაილი

[ტელეფონში]
უკვე დამთავრდა, შეგიძლიათ რომ შემოხვიდეთ.
[შემოდის ჯულია, გვერდითი კარებიდან]
იგი შორს წავა.

ჯულია

ვფიქრობ, ძალზე შორს.
ამისი თქმა არც კი გჭირდება. ეგ ამბავი ისეც ვიცოდი.

რაილი

მე სხვებზე ვღელავ.

ჯულია

უაზრობაა, ჰენრი, იმათ თვალყურს ვადევნებ.

რაილი

უკან გავგზავნე, ნეტავი რისთვის?
დაობებული საჭმლისათვის, საკუჭნაოში რომ დარჩენილა,
დაობებული აზრებისთვის, გონებაშია რომ ჩარჩენია.
არც ერთს არ ძალუძს, რომ საკუთარ თავს დაუმალოს თა-
ვის სიმდაბლე,
რადგან მეორემ კარგად იცის.
ეს კი არა ჰგავს ურთიერთღალატს,
არამედ იმას, რომ მეორემ იცის საბაბი.
სარკე სარკის წინ, ამრეკლავი ამაოებას.
ძლიერ გავრისკე.

ჯულია

ჩვენ ყოველთვის უნდა გავრისკოთ.
ეს ხომ ჩვენი ბედისწერაა. და თუკი ეჭვობ, რაც გადავწყვიტეთ
სხვა შესაძლო არჩევანი თუ გეგულება?

რაილი

არავითარი.

ჯულია

კეთილი, მაშინ უნდა გავბედოთ.
ჩვენ მხოლოდ ეს თუ შეგვიძლია, რომ შანსი მივცეთ,
და ახლა, როცა ისინი თვით სულს იშიშვლებენ
და შეუძლიათ აირჩიონ, ვიდრე სამოსელს მოირგებდნენ თავის შესაფერს,
ან ისევ ნიღბებს მოირგებენ, უპირველესად საიდანღაც უნდა დაიწყონ.
შეიძლება რომ ერთმანეთი დახოცონ კიდეც,
მაგრამ მგონი, რომ ვერ გაბედავენ.
ამასაც ვნახავთ. ჩემს გონებას სილიაზე ფიქრი ამძიმებს.

რაილი

სილიაზე?

ჯულია

სილიაზე.

რაილი

მაგრამ მე რომ ვთქვი,
რომ ის შორს წავა, შენ დამეთანხმე.

ჯულია

დიახ, შორს წავა. და ისიც ვიცით, თუ საით მიდის,
მაგრამ არ ვიცით ამ მგზავრობას რა საფრთხე ელის?
ჩვენ ხომ არ ვიცით ის პროცესი და ან ის კაცი
როგორ დაძლევს თავის კაცობას: ან ის რა ვიცით
თუ როგორი ტანჯვა მოელით,
სანამ გონება გაუნათდებათ?

რაილი

შეეშინდება,
როს პირველად გამოჩნდებიან უცხო სულები?

ჯულია

ჰენრი, არ გესმის, თუ რას ნიშნავს უმანკოება.
მას არაფრის არ შეეშინდება. ვერც კი მიხვდება,
თუ არსებობს საშიშროება,
ის ძალიან თავმდაბალია. შეუძლია, რომ ლანძღვა – გინების მთებს გაუძლოს,
დამცირების ხეობები გამოიაროს, როგორც იმ ბავშვმა, რომელსაც უწევს
სურვილის და თმენის ატანა. და მაინც უნდა დაიტანჯოს.

რაილი

როცა რწმენა მაქვს რაიმესადმი,
შენ ყოველთვის ეჭვით უყურებ; როცა ცუდი წინათგრძნობა მაქვს,
შენ ვერავითარ მიზეზს ვერ ხედავ, გარდა რწმენისა.

ჯულია

სწორედ ამიტომ ვარ მე შენთვის მნიშვნელოვანი,
შენ მადლიერი უნდა იყო.

რაილი

როცა მე მის მსგავსთ ვეუბნები,
„თავი იხსენით საკუთარი გულმოდგინებით“, ვერ გამიგია
თუ რას ვამბობ.

ჯულია

შენს შეზღუდვებს უნდა დასჯერდე,
მაგრამ ალექსმა რამდენ ხანს უნდა გვალოდინოს?

რაილი

აქამდეც უნდა მოსულიყო. მის ბერევეის შევეკითხები.
[იღებს სახლის ტელეფონს]
მის ბერევეი, როდესაც მოვა მისტერ გიბსი...
ძალიან კარგი.
[ჯულიას]
უკვე გზაშია.
[ტელეფონში]
შემოიტანოთ ის ლანგარი, მის ბერევეი.
[შემოდის ალექსი]

ალექსი

აბა მითხარით, საქმეები თუ როგორ მიდის?

ჯულია

ყველაფერი თავის რიგზეა.

ალექსი

რა გზა აირჩიეს ჩემბერლენებმა?

რაილი

დაემორჩილნენ ბედისწერას.

ალექსი

და სილიამ თუ აირჩია?

რაილი

მას ამ საღამოს მოიყვანენ.
[მდივანი შემოდის ლანგრით, რომელზედაც გრაფინი და
სამი ჭიქაა და გადის. რაილი ასხამს სასმელს.]
ახლა მზადა ვართ დასალევად.

ალექსი

მაშ დავანთოთ კერიის ცეცხლი.
[ჭიქები ასწიეს.]

რაილი

კერიაში ცეცხლი დაენთოს
ვარკვლავების მფარველობის ქვეშ.

ალექსი

და შემოუსხდნენ ორივე მხარეს.

ჯულია

წმიდა სულებმა დაიფარონ მათი სახლები,
დაე, თვით მთვარემ მოაფინოს სხივი მათ საწოლს.
[სვამენ.]

ალექსი

დე, მოგზაურებს გზა დაელოცოთ

რაილი

გზა დაულოცოს მოგზაურთა მფარველმა
ძალამ.

ალექსი

დაიცვას იგი უდაბნოში
დაიცვას მთებში.
დაიცვას იგი ლაბირინთში,
დაიცვას იგი მცოცავ ქვიშაზე.

ჯულია

დაიცვას იგი ხმებისაგან,
დაიცვას იგი ხილვებისაგან,
დაიცვას იგი მღელვარებისაგან,
დაიფაროს იგი მდუმარებისას.
[სვამენ.]

რაილი

ერთიღა დარჩა, რომელზედაც სიტყვებს ვერ დაძრავ.

ალექსი

ჰო, სიტყვები ჯერ ვერ ითქმება.

ჯულია

თქვენ პიტერ კვილპი იგულისხმეთ?.

რაილი

ჯერ ის იქამდე არ მისულა, სადაც სიტყვებს ფასი ედებათ.

ჯულია

განა ღირს მათზე ლაპარაკი?

ალექსი

ალბათ, მათზე სხვები იტყვიან.
თქვენ ხომ იცით, რომ კავშირები კალიფორნიაშიც მომეძევება.

ფარდა

მოქმედება მესამე

ჩემბერლენების ლონდონის ბინის მისაღები ოთახი. ორი წლის შემდეგ. ივლისის გვიანი შუადღე. ბანკეტის მომსახურე კაცი აწყობს სუფრას. ლავინია შემოდის გვერდითი კარიდან.

მომსახურე

კიდევ რაიმეს ინებებთ, მადამ?

ლავინია

იქნებ მაგიდა შემოაგოროთ ჭიქებიანად
და გაამზადოთ.

მომსახურე

კეთილი, მადამ. [გადის. ლავინია შესამოწმებლად მოავლებს თვალს ოთახს და ყვავილების ქოთანს განზე გასწევს.]
[შემოდის მომსახურე კაცი გორგოლაჭებიანი მაგიდით.]

ლავინია

იქ, იმ კუთხეში. ყველაზე უფრო იქ აჯობებს.
მანდედან უფრო ადვილია მისი ტარება. რაიმე გნებავთ,
იქნებ რაიმე ვერ იპოვეთ?

მომსახურე

არა, მადამ.
ხომ არ ინებებთ კიდევ რაიმეს?

ლავინია

ვფიქრობ, რომ არა, ვიდრე შვიდი არ შესრულდება.
[მომსახურე კაცი გადის.]
[ედუარდი გამოჩნდება წინა კარში.]

ედუარდი

ვფირობ, რომ სწორედ კარგ დროს მოვედი. იმედი მაქვს,
რომ არ დარდობდი.

ლავინია

არა, დავრეკე მე შენს ოფისში,
მდივანმა მითხრა, რომ წამოხვედი.
დასარწმუნებლად დაგირეკე ...

ედუარდი

[ღიმილით]
რომ შენ არსად გაქცეულხარ?

ლავინია

გეყოფა, ედუარდ, უსამართლოდ ნუ მომექცევი!
აი, რამდენი წვეულება გავმართეთ უკვე,
ბოლო ორი წლის განმავლობაში და უჩემოდ არ ჩაუვლია.
იმედი მაქვს, რომ არ დაღლილხარ.

ედუარდი

არა დღემ მშვიდად ჩაიარა.
მხოლოდ ორი კონსულტაცია,
არც თუ ისე ძნელ საქმეებზე. ალბათ, შენ უფრო დაიღალე.

ლავინია

ჯერ არ დავღლილვარ. მაგრამ სიხარულს ვერ დავმალავ,
რომ დასრულდება.

ედუარდი

შენი კაბა ძალიან მომწონს,
მოხარული ვარ, რომ ეგ ჩაიცვი.

ლავინია

იცი, ედუარდ!
ეს პირველია ქათინაურს რომ მეუბნები, წვეულების წინ,
სწორედ რომ ამ დროს არის საჭირო.

ედუარდი

მაგრამ შენ ეს დაიმსახურე. თან ბევრი ხალხიც დავპატი-
ჟეთ.

ლავინია

ჰო, მართალია, უფრო მეტი დაეთანხმა ჩვენს მოწვევას,
ვიდრე ველოდით. მაგრამ რას იზამ?
ჩვეულებრივ, ბევრს არ უყვარს წვეულებები,
მაგრამ იმავ დროს, ეწყინებოდათ,
თუ მათ გარეშე წვეულებას ჩავატარებდით.

ედუარდი

მაშინ ჩვენ ორი წვეულება დაგვჭირდებოდა.

ლავინია

და მაინც ამას არ იკმარებენ.
რამდენზეც გინდა მოიწვიე,
მაინც სხვაგან გაურბით თვალი.

ედუარდი

სიმართლეს ამბობ, პრაქტიკული აზროვნება გაქვს.

ლავინია

მაგრამ მგონია, ამაოდ ვწუხვართ.
მიპატიჟება ვინც მიიღო, ყველა არ მოვა.
ხომ გახსოვს რომ ვთქვით „შეგვიძლია თუნდ ოცით მეტი
დავპატიჟოთ
რადგან ისინი განინგებთან წასვლას არჩევენ“.

ედუარდი

მე ვიცი, იმ დროს რასაც ვამბობდით.
განინგების წვეულებები კი აღარ მახსოვს.
სტუმრებს ხომ მხოლოდ იმდენს ასმევენ, რომ საღერღელი
აეშალოთ
მოგვიანებით ჩვენთან მოვლენ და სასმელს მოგვთხოვენ.
მოდი, იმედი ვიქონიოთ, რომ ვინც ადრე მოვა,
განინგებთან წავლენ, ადგილს დაუთმობენ მათგან მო-
სულებს.

ლავინია

და თუ ძალიან ბევრნი მოვლენ,
მათ კოქტეილი აღარ შეხვდებათ, და ვერც მაგიდას შემოი-
ტანენ,
და მაშინ უკან გაბრუნდებიან. ასე თუ ისე ვერას გააწყობ.
ყველას უნდა, რომ დაინახონ წვეულებაზე,
რათა აჩვენონ, სხვებთან ერთად, რომ დაპატიჟეს.
აი, რაშია წარმატება. ეს სურათი სწორად კიდია?

ედუარდი

დიახ, სწორია.

ლავინია

არა, გეთაყვა, გაასწორე.

ედუარდი

ახლა რას იტყვი?

ლავინია

მეტისმეტად მარცხნივაა.

ედუარდი

ახლა?

ლავინია

არა, მე მარჯვნივ ვგულისხმობდი.
საკმარისია. მეტისმეტად გადაღლილი ვარ და არ მანაღვ-
ლებს.

ედუარდი

ყველა რომ წავა, ჩვენც დავლიოთ შამპანური.
იქნება დაწვე და დაისვენო,
ალბათ ნახევარ საათში მოვლენ.
იქნებ წამოწვე.

ლავინია

თუკი ჩემს გვერდით ჩამოჯდები,
დავისვენებ.

ედუარდი

ეს მეტად კარგი მომენტია
წვეულებისა.

ლავინია

ოჰ, არა ედუარდ. წვეულება რომ დამთავრდება, ის იქნება
საუკეთესო
გაგვახსენდება, რომ სეზონი ამოიწურა,
წყვეულებებიც აღარ იქნება.

ედუარდი

მეურვეებიც არ დაგვჭირდება.

ლავინია

და მალე წავალთ?

ედუარდი

იმ კვირის ბოლოს
ვთავისუფლდები

ლავინია

მარტო დავრჩებით
მე მიყვარს სახლი სადაც შევძლებთ განმარტოებას.

ედუარდი

სწორედ ამიტომ ამოვირჩიეთ. და მე დიდად მადლიერი ვარ,
რადგან საბაბი მეძლევა, რომ ხალხი არ ვნახო.
შენც დასვენება გჭირდება ახლა.
[კარზე ზარის ხმა გაისმის.]

ლავინია

ოჰ, ესღა გვაკლდა! ასე ადრე კარს ვინ მოადგა?
ადგომის თავიც კი არა მაქვს.

მომსახურე

მისის შათლვაითი!

ლავინია

ოჰ, ეს ჯულიაა!
[შემოდის ჯულია.]

ჯულია

ჩემო კარგებო, აი მოვედი!
ვფიქრობ, მთვლემარეს შემოგისწარით!
ისიც ვიცი, რომ ადრე მოვედი; თუმც ძვირფასებო, ფაქტი
ის არის,
განინგების წვეულებაზე ვაპირებ წასვლას.
ისიც ხომ იცით, თუ რა სუფრას შეგვთავაზებენ,
ვიცი, რომ ჩაი არ შემხვდება და ველარ ვითმენ
წყურვილით ვკვდები. და პარკინსონი რას გვთავაზობს?
ოჰ, დიახ, ვიცი, რომ პარკინსონი გემსახურებათ.
კართან ვიცანი ერთი მათგანი -
ერთ-ერთი ძველი მეგობარი. სულ დამავიწყდა
თქვენთვის ერთი სიურპრიზი მაქვს: თან ალექსი წამოვი-
ყვანე!
სწორედ ამ დილით საიდანღაც გამომეცხადა –
მოიარა იდუმალი ექსპედიცია.
და ვაპირებთ, რომ ყველაფერი ვაამბობინოთ.
სად დაიკარგა?
[შემოდის ალექსი.]

ედუარდი

აბა, ალექს!
რომელმა ქარმა გადმოგაგდო?

ალექსი

რომელმა ქარმა? აღმოსავლეთის, კინკანჯას ქარმა –
იმ კუნძულის, აქამომდე რომ არა გსმენიათ,

დილით დავბრუნდი. ყური მოვკარი, რომ მართავდით დღეს
წვეულებას,
ვიფიქრე, ალბათ ამის მერე, სოფელში წავლენ,
და ვთქვი, მოვასწრებ
ედუარდის და ლავინიას მონახულებას.

ლავინია

როგორა ხარ, ალექს?

ალექსი

საუზმის შემდეგ შევეცადე, რომ დამერეკა
მაგრამ ჩემს მდივანს გაუძნელდა დაკავშირება.
ვუთხარი, ჩემს თავს, და არა მდივანს, რომ არა უშავს,
ისინი თბილად დახვდებიან უცაბედ სტუმარს,
მე მათ საკმაოდ კარგად ვიცნობ.

ჯულია

გვითხარი, ალექს,
რა გინდოდა იმ უცხო მხარეს?
რა ჰქვია?

ალექსი

კინკანჯა.

ჯულია

რას აკეთებდი კინკანჯაში? რომელიღაც სულთანს ეწვიე?
ვეფხვებზე ხომ არ ინადირე?

ალექსი

იქ, კინკანჯაში, ვეფხვებს რა უნდათ
და არც სულთნები არ არიან.

გუბერნატორთან ვიყავი სტუმრად.
სამნი ვიყავით გაგზავნილნი,
ადგილობრივი ვითარების გამოსაკვლევად.

ჯულია

და რას იკვლევდით, მაიმუნის თხილს?

ალექსი

თითქმის ეგრეა, როგორც შენ ფიქრობ,
თხილს არა, მაგრამ მაიმუნებს კი შეეხება –
რადგანაც სწორედ მაიმუნები ქმნიან პრობლემას,
ან სიმპტომია, თუმც დარწმუნებით მაინც ვერ ვიტყვი.
ასე თუ ისე, მაიმუნები იქ მცხოვრებთა
შფოთვას იწვევენ.

ედუარდ

მაიმუნები შფოთვას მაინც როგორ იწვევენ?

ალექსი

დავიწყოთ იმით, რომ ყველაფერს ანადგურებენ,

ჯულია

ისედაც ვიცი, რომ ყველაფერს ანადგურებენ,
რა დამავიწყებს მელინგტონი მერის მაიმუნს,
ამ საძაგელმა პატარა მხეცმა – მოიპარა ჩემი ბილეთი,
მერე კუპეში ვიჯექი და მენტონისკენ ძლივს მივღოღავდი,
მერი ძალიან გამიბრაზდა როცა ვუთხარი,
რომ მაიმუნი მოსაკლავია.

ლავინია

რად არ მოსპობენ მაიმუნებს, თუ ყველაფერს ანადგურე-
ბენ?

ალექსი

საუბედუროდ, ადგილობრივთა უმეტესობა წარმართებია.
და თაყვანს სცემენ მაიმუნებს,
და არ უნდათ მათი დახოცვა და დამანაშავედ
მთავრობას თვლიან.

ედუარდი

ეს უგნურებად მეჩვენება.

ალექსი

ეს უგნურება ყველა მათგანს ახასიათებს.
თუმც ეს არ არის ყველაზე ცუდი.
ზოგი ტომი ქრისტიანად მოქცეულია,
ბუნებრივია, სულ სხვაგვარი თვალთახედვა აქვთ.
მაიმუნებს მახეს უგებენ და მერე ჭამენ.
ახალგაზრდა მაიმუნი მეტისმეტად გემრიელია:
თავადაც მაქვს მათგან კერძი დამზადებული ...

ედუარდი

და ვინმე ჭამდა შენს ნახელავს?

ალექსი

რატომაც არა,
ახალ რეცეპტებს თავად ვქმნიდი იქ მცხოვრებთათვის.
მაგრამ იცი, რომ მაიმუნთაგან მარცვლეულის მოსავლის
დაცვით
და საკვებად გამოყენებით,
ქრისტიანებმა მოგება ნახეს?
და ამის გამო წარმართები ძლიერ აღშფოთდნენ
და ეს ნამდვილი პრობლემაა. იმედი მაქვს, თავს არ გაბეზ-
რებთ.

ედუარდი

ნამდვილად არა: მოუთმენლად ველით, ბოლოს რა გად-
აწყვიტეთ.

ალექსი

არა მგონია, რომ რაიმე გადაგვეწყვიტოს,
მაგრამ ესეც კი ვერ ჩაგვახედებს ამ საქმის გულში.
აქ უცხოელნიც ჩაერივნენ,
და შუღლი მეტად გააღვივეს.

ლავინია

რად არ აძევებთ უცხოელებს?

ალექსი

რადგან არიან მოქალაქენი მეგობრულ ქვეყნის,
რომელიც ჩვენ ახლახანს ვცანით. ეჰ, ლავინია,
ამ საქმეში ბევრი რამ არის ღრმად ჩამალული.

ედუარდი

წამქეზებლები როგორ ქმნიან არეულობას?

ალექსი

მათ დაარწმუნეს წარმართები, რომ მაიმუნთა ხოცვა-ჟლე-
ტით წყევლა მოიმკეს,
რომლის თავიდან აცილებაც მხოლოდ მკვლელობით შეი-
ძლება.
და დაარწმუნეს ქრისტიანად მოქცეულები, რომ წარმარ-
თობას დაბრუნებოდნენ
და ამით სიკვდილს გადარჩენოდნენ
და, იმის ნაცვლად, რომ ეჭამათ მაიმუნები
ქრისტიანების ჭამა დაიწყეს.

ჯულია

მაიმუნების ჭამის ნაცვლად.

ალექსი

მე ვფიქრობ, რომ აბორიგენებს საღი აზრი არ გააჩნიათ.

ჯულია

ნეტავ სადამდე მიგვიყვანდი ემაგ შენი მაიმუნებით,
წარმოვიდგინე კიდეც, როგორ ვსადილობდი მაიმუნებით;
მაგრამ კაცი კი ვერ ისადილებს ქრისტიანებით,
თუნდაც იყოს წარმართებს შორის.

ალექსი

თუნდაც, მთელი ამ ამბის შემდეგ.

ედუარდი

რომელიმე ინგლისელი ხომ არ მოუკლავთ?

ალექსი

დიახ, მაგრამ, ჩვეულებრივ, არ უჭამიათ.
როს ევროპელებს უსწორდებიან, როგორც წესი,
საჭმელადაც აღარ ვარგიან.

ედუარდი

და მერე შენმა კომიტეტმა რაღა იღონა?

ალექსი

ჩვენ შევადგინეთ დროებითი საანგარიშო მოხსენება.

ედუარდი

და ყველაფერი გამოქვეყნდება?

ალექსი

ამჯერად ეს ვერ მოხერხდება. ძალზე ბევრია ერთაშორისი
გართულება.
ბოლოს და ბოლოს ეგებ კიდეც გამოვაქვეყნოთ.

ედუარდი

მაგრამ ეგ როდის?

ალექსი

ორ წელიწადში.

ედუარდი

მანამდე?

ალექსი

ამასობაში მაიმუნები მრავლდებიან.
ლავინია
ქრისტიანები?

ალექსი

ოჰ, ქრისტიანები! დროა მოგითხროთ ადამიანზე,
ვისაც იცნობთ, ან იცნობდით...

ჯულია

ედუარდ! ისეთ ჟრჟოლას ვგრძნობ, თითქოს ვიღაცამ
ჩემს საფლავზე გადაიარა. ცოტა ჯინი დამალევინე.
ისე მცივა, რომ კოქტეილი ვერას მიშველის. შუა ივლისში
ვიყინები!

მომსახურე კაცი

მისტერ კვილპი!

ედუარდი

ეს ვიღა არის...
[შემოდის პიტერი]
ოჰო, ეს პიტერია!

ლავინია

პიტერ!

პიტერი

ყველას მოგესალმებით!

ლავინია

როდის დაბრუნდი?

პიტერი

წუხელ ღამით ჩამოვფრინდი ნიუ–იორკიდან.
ლოს–ანჯელესი სულ სამი დღის წინათ დავტოვე.
საუზმის დროს გადავეყარე შეილა პიზლის და მან მაცნობა,
რომ წვეულების გამართვა გსურდათ.
განინგებს შემდეგ პირდაპირ აქეთ შემოივლის,
და გადავწყვიტე რომ გწვეოდით გაუფრთხილებლად.
ეს ერთადერთი შანსი იყო თქვენი ნახვისა.
ერთი კვირა მაქვს აქ დასარჩენად
ამ საღამოსვე სოფლისაკენ მივემგზავრები,
ასე რომ დიდად არ შეგაწუხებთ ადრიანი ჩემი სტუმრობით,
ასე მგონია საუკუნეა არ მინახიხართ!
როგორ ხარ, ალექს? და შენ რასა იქმ ჩემო ჯულია!

ლავინია

მაშ ეს–ეს არის ჩამოხვედი ნიუ–იორკიდან.

პიტერი

ჰო, ნიუ–იორკიდან.
ბოლოგოლომსკებს მოუწიათ გამოცილება.
გახსოვთ პრინცესა ბოლოგოლომსკი, ძველი დროიდან?
ერთ საღამოს ვისადილეთ იმ 'ზაფრანისფერ მაიმუნში'.
აი, ადგილი, სინამდვილეში სადაც ღირს წასვლა.

ალექსი

უცნაურია. ზაფრანისფერნი არიან.

პიტერი

მაიმუნები, ალექს? მუდამ ვამბობდი,
რომ ალექსი ყველას იცნობს-თქო. და არ ვიცოდი,
თუ იცნობდი მაიმუნებსაც.

ჯულია

აბა პიტერ ახალს რას გვეტყვი,
გვითხარ, რა ხდება ქვეყანაზე!
ლონდონი ისე მშვიდად ცხოვრობს.

პიტერი

შენი კვიმატი ოხუნჯობა მომენატრა ჩემო ჯულია.
თქვენ ხომ იცით, რომ პან–ამ-იგლთან ვმუშაობ?

ედუარდი

არა, რა არის ეგ პან–ამ- იგლი?

პიტერი

თქვენ, ალბათ, მხოლოდ თქვენთვის ცხოვრობთ!
ნუთუ კინოში არ დადიხართ?

ლავინია

მხოლოდ ხანდახან.

პიტერი

ალექსმა იცის.
ბოლო ფილმი რომ გადავიღე, თუ ნახე ალექს?

ალექსი

ამის შესახებ კი ვიცოდი, თუმც არ მინახავს.
კინო არა აქვთ კინკანჯაში.

პიტერ

რა ადგილია ეგ კინკანჯა, კინო არა აქვთ?
პან–ამ- იგლმა უნდა მიხედოს.
იქნებ კინოსთვის შესაფერი ადგილი იყოს.
ალექსმა იცის პან–ამ- იგლი:
ეს მან გამაცნო დიდი ბელა.

ჯულია

და ვინ არის ეს დიდი ბელა?

პიტერი

ბელა ჟოგოდი – ჩემი ბოსია.
მეგონა, რომ ყველამ იცოდა მისი სახელი.

ჯულია

ის გაკავშირებს კალიფორნიას?

ალექსი

დიახ, ხანდახან ჩვენ ერთმანეთს დავხმარებივართ.

პიტერი

და, სწორედ ბელამ გამომიშვა
აქ ერთი კვირით. დრო სულ არა მაქვს
და ამაღამვე ბოლტველს მივდივარ.

ჯულია

დიუკთან ხომ არ გაჩერდები?

პიტერი

და სამსახურსაც კარგს გავუწევ, ფილმი ეხება ინგლისის ყოფას
და გვსურს ბოლტვილის გამოყენება.

ჯულია

მაგრამ გავიგე,
რომ ბოლტვილი თურმე ინგრევა.

პიტერი

სწორედ ასეა. და ეს იწვევს ჩვენში ინტერესს.
ყველაზე უფრო დანგრეული სასახლეა ჩვენს ქვეყანაში,
მაგრამ ჯერ კიდევ ცხოვრობენ მასში,
ექსპერტთა გუნდი ჩამოვიყვანე
რომ შეისწავლოს ნანგრევები, აღვადგინოთ,
კალიფორნიას რომ შევმატოთ ერთი ბოლტვილი.

ჯულია

და პიტერ, შენ იქ რა გევალება?
დანგრეულ სახლთა ექპერტი გახდი?

პიტერი

არა! სცენარი მე დავწერე
და ბელას ძლიერ მოეწონა.
იფიქრა, რომ თავად უნდა ვწვეოდი ბოლტვილს;
ისიც იფიქრა, რომ რადგანაც ინგლისელი ვარ,
დიუკთან მოქცევა უკეთესად შემეძლებოდა,
აქ არის ჯგუფის დირექტორიც,

და ინგლისურ ტიპაჟებს ეძებს,
ეპიზოდური როლებისთვის და მე კი ვურჩევ
თუ რომელია ტიპიური ინგლისელი.

ჯულია

პიტერ! რა კარგი აზრი გამიჩნდა,
ყოველთვის მსურდა, რომ მენახა კალიფორნია.
იქნებ ურჩიო შენს დირექტორს,
ჩვენ აგვირჩიოს. ჩვენზე ტიპიურს ვის მონახავთ?

პიტერი

არა, ვშიშობ, რომ ....

მომსახურე

სერ ჰენრი ჰერკორტ–რაილი!

ჯულია

სულ გადამავიწყდა! კიდევ ერთი სიურპრიზი რომ მქონდა
თქვენთვის.
[შემოდის რაილი]
მინდა, გაგაცნოთ სერ ჰენრი ჰერკორტ–რაილი.

ედუარდი

მოხარულნი ვართ მისი გაცნობთ, მაგრამ ჩვენ ადრეც
შევხვედრივართ!

ჯულია

რადგან გცნობიათ, მაშინ აღარც შეგეშინდებათ.
იცით, თავიდან მეც მეშინოდა.
ისეთი მკაცრი გარეგნობა აქვს...

რაილი

ჩემო ჯულია,
ძალიან ცუდად წარმომაჩინეთ.
თუკი საერთოდ საჭირო იყო ჩემი წარდგენა.

ჯულია

ძვირფასო ჰენრი, საუბარს ნუ შემაწყვეტინებთ.

ლავინია

თუ იმას შეძლებთ, რომ ჯულიას საუბარი შეაწყვეტინოთ,
მაშინ ყველაზე უფრო სასურველი სტუმარი ხართ, ვისაც
ველოდით.

რაილი

რას ამბობთ, ეგ არც მიოცნებია.

ჯულია

ახლა ორივე ჩაერიეთ ჩემს საუბარში!

რაილი

მაგრამ ახლა ვინ ჩაერია?

ჯულია

კეთილი, მაგრამ თქვენ არ უნდა ჩაერიოთ ჩემს ჩარევაში.
ეს ჩარევაზე უარესია.
ახლა კი მეტად დამეხვა თავბრუ. კოქტეილი უნდა დავლიო.

ედუარდი

[რაილის]
და თქვენც მოგართვათ კოქტეილი?

რაილი

ერთი ჭიქა წყალი მეყოფა.

ედუარდი

რაიმე გნებავთ მასთან ერთად?

რაილი

ოჰ არა, გმადლობთ.

ლავინია

შეიძლება, მისტერ პიტერ კვილპი გაგაცნოთ?
სერ ჰენრი ჰერკორტ–რაილი. პიტერი ჩემი მეუღლის
და ჩემი ძველი მეგობარია. სულ დამავიწყდა... [მიუბრუნ-
დება ალექსს]
არ ვიცი, რატომ , მაგრამ ვივარაუდე, თქვენ ერთმანეთს
უნდა იცნობდეთ.
მისტერ მაკკოლგი გიბსი.

ალექსი

მართლაც რომ ადრე შევხვედრივართ.

რაილი

რამდენიმეჯერ, სამსახურის საქმეებზე.

ჯულია

საინტერესო ამბებს ვისმენდით,
პიტერი ახლა ჩამოვიდა კალიფორნიიდან,
მნიშვნელოვანი ფიგურაა კინოს საქმეში,
იგი ფილმს იღებს ინგლისელთა ცხოვრებაზე და აპირებს,
რომ ყოველ ჩვენგანს როლი მისცეს, თქვენც ხომ არა
გსურთ?

პიტერი

მაგრამ, ჯულია! იმის თქმა მსურდა,
ვშიშობ, ფილმისთვის მე ვერავის როლს ვერ შევარჩევ,
არ მევალება. ჩვენ ამნაირად არ ვმუშაობთ.

ჯულია

ოჰ, პიტერ,
თუკი ბოლტვილი უნდა წაიღოთ,
რატომ არ გინდათ, მეც წამიყვანოთ?

პიტერი

ბოლტვილი,
კი არ უნდა წავიღოთ, მხოლოდ აღვადგენთ.

ჯულია

კეთილი: რატომ არ შეგიძლია, მე აღმადგინო?
უფრო იაფი დაგიჯდებათ.
ძვირფასო, ვხედავ ჩემი წაყვანის სურვილი არ გაქვს.
კალიფორნიის ნახვის იმედი გადამეწურა.

პიტერი

ვიცი, რომ თუნდაც მიგვეწვიე, მაინც არასდროს ჩამოხვი-
დოდი.
მაგრამ არის ვიღაც ისეთი, რომლის შესახებ მინდა ვი-
კითხო,
რომელსაც მართლაც ენდომება ფილმში თამაში,
და მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ წარმატებით ითა-
მაშებდა,
თუ ექნებოდა ამის შანსი და ეს სილია კოპლსტონია,
მას ეს ყოველთვის უნდოდა და ახლა შევძლებ მის დახ-
მარებას.
მე მის შესახებ ბელას უკვე ველაპარაკე
და მინდა, რომ ის გავაცნო ჯგუფის დირექტორს.
კიდევ ერთ ფილმის იდეა მაქვს. იქნება მითხრათ თუ სად
ვნახვ?
სატელეფონო წიგნში არ ჩანს მისი ნომერი.

ჯულია

ვერც წიგნში ნახავთ
და ვერც ვერსად, ალექს, შეგიძლია ახლა მოგვითხრო.

ლავინია

ნეტავ ჯულია რას გულისხმობს?

ალექსი

ის იყო, ამის თქმას ვაპირებდი,
როცა მოხვედი. პიტერ, ვშიშობ, სილია ვერ ითამაშებს.

პიტერი

ხომ არ გათხოვდა?

ალექსი

არ გათხოვილა, გარდაიცვალა.

ლავინია

სილია?

ალექსი

გარდაიცვალა.

პიტერი

გარდაიცვალა. წყალმა წაიღო ყველაფერი.

ედუარდი

სილია გარდაიცვალა.

ჯულია

სჯობს ყველაფერი უამბო ალექს,
კინკანჯადან რა ამბავი ჩამოიტანე.

ლავინია

რაო კინკანჯა? მაგრამ იქ რა ესაქმებოდა?
ჩვენ გავიგეთ, რომ შეუერთდა მედდათა ორდენს ...

ალექსი

ეს ორდენი კი მეტისმეტად სახიფათოა.
და რადგან ჰქონდა მედდის გამოცდილება ...

ლავინია

დიახ, მახსოვს, რომ მოხალისეთა რაზმეულში გაწევრიან-
და.

ალექსი

ის გააგზავნეს კინკანჯაში,
სადაც მრავალი ენდემური სნეულებაა.
და მათ შორის ევროპელთა შემოტანილიც
იქ კი ისეთი პირობებია, რომ ადვილად ვრცელდება ჭირი.

ედუარდი

განაგრძე.

ალექსი

როგორც ირკვევა, სამნი იყვნენ,
სამი მედდა ქრისტიანულ სოფელში ჩარჩა;
ნახევარ სოფელს შავი ჭირი ანადგურებდა,
ალბათ, უზომო შრომისაგან გადაიქანცნენ.

ედუარდი

და მერე?

ალექსი

და მერე, როგორც გეუბნებოდით, წარმართებში ჯანყმა
იფეთქა.

მათ ეს იცოდნენ, მომაკვდვნი კი არ დატოვეს.
ბოლოს და ბოლოს თავს უშველა ორმა მათგანმა.
ერთი ჯუნგლებში დაიღუპა და მეორე კი
არაფრისთვის აღარ ვარგოდა,
ხოლო სილია კოპლსტონი კი ტყვედ წაიყვანეს
როცა ჩვენებმა ჩააღწიეს, დაკითხეს ცოცხლად გადარჩენილნი.
მერე იპოვეს მისი გვამი ან რაც მისგან დარჩენილიყო.

ედუარდი

მაგრამ მანამდე ...

ალექსი

ამისი თქმა მეტად ძნელია,
მაგრამ რაც ვიცით იქაური გამოცდილებით,
ჩანს, რომ ჯვარს აცვეს,
ჭიანჭველების ბუდის მახლობლად.

ლავინია

მაგრამ სილია! ... ყველასაგან გამორჩეული ...

ედუარდი

თავი განირა ერთი მუჭა ჭირშეყრილი ველურებისთვის,
დაღუპავად განწირულთათვის.

ალექსი

დიახ, ისინი იხოცებოდნენ,
რადგან ჭირისგან წყლულები ჰქონდათ, მათ არც კი ჭამდნენ.

ლავინია

ოჰ, ედუარდ, ვწუხვარ – დაჯერება მეტად ძნელია!
მაგრამ შენ იცი, რასაც ვგულისხმობ.

ედუარდი

და შენ კი იცი, თუ მე რას ვფიქრობ.

პიტერი

მე ვერაფერი ვერ გამიგია. ორი წელია, რაც წასული ვარ
და არც ის ვიცი, თუ სილიას რა დაემართა,
იმ ორი წლის განმავლობაში!
ეს ორი წელი მასზე ფიქრი არ მასვენებდა.

ედუარდი

ეს დანაკარგი, ძლიერ მაშფოთებს.

პიტერი

შენ ჩემზე უფრო მეტი იცი: დანაკარგზე უფრო მეტია ჩემთვის.
ორი წელი! შეცდომებით აღსავსე წლები .
ჯულია! რატომ არაფერს ამბობ?

ჯულია

ის ორი წელი მას მიუძღვენი, როგორც შეგეძლო.

პიტერი

როდის შეუდგა..... ის ამ საქმეს?

ჯულია

ორი წლის წინ.

პიტერი

ორი წლის წინ! მე შევეცადე მის დავიწყებას.
მანამდე, სანამ წარმატებას არ მივაღწიე.
და შევიძინე უფრო მეტი თავდაჯერება;
მერე კვლავ მასზე ფიქრი დავიწყე. მეტად და მეტად.
ჯერ არ მინდოდა, მის შესახებ რამე მსმენოდა
და ამიტომაც არ ვკითხულობდი. მერე მინდოდა, რამე გამეგო,
თუმც კითხვის დასმა ვერ გავბედე. და აი, ახლაც მოვიკრიბე გამბედაობა,
რათა მასზე რამე მეკითხა. მაგრამ ვერასდროს ვერ ვიფიქრებდი
ამის მსგავს რამეს. ვფიქრობ, რომ კარგად არ მცნობია.
მე მისი კარგად არ მესმოდა. ვერაფერი ვერ გამიგია.

რაილი

თქვენ კარგად იცით თქვენი საქმე, მისტერ კვილპ,
და მეტი არც კი მოგეთხოვებათ.

პიტერი

საქმე, რა საქმე! შევეცადე, რომ ამ საქმისა რწმენა მქონოდა,
რომ შემძლებოდა ჩამენერგა ჩემს თავში რწმენა.
ვფიქრობდი, მქონდა იდეები და შემეძლო, რომ კინოს საქმეში
რევოლუცია მომეხდინა, და ვერც ვერავინ დაიწუნებდა,
და აი, ახლა, აქა ვარ და მდარე ფილმს ვიღებ!
მე კი მეგონა, რომ უკეთეს გზაზე ვიდექი,
და ყველაფერი შესაძლებლად მეჩვენებოდა, სანამ სილია ცოცხალი იყო.
მე ეს მსურდა, მე ეს მჯეროდა, სილიას გამო.

და, რა თქმა უნდა, რაღაცა კარგის გაკეთება მსურდა მე მისთვის,
ამას კი ფასი ექნებოდა, სილია რომ ცოცხალი იყოს.
ახლა ყოველი ამაოა, მოკვდა სილია.

ლავინია

პიტერ არ არის ეს ამაო, შენთვის ხომ მხოლოდ დასაწყისია,
იმას ვგულისხმობ, რომ იქ მიხვალ
საიდანაც უნდა დაიწყო. შენ ეს–ეს არის თქვი,
აღიარე, რომ სილია არა გცნობია. არცერთი ჩვენთაგანს არა სცნობია.
რითიც ცხოვრობდი, ეს სილიას ხატება იყო,
თვით რომ შეჰქმენი, იმისათვის, რაც გჭირდებოდა,
პიტერ ულმობლად არ ჩამთვალო ...

პიტერი

არა, ულმობლად არ მიგიჩნევ, ლავინია.
და ისიც ვიცი, რომ მართალი ხარ.

ლავინია

რასაც ვამბობდი,
ნაკლებ ულმობელი მოგეჩვენება, და მსურს გაიგო,
რომ უფრო მეტად საკუთარ თავზე ვლაპარაკობდი.

ედუარდი

ლავინია მართალია. შენ ახლა იწყებ.
და თუკი შენში აღმოაჩენ, პიტერ, იმას,
რასაც არ გსურს, პირისპირ შეხვდე, ნება შენია, მაგრამ გახსოვდეს,
რომ კაცს მართებს მეტის ატანა, თავის თავზე უარესიც

უნდა შეიტყოს და შეიტყოს მოგვიანებით,
თუ რა ძნელია გონზე მოსვლა და ყველაფრის ახლად დაწ-
ყება.
შენ ბუნებრივად ისე კარგი ხარ, ვგონებ ეს არ გაგიჭირ-
დება.

პიტერი

ვწუხვარ, არც ისე ადვილია იმის გაგება,
რაც მითხარი, მაგრამ მე მაინც მადლობელი ვარ.
მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ვისმენდი მე
თქვენს საუბარს,
თავში აზრი მიტრიალებდა, რომ ჩემს თავზე ვფიქრობდი
მხოლოდ:
და ეს არც ისე სასიკეთოა სილიასათვის.

ჯულია

პიტერ, ალბათ უკვე ისწავლე, როგორ შეხედო ადამიანებს,
და როცა კინოს თვალით უყურებ,
შენი თავი აღარც კი გახსოვს.
თვითონ ხარ თვალი. და სილიაზეც ასე იფიქრებ .
გაუგებ მას და შეეგუები, მასზე იფიქრებ და შეიგრძნობ
ბედნიერებას.

ლავინია

სერ ჰენრი, რაღაც მინდა რომ გითხრათ,
მე თქვენ სახეს ვაკვირდებოდი,
სანამ ალექსი გვიამბობდა სილიას ამბავს
და თქვენს სახეზე ამოვიკითხე, რომ
რომ სულაც არ გაწუხებდათ მისი სიკვდილი,
ანდა ის ფაქტი, რომ ის მოკვდა იმიტომ, რომ არ მიატოვა
რამდენიმე მომაკვდავი ადგილობრივი.

რაილი

აბა ვინ იცის, მისის ჩემბერლენ,
რა მოსდიოდათ ადგილობრივთ, როცა კვდებოდნენ
ან რას ფიქრობდნენ, როცა კვდებოდნენ?

ლავინია

მინდა გამოვთქვა ჩემზე ასე რამ იმოქმედა,
ეს იყო ის, რომ თქვენ სახეზე ვერ შეგატყეთ გაოცება ან
შეძრწუნება,
იმის გამო, თუ როგორ მოკვდა სილია. მე არ ვიცი, მას თუ
იცნობდით.
ვეჭვობ, იცნობდით ანდა იცოდით მის შესახებ. მაინც, ვი-
ფიქრე,
რომ თქვენი სახე... ამჟღავნებდა კმაყოფილებას!

რაილი

მისის ჩემბერლენ, ან მე ვყოფილვარ სულ იოლად ამოსაც-
ნობი,
ანდა თქვენა ხართ გამჭრიახი.

ჯულია

ოჰ, ჰენრი! ლავინია უფრო მეტად გონიერია, ვიდრე თქვენ
ფიქრობთ.
ვფიქრობ მიგიხვდათ რასაც მალავდით.

რაილი

ჯულია სწორად შეაფასე გარემოება,
წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, პოეზიას რომ მივმართო მი-
სის ჩემბერლენ?

ლავინია

სიამოვნებით მოვისმენ პოეზიას...

ჯულია

ჰენრი, მან ხომ აზრი გამოთქვა.

ლავინია

... თუ ჩემს შეკითხვას უპასუხებს.

რაილი

მანამდე სანამ ბაბილონი მტვრად იქცეოდა
მოგვი ზოროასტრი, ჩემო ძვირფასო ბავშვო,
ბაღში შემოხვდა ხატებას თვისას.
ლანდი, კაცთაგან ერთადერთი, მან რომ იხილა.
რადგან იცოდა, რომ არსებობს ორი სამყარო: სიცოცხლისა და სიკვდილისა:
პირველი არის თვალითხილულია; და მეორე კი
სამარის ქვეშ რომ იმალება, სადაც სახლობენ
აჩრდილები ყოველი ფორმის, ვინც კი აზროვნებს და ვინც კი ცხოვრობს
ვიდრე სიკვდილი ერთად არ შერწყავს და არასოდეს განშორდებიან.

როცა პირველად ამ ოთახში შევხვდი მისს კოპლსტონს,
მე მის სკამის უკან დაინახე ლანდი რომ იდგა
სილიას ლანდი, რომლის სახე გაოცებას გამოხატავდა,
ძალადობრივი სიკვდილიდან რაღაც ხუთ წუთში.
იქნებ, ძნელია დაგარწმუნოთ მისის ჩემბერლენ,
მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ გადახედოთ ამ ვარაუდს,
რომ უეცარი ინტუიცია, ზოგიერთების გონებაში
უმალ სურათად შეიძლება რომ გადაიქცეს.
ხანდახან ეს მეც მემართება. ნათელი იყო,
რომ ეს ქალი სასიკვდილოდ განწირულიყო.

ეს ბედისწერა იყო და საკითხავუ ისღა რჩებოდა,
თუ როგორ სიკვდილს შეეყრებოდა. ამას კი ვეღარ ამოვიცნობდი.
რადგანაც ეს გზა თვითონ უნდა ამოერჩია
სიკვდილამდე მისასვლელი გზა,
დასასრულს კი ვერ განსაზღვრავდა,
მაგრამ მაინც თვითონ ირჩევდა. ვიცით სიკვდილი რომ აირჩია,
თუმც ასეთ სიკვდილს არ მოველოდით და
თვითონაც არ მოელოდა. ისღა შემეძლო,
მეჩვენებინა, თუ ამ გზას როგორ შესდგომოდა.
თვითონ ირჩია სიკვდილისკენ მიმავალი გზა.
და თუ ამ სიკვდილს ბედნიერად არ ჩავთვლით, მაშინ რომელიღაა ბედნიერი.

ედუარდი

იმის თქმა გნებავთ, რადგან ეს გზა ამოირჩია,
ისეთნაირად არ დატანჯულა, როგორც სხვები იტანჯებიან.

რაილი

ეს ის არ არის, რასაც ვგულისხმობ, უფრო პირიქით.
ვფიქრობ ის ტანჯვა განიცადა, ყველა ჩვენგანი რასაც განიცდის,
მან ყველაფერი განიცადა: შიში, ტკივილი და სიძულვილი –
ეს იყო სრული უარყოფა ხორციელების.
უფრო მეტად იტანჯებოდა იმიტომ, რომ ჩვენზე უფრო მეტი ესმოდა.
თავისი ტანჯვით უმაღლესი საფასური გადაიხადა.
და ეს იყო თვითონ განგება.

ლავინია

ალბათ, მანამდე, ბევრად ადრე, იტანჯებოდა
იმის თქმა მინდა, რომ სამი წელი არაფერი მსმენოდა მასზე.

რაილი

ეს თქვენს ბუნებას წარმოგვიჩენს მისის ჩემბერლენ;
მაგრამ ამგვარი გამოცდილება მხოლოდ მითებსა და
ლეგენდებში თუ იარსებებს. ამ დროს ვსაუბრობთ
სიბნელეზე, ლაბირინთებზე, მინოტავრის ზარდამცემ
შიშზე.
თუმც ის სამყარო ამ სამყაროს ვერ ჩაანაცვლებს.
შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ უდაბნოში წმიდანი ვინმე,
მის ზურგს უკან ჩასაფრებული ბოროტი სულით
უფრო ნაკლებ იტანჯებოდეს, შიმშილისაგან, სინესტისგან,
საფრთხისაგან, მუცლის
გრემისაგან, უფრთხოდეს ლომებს, ღამის სიცივეს და
დღეთა სიცხეს,
ვიდრე ჩვენ ვიტანჯებით?

ედუარდი

და თუ სილიას ყველაფერი მართლა შეემთხვა,
მაშინ, ალბათ, სულ სხვა რამეა და რაღაც მცდარი
და ამით ყველას გვეკისრება დანაშაული.
მხოლოდ ჩემს თავზე შემიძლია ვილაპარაკო. მჯერა, რომ
მეც დამნაშავე ვარ.

რაილი

ნება მომეცი, გავაქარწყლო ეს მცდარი აზრი.
შეეცადეთ, რომ ამ ტვირთისგან გათავისუფლდეთ.

ედუარდი

ვგრძნობ, რომ ჩემი დანაშაული
ნახევრადშეშლილ ველურ ბრბოზე უფრო მეტია.

ლავინია

ვიცოდი ედვარდ, მე ვიცოდი, რასაც ფიქრობდი!
ნუთუ არ გშველის, რომ მეც ჩემ თავს დამნაშავედ ვთვლი?

რაილი

თუკი განგვსჯიან იმის მიხედვით, თუ რა მოჰყვება ჩვენს
სიტყვებსა და ჩვენს საქციელს, განზრახვებსა
და შეზღუდულ აზროვნებას ჩვენი თავის და სხვების
მიმართ,
ჩვენ ყველანი ვიქნებოდით დაწყევლილები.
მისის ჩემბერლენ, ხშირად მიხდება გადაწყვეტა,
რაც ხშირად ნიშნავს ან დაღუპვას არ გადარჩენას პაციენტისა –
და ხანდახან კიდეც შევცდარვარ.
და მის კოპლსტონს რაც შეეხება, თქვენ ფიქრობთ, რომ
ამაო იყო მისი სიკვდილი,
თქვენ დამნაშავედ მიიჩნევთ თავს და რადგანაც ასე
მიიჩვენთ,
ფიქრობთ, რომ სრულად განადგურდა მისი ცხოვრება. მა-
გრამ ეს ხომ ტრიუმფი იყო,
თუმც ამ ტრიუმფზე პასუხს ვერ ვაგებ.
ვერც მის სიკვდილზე, რაშიც არც თქვენ მიგიძღვით ბრალი.

ლავინია

მაგრამ მე მაინც დამნაშავე მგონია თავი,
რადგან უხეშად ვექცეოდი და გესლიანად.
მე ახლაც ვხედავ ორი წლის წინ როგორ დაგვშორდა.

ედუარდი

შენი ბრალი არაფერია იმასთან, რაც მე ჩავიდინე.

ლავინია

მე ეს არ მჯერა. შენი გაგება რომ შემძლებოდა,
მაშინ სილიას ასე აღარ მოვექცეოდი.

რაილი

მოგიწევთ ამგვარ მოგონებებს რომ შეეგუოთ
და რაღაც ახლით უნდა შეცვალოთ. მხოლოდ წარსულის აღიარებით
შეძლებთ შეცვალოთ მისი არსი.

ჯულია

ჰენრი, მე მგონი იმის დროა, რომ ჩავერიო:
ყველა აკეთებს ასეთსა თუ ისეთ არჩევანს
და მერე ამის შედეგებიც უნდა მიიღოს.
სილიამ ის გზა ამოირჩია, რომლის შედეგიც იყო კინკანჯა.
პიტერმა კი ისეთი გზა ამოირჩია, რომელიც მიდის ბოლტ-ვილისკენ
და მას მოუწევს იქით წასვლა...

პიტერი

ჰო უკვე ვიცი, რასაც გულისხმობ. ნეტავი კი არ ამერჩია.
მაგრამ მანქანა მელოდება
და ექსპერტებიც – კინაღამ სულ გადამავიწყდა.
მესმის ამ საქმეს ვერ მივატოვებ -
სხვა რისი კეთება შემიძლია?

ალექსი

შენი ფილმია. და ისიც ვიცი, რომ ბელა შენგან წარმატებულ
საქმეს მოელის.

პიტერი

ასე, რომ წავალ.

ედუარდი

თუ გვინახულებ,
სანამ ინგლისს მიატოვებ?

ლავინია

შეეცადე, რომ გვინახულო. იცი, ვფიქრობ, რომ ყველასათ-ვის კარგი იქნება,
მე, შენ და ედუარდს სილიაზე რომ გვესაუბრა.

პიტერი

დიდი მადლობა, თუმც ახლა არა,
ვშიშობ, ამას ვერ მოვახერხებ.

ედუარდი

მაგრამ როცა შემდეგ გვეწვევი?

პიტერი

შემდეგ ჯერზე, როცა ჩამოვალ, გპირდებით,
რომ მოგინახულებთ
მშვიდობით, ჯულია, მშვიდობით, ალექს, მშვიდობით, სერ ჰენრი. [გადის]

ჯულია

... და ახლა კი ჩემბერლენების წვეულებას რაც შეეხება,
კოკტეილის წვეულებას. ამისათვის მზად უნდა იყვნენ,
წუთი წუთზე კარს სტუმრები მოგადგებიან

რაილი

მართლაც ჯულია, ისიც სწორია,
რომ ჩემბერლენთა წვეულება უნდა დაიწყოს.

ლავინია

ხუთი წუთია ამაზე ვფიქრობ,
თუ როგორ უნდა შევხვდე სტუმრებს. ნეტავ უკვე ჩავლილი იყოს.
ვგულისხმობ, რომ .... მოხარული ვარ, რომ მობრძანდით ...
მოხარული ვარ, რომ ალექსმა
გვითხრა ... და პიტერსაც უნდა სცოდნოდა.

ედუარდი

ახლა, ვფიქრობ, რომ ყველაფერს მივხვდი...

ლავინია

მაშ, იმედია, რომ მეც ამიხსნი!

ედუარდი

რასაც მე მივხვდი
ეს ჯერ კიდევ არაფერია, მაგრამ სერ ჰენრი ხომ ამბობდა,
ყოველი წუთი დასაწყისი არის სიახლის,
ჯულიას თქმით კი, სიცოცხლე ხომ მაინც გრძელდება
ასე თუ ისე, ერთმანეთს ერწყმის ორი იდეა.

ლავინია

მაგრამ მაინც... ხალხის ნახვის სურვილი არ მაქვს.

რაილი

ეს ტვირთი თავად აირჩიეთ. რაც შეეხება წვეულებას,
ვფიქრობ, იქნება წარმატებული.

ჯულია

მე ვფიქრობ, ჰენრი, წვეულების დაწყებამდე უნდა წავიდეთ.
დროს უჩვენოდაც გაატარებენ. წამოდი ალექს.

ლავინია

სულაც არ გვინდა თქვენი წასვლა!

ალექსი

ჩვენ სხვა საქმე გვაქვს.

რაილი

ამ შემთხვევაში არც მე ვიქნები გამონაკლისი.

ჯულია

ჰენრი და ალექს. გავეშუროთ განინგებისკენ.
[გადიან ჯულია, რაილი და ალექსი]

ლავინია

ედუარდ, როგორ გამოვიყურები?

ედუარდი

ძალიან კარგად. ვიტყოდი რომ საუკეთესოდ, შენ ხომ ყოველთვის მშვენიერი ხარ .

ლავინია

ოჰ, ედუარდ, შენ ყველაფერი გააფუჭე. რომელი ქალი დაიჯერებს, რომ
ყოველთვის მშვენიერია. შენ საკმაოდ გულახდილი ხარ,
როდესაც ცდილობ ჩემს გამხნევებას, როდესაც ამბობ,
რომ ყოველთვის მშვენიერი ვარ, მიანიშნებ საპირიპიროს.

ედუარდი

კომპლიმენტების თქმას ვერასდროს ვერ შევისწავლი.

ლავინია

საკმაო იყო, რომ შეგექო შენ ჩემი კაბა.

ედუარდი

უკვე ხომ ვთქვი, რომ მომეწონა.

ლავინია

მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა. თან, ქალებს მოსწონთ,
კომპლიმენტს რომ უმეორებენ.

ედუარდი

ახლა მივხედოთ წვეულებას.

ლავინია

ჰო და მივხედოთ.

ედუარდი

ყველაფერი მალე მორჩება.

ლავინია

ნეტავ მალე დაიწყებოდეს.

ედუარდი

კარზე ზარია.

ლავინია

ოჰ, მიხარია. წვეულება უკვე დაიწყო.

ფ ა რ დ ა